ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№10 (40) ოქტომბერი, 2016 წელი

ნომრის ავტორები
ვაჟა გიგაშვილი & სერგეი განდლევსკი

პოეზია
დათო ქარდავა
სოსო მეშველიანი
გელა ჩქვანავა

პროზა
ზურა გოგიძე
ალეკო შულლაძე

ახალი თარგმანები
ეზიდური საკრალური პოეზია
ჟაკ ვაშე
ლორენს ფერლინგეტი

Сергей Гандлевский

ფასი 1,5 ლარი

№10 (40) ოქტომბერი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, ვაჟა გიგაშვილი, ლელა კოდალაშვილი, ნათია ორმოცაძე, ალიკ დარჩიაშვილი, დათო ქარდავა, სოსო მეშველიანი, გელა ჩქვანავა, ზურა გოგიძე, ალეკო შუღლაძე, დათო ბარბაქაძე, ბაჩანა ჩაბრაძე, ზვიად რატიანი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ვაჟა გიგაშვილი

სხვა სიუჟეტების მხედველი - ელისო მეტრეველი

ისინი ერთად მოვიდნენ, გამორჩეულები, მაძიებლები, მეამბოხეები. ვიღაცისთვის შეიძლება ერთმანეთსაც ჰგავდნენ – სხვანაირად მოლაპარაკეები, სხვანაირად ჩაცმულები, სხვა სიუჟეტების მხედველები. თითქოს შეგუებულ, დროს და შიშს მორგებულ 60-იანებში რთული იყო ასე «მოსულების» მიღება.

დღეს, როცა გურამ რჩეულიშვილის, ვაჟა გიგაშვილის ან იმ თაობის სხვა მწერლების წიგნებს კითხულობ, ხედავ, როგორ იცვლებოდა მწერლობა – როგორ იცვლებოდა სიუჟეტები და იცვლებოდნენ მთავარი გმირები, რომლებიც მარტო «გმირულად» კი არა, «ადამიანურადაც» იქცეოდნენ! ისინი წერდნენ მთაზე, ქალებზე, ნადირობაზე, სოფელზე, ახალგაზრდებზე, ქალაქზე, სიკვდილზე – სხვანაირად წერდნენ. იმასაც ხედავ, როგორ შეცვალეს მწერლობა ისე, რომ დღესაც, ზოგჯერ ახალ ავტორებშიც კი, «კითხულობ» მთაში მოხეტიალე, მძიმებათინკებიანი ბიჭების სტილს.

ვაჟა გიგაშვილი ახლაც, 80 წლის ასაკშიც, ისეთივე მხედველი და მაძიებელია, როგორიც მაშინ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ. მხატვარი, არქიტექტორი, სცენარისტი, მწერალი, რედაქტორი, მონადირე, ალპინისტი, მოგზაური – ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ბიოგრაფიის მქონე მწერალი 12 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის

ავტორია; გამოცემული აქვს წიგნები – «ნადირობა ჩონ-ტაშში», «ერთი ვინმე ყაფლანიშვილი», «თბილი ლოგინი და ცივი ღამე», «მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს», «დღე და ჟამი» და სხვა. ვაჟა გიგაშვილი ბევრს არ წერდა. თუმცა რაც დაიბეჭდა, ის ყველაზე «ნაღდი თავგადასავლებია» – ქალაქისა და მთის, თავზეხელაღებული მონადირეების, მარტო დარჩენილების – ბრძოლის, მეგობრობისა და გაუცხოების ნამდვილი ამბები!

შეუთავსებლობა და ნდობის გაკვეთილები

ვაჟა გიგაშვილი ამბობს, რომ მისი ნაწარმოებების მაშინდელი გმირები ისეთივე გაორებული და ამრეზილები არიან, როგორებიც თავად იყვნენ, დიდი სიყვარულიც რომ შეეძლოთ და დიდი სისულელის ჩადენაც. მაქსიმალისტები და შეუგუებლები, ამავე დროს ნდობის და სიყვარულის უჩვეულო მაგალითების მნახველებიც არიან:

«ადამიანი გიყვარდებოდა, უდიდეს პატივს სცემდი და თან ვერ URიგდებოდი მის მონობას. მონასავით ემორჩილებოდა ვიღაც ცეკას მდივანს. გონებამახვილი კაცი, საყვარელი, ნიჭიერი და ამ დროს მომენტი რომ დადგებოდა, მონა ხდებოდა. შიშის, რა თქმა უნდა, შიშის გამო. თავიდან ბავშვი ამას ვერ ვხედავდი, მერე უკვე გავიგე, რომ მოკლეს ჩემი ძმაკაცის, ვახო მიქელაძის მამა, მოკლეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, დედაჩემის საყვარელი მასწავლებელი – ვახტანგ კოტეტიშვილი, დახვრიტეს ჩემი უფროსი დეიდის, ფაციას ქმარი, რეზო ჩხეიძის მამა, დია ჩიანელი. მაგ დროს მამაჩემმა წამაკითხა დამალული წიგნები, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სხვები. ყდები ჰქონდა გამოცვლილი. მენდო, რა, მეცხრეკლასელ ბიჭს მენდო. სკოლას რომ

ვამთავრებდი, მერე უკვე გარკვეულები ვიყავით რაღაცებში. თუმცა ჩემს თავში ვერაფრით ვერ მორიგდა ეს გაორება, ეს შინაგანი შეუთავსებლობა, რომელსაც ვერაფრით გადაჭრი. ლაწირაკები ვიყავით, მაქსიმალისტები და ეს დიდხანს გრძელდებოდა.

არავინ ჩარეულა ჩემს ცხოვრებაში. ერთხელ გავბედე და ბიძაჩემს, დემნა შენგელაიას მივეცი ჩემი ნაწერი. დაიდო ეს ჩემი ტექსტი და პირველივე ფრაზიდან ასწორა და ასწორა. თან სულ მასწავლიდა, ეს სიტყვა ასე კი არა, ისე დაწერეო. მივხვდი, რომ საერთოდ არ გაუგია, იქ რა ეწერა. ჰოდა, გავანებე თავი, აღარც მიჩვენებია მერე მისთვის. მამაჩემისთვისაც კი აღარ მიჩვენებია. ძმაკაცებმა იცოდნენ მარტო, რომ ვწერდი. გურამი იყო ხოლმე პირველი, ვისაც ვაკითხებდი, მერე მიშკა ნანეიშვილი და მერაბ გაჩეჩილაძე კითხულობდნენ. ერთად შეზრდილები ვიყავით.

ჩემს სამეგობროში მე და გურამი ყველაზე ახლოს ვიყავით. ვწერდით! გურამი იტყოდა, «წავიდნენ, მაგათი... ვინ დაბეჭდავს? არ დაბეჭდავენ!» პირველად რაც დაბეჭდეს მისი მოთხრობებიდან, ნაკლებად მძაფრი იყო, მაგრამ იმ დროისთვის აბსოლუტურად განსხვავებული თემატიკითაც და სტილითაც. გურამი მალე დაიღუპა. გურამი ისეთი იყო, ვერც გაძლებდა დიდხანს. როგორ დაიბეჭდა იმ დროს მაგის ყველაზე მაგარი მოთხრობები, იცი? ძალით,

ძალადობა იყო ეგ. ვახტანგ ჭელიძესთან მიიტანა ეს მოთხრობები («ალავერდობა» და «ირინე»), ჭელიძემ უთხრა, არა, მე ძალიან მომეწონა შენი მოთხრობები, ოღონდ სარედაქციო საბჭომ არ მიიღოო, დაიწუნესო. წავიდა ეს გურამი და ყველას ჩამოუარა სათითაოდ, ამ საბჭოს წევრებს. ყველამ უთხრა: მე ძალიან მომეწონა, მაგრამ დანარჩენებს არ მოეწონათო. ჰოდა, მოვიდა და ბოლოს ისევ დაადგა თავზე ვახტანგ ჭელიძეს! აი, ასე, ძალით დააბეჭდინა. ოღონდ ეს ნომერი რომ გამოვიდა, გურამი უკვე დაღუპული იყო. იმ წელიწადს მოხდა ეს. რატომ ვთქვი ეს, იცი? ვერ გაძლებდა გურამი, მუდმივ და მზარდ ბობოქრობაში როდემდე გაძლებდა?.. ესეც რაღაცნაირი ბედისწერა იყო.

ბევრჯერ მიხსენებია გიორგი შატბერაშვილი. ეს იყო შესანიშნავი პიროვნება. თვითონაც ლიტერატურის გამო იყო დაპატიმრებული. 1957 წელს, მასთან, «ცისკარში», მე და გურამმა მოთხრობები მივიტანეთ. ერთ-ერთი იყო «დღე და ჟამი». ამ მოთხრობის გმირი «ამოვარდნილი» კაცია, ამრეზილი, გაორებული. შატბერაშვილმა მაშინვე «ჩაავლო» ამ ჩემი გმირის ხასიათს და მითხრა, რომ მოეწონა, დაწვრილებით გამირჩია, რა და როგორ მოეწონა, მაგრამ ამის დაბეჭდვა არ შეიძლებაო, ეს საშიში იქნება იდეოლოგიისთვის, ეს ხასიათი გადამდები შეიძლება აღმოჩნდესო. 20 წლის ლაწირაკს მენდობა და ამას მეუბნება კაცი, რომელიც ციხეში იჯდა და რომელმაც არ იცის, რა მიტრიალებს თავში, სად რას წამოვროშავ. ეს იყო შატბერაშვილის გაკვეთილი, ადამიანურიც და მწერლურიც. მაგ კაცის დიდი პატივისცემა მაქვს დღემდე. იქიდან ისეთი გახარებული წამოვედი, თითქოს დაბეჭდვაზე არც არავის ეთქვას უარი.

მერე დაიწყო ეგრეთ წოდებული Оттепель, დათბობა. გაცილებით გაადვილდა ყველაფერი, უკვე ის სწორხაზობრივი და იდიოტური ზეწოლა სირცხვილად ითვლებოდა. მეტ-ნაკლებად შეიცვალა რაღაცები. 1970 წლიდან ჩემი ბეჭდვაც დაიწყეს, მერე ძველი მოთხრობებიც კი დაიბეჭდა, აი, ის, შატბერაშვილთან რომ მივიტანე. აშკარა წინააღმდეგობა აღარ იყო. გიტანდნენ, რა, ხანდახან.

მე არ მიმქონდა ხოლმე დასაბეჭდად. ერთხელ გურამ გეგეშიძემ წაიღო «მნათობში» ჩემი «ჩონ-ტაში», იქ უთხრეს, ეს დოკუმენტურია, ჩვენი პროფილი არ არისო. ჯანსუღმა და ოტიამ სტაცეს ხელი და თავისთან წაიღეს, მერე მაგარ რეკლამას მიკეთებდნენ, ახლა ისეთი რამე იბეჭდება ჩვენთან, «ცისკარში», ქართულ ენაზე აქამდე რომ არ დაბეჭდილა და არ დაწერილაო. ასე დაიბეჭდა პირველად «ნადირობა ჩონ-ტაშში». მერე მიჰყვა. გურამ ფანჯიკიძემ ისე დაბეჭდა ჩემი მოთხრობები, არც ვიცოდი, დოჩანას მიუცია, გურამ დოჩანაშვილს. ერთი მოთხრობა ვოვა სიხარულიძემ მიიტანა მიიტანა, «თბილი ლოგინი და ცივი ღამე»...

ცხოვრება ეპიზოდებში - მხატვრობა, ალპინიზმი, არქიტექტურა, კინო

ვაჟა გიგაშვილი ბავშვობიდან ხატავდა, ძალიან კარგად. თუმცა ერთ დღესაც «აიჭრა» და ყველაფერი მიაგდო. მონადირეებს გადაეკიდა და ყველაზე გადამწყვეტი ერთი წელი მთებში და ნადირობაში გაატარა. ამიტომაც მხატვარი ვეღარ გახდა. თუმცა, როგორც ახლა იხსენებს, ნადირობამაც და მისმა ახალმა პროფესიულმა არჩევანმაც დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში და განსაკუთრებით, მწერლობაში.

«კარგად ვხატავდი. ჯერ გრიგოლ მესხთან დავდიოდი პიონერთა სასახლეში, ძია გრიგოლთან. მე-7 კლასში რომ გადავედი, დედაჩემის დეიდის ქმარმა, მოსე თოიძემ წამიყვანა თავისთან, გადავბარგდი მის სახელოსნოში... დავიწყეთ რენესანსით (გირლანდაიო, მანტენია, პიერო დელა ფრანჩესკა, მერე დიურერი), რთულ ასლებზე მამუშავებდა, რაც საჭირო იყო ოსტატობისთვის და ნიუანსების გაგებისთვის. ჩემ გზად მხატვრობა ითვლებოდა ოჯახშიც და ჩემიანებშიც - აი, ამ გზას ადგას, რა კარგია, და ასე შემდეგ... ამიტომ მე რას ვწერდი, სულ ფეხებზე ეკიდათ. სკოლას რომ ვამთავრებდი, მოკვდა ეს ჩემი მოსე ბაბუ. ძალიან ავურიე, აღარ ვხატავდი. ერთი წელიწადი სულ სადღაც ვეგდე. იყო ერთი ასეთი პროფესიონალი მონადირე «ბელკა», ყოფილი ფეხბურთელი ალიოშა ვორონოვი. იმათ კომპანიას შევეტენე. სულ სადღაც დავეთრეოდი. ჰოდა, სკოლას რომ ვამთავრებდი, ბიძაჩემმა დემნამ წამიყვანა აკადემიის მაშინდელ რექტორთან, სერგო ქობულაძესთან. ნახა ჩემი ნახატები და მითხრა, მხატვარი ხარ, მაგრამ გიმნასტი რომ იყო და ერთი წელი არ ივარჯიშო, შეჯიბრებას მოიგებო? უნდა აღადგინო მეცადინეობაო. მერე დავდიოდი ხოლმე ქობულაძესთან, ძალიან მაგარი კაცი იყო, მაგის დროს უმაღლესი კლასის იყო ჩვენი სამხატვრო აკადემია.

მამაჩემის მეგობარი იყო ლონგო სუმბაძე, კარგი არქიტექტორი... და იმან გვითხრა, არქიტექტურულზე ჩააბაროსო. ხუთიანებზე გავა ეგრევე ამისი ნახატებიო. ჩემთვისაც რაღაცნაირად უკვე სულერთი იყო. დავამთავრე არქიტექტურული. ოთხი წელიწადი ვიმუშავე ამ პროფესიით. შოთა ყავლაშვილთან ვიყავი თავიდან, მერე ლადო მესხიშვილთან. მეზარებოდა ეს საქმე, მაინც სულ ლიტერატურისკენ ვიხრებოდი. მერე გადავედი ზურაბ

წერეთელთან მხატვართა კავშირის სამხატვრო კომბინატში. ზურა იყო განყოფილების უფროსი, უცებ გაიჩითა. მაშინ მოხდა ისე, რომ ახალგაზრდებმა ჩაიგდეს ხელში რაღაც თანამდებობები, იქ უკვე დიდი შეკვეთები იყო, დიდი ფული. თავისუფალი რეჟიმი გვქონდა, არც ტაბელი, არც არაფერი. გაძლევდნენ შეკვეთას და ვადას. თუ გინდოდა, ორ დღეში დაამთავრებდი და თუ გინდოდა, ყოველდღე იმუშავებდი. მე კიდევ ეს გამოვიყენე – გავაკეთებდი, ავიღებდი ფულს და მერე სადღაც მივდიოდი. ხან სხვადასხვა ქალაქში, ხან ექსპედიციებში – ალპინისტურშიც და ეთნოგრაფიულშიც. ორი თვე მაინც მყოფნიდა.

ალპინიზმი ეპიზოდურად იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ალპინისტები მაგარ რამეებს აკეთებდნენ და მაგათთან ერთად ვიყავი ხოლმე ექსპედიციებში. ეგ ისეთი მიზიდულობაა, აზარტი, როგორც მანია. ალექსანდრა ჯაფარიძესთან ვსწავლობდი მთამსვლელობას «პიონერთა სასახლეში». რასაც ალექსანდრა აკეთებდა, ეგ იყო «მიმართულების მიცემა». იმ ბავშვმა, ვისაც ეგ წაიყვანდა მთაში, უკვე იცოდა, მისი სამშობლო რა იყო.

1970 წელს რეზო თაბუკაშვილმა კინოსტუდიაში გადამიყვანა. ჩამოაყალიბა მწერალთა გაერთიანება

კინოსტუდიასთან. იქ იყვნენ მწერლები, რომლებიც სცენარებზე მუშაობდნენ. ამის შემდეგ საერთოდ შევეშვი სამხატვრო-არქიტექტურულ სამუშაოებს. მაშინ დაიწყო სწორედ ჩემი ბეჭდვაც.

ახლაც ფილმის სცენარს ვაკეთებ, კინოცენტრის ტენდერი მოვიგე. ეს იქნება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. სცენარი რა არის, იცი? ის მაინც შეკვეთილია, «დავალებაა» – თავიდანვე ასეთი მოცემულობაა. საკუთარი და თავისუფალი «ბოდიალი» არ არის. დრამატურგიას თავისი კანონები აქვს, თავისი ვადა, დრო, განაწილება. მერე კიდევ ფილმის გადაღებისას იმდენი რამ ვლინდება ხოლმე. ზოგჯერ არის, ერთი მსახიობი «ჭამს» ყველას და ყველაფერს. წიგნში ასე არ არის, თუმცა კინოში არის «გადახვევის» მცდელობები, აი, საავტორო ფილმებს რომ აკეთებენ მაგარი რეჟისორები. ამოვარდნილია ამ კანონებიდან, მაგარი კინოა, მაგრამ ბევრი მაყურებლებისთვის არ არის. კინო კიდე ეგ არის, წარმოებაა. ისეთი პროდუქტი უნდა იყოს, მასობრივი. ჩვენთან, საქართველოში გადაღებული კინო თუ არ გავიდა სადღაც, აბსოლუტურად უპერსპექტივოა. პატარა ბაზარია. ადრე რომ იყო, ლვოვიდან ვლადივოსტოკამდე ყველგან აჩვენებდნენ, აღარ არის ეგრე. ახლა სხვა სიტუაციაა. ახლა უნდა გახვიდე ევროპის, აზიის და სხვა ბაზრებზე. რაც მთავარია, ახლა ძალიან ბევრი ახალგაზრდაა და ყველა მოძრაობს – დადიან, ურთიერთობებს ამყარებენ, სთავაზობენ, აჩვენებენ. განსაკუთრებით კარგად ამას კინოს ხალხი ახერხებს. კარგია, აქედან ბოლოს და ბოლოს რაღაც გამოვა».

მწერლობა - კომერცია, ტრანსი და თავგადასავალი

ვაჟა გიგაშვილისთვის წერა ახლაც ნაღდი თავგადასავალია, რომელსაც წინასწარ არასდროს გეგმავს და არც ის იცის, სად და როგორ ატარებს ეს თავგადასავალი. რა შეიცვალა დღემდე, რა მოიტანა თავისუფლებამ, როგორია ეს თავისუფლება და როგორია თაობა, რომელიც თანამედროვე მწერლობაში მოვიდა?..

ის, რაც ახლა მსოფლიოში ხდება, კომერცია უფროა. მაგრამ ხომ ჩნდებიან ისეთი მწერლები, რომლებსაც გარღვევა აქვთ, ცნობიერებაში, ადამიანურ შესაძლებლობებში. მსოფლიო ავტორები არიან, მიუხედავად ამ კომერციისა. მთავარია, ჩვენ ამაში პატარა წვლილი მაინც შევიტანოთ. მთავარია, არ გაჩერდე, დაწერო, გააკეთო და იმწუთშივე თუ ისე არ დაფასდება, ამაზე არ უნდა იფიქრო. ჩვენთვის ენის ბარიერიცაა. რანაირად შეიძლება გაეჯიბრო იმ ენას, ნახევარი მსოფლიო რომ ლაპარაკობს, მაგრამ დროში ყველაფერი თავის ადგილს დაიკავებს. უნდა ითარგმნოს უფრო მეტი, თორემ შენი ენის მიტოვება არ შეიძლება, მაშინ ვინ იქნები? აღარავინ არ იქნები!

ეს შემოქმედება კიდევ როგორი რამეა, ეს არ არის მიზანმიმართული თუ დაგეგმილი შრომა, არამედ არის აბსოლუტურად პირადი, ძალიან ინტიმური პროცესი, თავისუფლება. ნამდვილი შემოქმედება არის გაუთავებელი თავგადასავალი, რომელშიც შედიხარ და ყველანაირ განცდას იღებ. მაგაზე დიდ სიამოვნებას ვერაფრით მიიღებ, ვერც

ნარკოტიკით, ვერც ქეიფით, ვერც სექსით, ვერაფრით... არიან მწერლები, რომლებიც სწორედ იმიტომ წერენ, რომ ფული აიღონ. ზოგისთვის კიდევ ტრანსივითაა და სულ არ აინტერესებს, მოხარშული კვერცხი ექნება თუ არა სახლში. მერე მოუნდება, რა თქმა უნდა, «ტრანსიდან» რომ გამოვა, მაგრამ სანამ იმ მშვენიერ თავგადასავლებშია, არ აინტერესებს. ეს ორივე ჩანს ხოლმე ნაწერში. აი, მაგარ რაღაცას რომ ვკითხულობ, შემიძლია წარმოვიდგინო, რა სიამოვნება განიცადა იმის ავტორმა, როცა წერდა. ერთი შეხედვით, ეფემერაა, რომელსაც ხელს ვერ შეახებ, მაგრამ რეალურად გრძნობ, რეალურად გადიხარ.

ისე, დღესაც არიან ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ჯიუტად და გამწარებით ცდილობენ, კარიერაზე ზუსტად ისე იმუშაონ, როგორც საბჭოეთის დროს იყო. მაშინ ეგრე იყო – კარიერისთვის მუშაობდნენ. შედიოდა მწერალთა კავშირში, უნდა მოეპოვებინა რომელიღაც პრემია, გამოეცა რამდენიმე წიგნი და მერე ხდებოდა მდიდარიც. ასეთი «ორბიტაზე გასულებისთვის» იყო საზღვარგარეთ სიარული, თარგმანები «საიუზში». ახლა ვერაფრით მიაღწევ იმას, რასაც მაშინ აღწევდნენ. აღარ არის «დიდ ორბიტაზე» გასულების დრო. დღეს მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე გასვლა ამდიდრებს მწერალს. აი, ხომ არიან სტივენ კინგი, პიუზო, ის ქალი, «ჰარი პოტერის» ავტორი, როულინგი. უნიჭიერესი ქალია, რად უნდა ბევრი ლაპარაკი. სულ სხვანაირი ამბავია, სულ სხვანაირი მოვლენაა. მართლა იმისთვის დაწერა, რომ ბავშვები გაერთო და ეს ბავშვების გართობის მასშტაბი ძალიან გაიზარდა.

ძალიან თავისუფალი გახდა დღევანდელი პროზა, როგორც შემოქმედების არეალი – საითაც გინდა, წახვალ. რაც გინდა, ის წერე, დასაბეჭდ ადგილსაც მონახავ. არის კარგი გამოცემები: «არილი», «ლიტერატურული გაზეთი», «ახალი

საუნჯე»... ყველაფერი იბეჭდება. არის ინტერნეტი, რასაც გინდა, გამოაქვეყნებ. მწერლობა გახდა უფრო ინდივიდუალური. ახალ თაობას თუ გადახედავ, ძალიან ნიჭიერი ხალხი მოვიდა. მოვიდნენ ნიჭიერი ქალები. აქ უკვე შინაგანი კვლევაა, ძიება. აქ არ არის მსოფლიო ფერხულში ხელოვნურად ჩაბმა და მე ზუსტად ეგ მგონია ხელოვნების აზრიც. იმ შინაგანი ძიების შედეგი ბუნებრივად ხდება საერთო მიღწევის ნაწილი. ის, რომ თავიდანვე მასშტაბებზე გქონდეს გადარევა, არ გამოვა. შენ შენი სათქმელი თუ გაქვს, რაც შეიძლება ღრმა, რაც შეიძლება უცნაური, სხვანაირი, ის თქვი, მაგას მიაგენი და აღმოაჩინე. ეს თავის საქმეს, ადრე თუ გვიან, გააკეთებს. მარგალიტი ხო პატარაა, მაგრამ მაგას ვერც კუჭი ინელებს, ვერც ვერაფერი. შეიძლება სადღაც ეგდოს ძალიან დიდხანს, მაგრამ ის მაინც მარგალიტად დარჩება, თავისი ფასი ექნება. ამას ვამბობდი ხოლმე, ტერენტი გრანელი არის პატარა ნამცეცი ოქროსი, გალაკტიონი უფრო დიდია, მაგრამ ორივე ოქროა. გალაკტიონი იმდენად მაგარია, რომ ეპოქას არ ემორჩილება, ყოველთვის იქნება.

მარჯანიშვილის 4 ნომერში ცხოვრობდა, იქ მივდიოდი ხოლმე ბიძაჩემთან, დემნასთან. «ბიძიკოებო, ბიძიკოებო», – ასე გველაპარაკებოდა ხოლმე ბავშვებს. მხიარული, მოფერებით შეხვედრა იცოდა. «აბა, მე ვინა ვარ?» – გვეკითხებოდა. ჩვენ ვეუბნებოდით, გალაკტიონი. არა, გვეტყოდა, მე ვარ გალაკტიონი, პოეტების მეფეე! «მეფეეე...» – ვიმეორებდით ჩვენც. როცა წამოვიზარდეთ, ვიგებდით ხოლმე მაგის ოჯახის ამბებს. ძალიან უცნაური სიტუაცია იყო ოჯახში, გაუცხოებულები იყვნენ ერთმანეთთან. თითქოს საერთო არაფერი ჰქონდათ, ერთადერთი, გალაკტიონისადმი უსიტყვო პატივისცემა იყო. რაღაც ჭიჭყინი და ჯაჯღანი შეუძლებელი იყო

მაგასთან – ასე რატომ შვები, ისე რატომ შვები. ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის ოთახში და შეიძლება, ერთი კვირა არ გამოსულიყო გარეთ, არაფრისთვის! არ გამოდიოდა. მაგ დროს იყო, რომ თავის სამყაროში დაფრინავდა. მერე გამოვიდოდა, ჩაიცვამდა კოსტიუმს, დაიკიდებდა ორდენს, დაიჭერდა «პაპკებს» და წავიდოდა საჩხუბრად რედაქციებში. იტყოდა ხოლმე, წიგნი უნდა გამოვცე, მოამზადებდა ტომეულებს. კი, უცემდნენ რაღაცებს, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც უნდოდა. მწარე რამეების თქმა იცოდა, ბევრს აღიზიანებდა. ზოგჯერ თვითონ ქმნიდა რაღაც დისტანციას. რეზო თაბუკაშვილს აქვს დაწერილი, ერთხელ ნახა, როგორ შეისხა არაყი წვერზე, კი არ დალია, უბრალოდ, არყის სუნი რომ ჰქონოდა, ნასვამი რომ ჰგონებოდათ. ზოგჯერ მაგრადაც თვრებოდა ხოლმე. მახსოვს ასეთი სცენა: წვიმაა, ვერის ხიდზე ექვს ბიჭს მოჰყავს გალაკტიონი, იცით, როგორ? აი, ასე, გაშოტილი უჭირავთ. მძიმე იყო, ეტყობა, გაუჭირდათ და ასე, მოწიწებით, დადეს კიდევაც ერთ მომენტში, დაისვენეს და მერე ისევ ასე, ხელში აყვანილი მიიყვანეს სახლში...»

ერთი დღე 80 წლამდე

«ჰოდა, ეგ იყო, რა...» – ასე ხშირად იმეორებს, უფრო ხშირად უფილტრო სიგარეტს უკიდებს და ბოლომდე ეწევა; «აი, ეგ აღარ მახსოვს, ეს ოხერი, ასაკია ეგ, ხვალ 80 წლის ვხდები...» – ამას ერთხელ ამბობს, ჭიქაში წითელ ღვინოს ასხამს, ნელ-ნელა სვამს და ისევ სათქმელს უბრუნდება. ლაპარაკობს პოლიტიკაზე, იმ ომებსა და გაჭირვებაზე, რომლებიც გამოიარა – პირველი, რომელმაც ბავშვობაში მოუსწრო და როგორც ბავშვმა, იოლად გადაიტანა; მეორემ კი ბოლო ათეული წლები წაიღო და ჯერაც არ დამთავრებულა. არაფერზე მივბმულვარ, თორემ ახლა ან

მილიონერი ვიქნებოდი, ან სასაფლაოზე ვიწვებოდიო, ამბობს. მერე ტელევიზორს უყურებს, ეკრანზე ახალგაზრდა პოლიტიკოსი ჩანს:

«აი, ეს... ეს არის ჩემი უსაყვარლესი ძმაკაცის შვილი. იცი, მამამისი როგორი იყო? გადასარევი, უმართლესი კაცი. ცხოვრებაში არაფერს არ ჩაებღაუჭებოდა, ფრჩხილისოდენაც კი არ უნდოდა. და ეს? ერთხელ სიმართლე არ უთქვამს, ეგ არის ჩემი დარდი. გაუთავებლად ბოდავენ, სულ ტყუილებს. გიჟივით გარწმუნებს რაღაცაში, თავის ჭკუაში გარწმუნებს, რაღაც უსინდისო, უტიფარ ტყუილში, გაუთავებლად. ვდარდობ, რომ ბევრი უსირცხვილო ხალხი აღმოჩნდა ჩვენ შორის. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიხარია ჭკვიანი, წესიერი, სწორად რომ გელაპარაკება, ასეთი ადამიანის დანახვა. დიდი სიხარულია ახალგაზრდის კარგ ნაწერს რომ ვკითხულობ. ამ მხრივ დასაჩივლელად არ გვაქვს საქმე, გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები. ყველგან არიან – მეცნიერებაშიც, მწერლობაშიც, მხატვრობაშიც, მუსიკაშიც და ცეკვაშიც.

80 წლის ვხდები, რაღაცების დათმობა მიწევს, შეგუება. ძველებურად აღარ შემიძლია. 70 წლამდე ძალიან მაგრად ვიყავი, შეუფერებლად მაგრადაც კი. მერე თანდათან დაიწყო... მანქანას ვეღარ ვმართავ, მაღალ მთაში აღარ ვყოფილვარ. ჰო, ღვინოს არ ვეშვები ჯერჯერობით, არც სიგარეტს. ამაზე მეუბნებიან ხოლმე, გაანებე თავიო. ახლა გავანებო, კაცო?

და კიდევ, მიხარია, როცა ვწერ, რაღაც კარგ თავგადასავალში რომ შევდივარ, კარგად რომ მივდივარ. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ვიღაცებისთვისაც არაჩვეულებრივი იქნება, უბრალოდ, ჩემთვის არის დიდი

სიხარული. ბოლო დროს რამდენჯერმე მომინდა ჩემი ცხოვრების ცალკეული პერიოდების გახსენება და გადმოცემა. ნაწილ-ნაწილ გავაკეთე კიდეც რაღაცები. კომპიუტერში მაქვს მოგროვილი და მერე ცალ-ცალკე დავბეჭდავ. აი, სრული მემუარების გაკეთება არ მიცდია, შეიძლება, მაგისი დროც მოვიდეს. თუ ვიქენი საერთოდ... ჰოდა, ეგ იყო, რა...»

ორი ფრაგმენტი – ახალდამთავრებული სცენარიდან

პროლოგი

ჩრდილო-აღმოსავლეთ ყაზახეთის მიყრუებული ტერიტორიები, ცნობილი მხოლოდ მოქმედი და გაუქმებული «ლაგერებით».

...უკაცრიელი, რუხ-ყვითელი სტეპები, ბუნდოვანი ჰორიზონტები, ქარი მტვრის კორიანტელს ატრიალებს, მიერეკება ქარქვეტასა და ბურბურას დიდ გუნდებს – შორიდან უეჭველად გაქცეული ნადირი გეგონებათ – საიგაკების ჯოგი...

...მოძრაობს მარტოხელა სილუეტი... სილუეტი ჯოხსა ჰგავს, მაღალია... თან მოათრევს ხის ორკაპა ტოტს, ბოლოთი მხარზე შემოდებულს, ორკაპზე დაბმულია მოზრდილი შავი ყუთი, თუ ჩემოდანი...

...სილუეტი გამოდის «გზაზე»... ეს გზა კი არა, უბრალოდ ავტომანქანის ნაკვალევია სტეპის ბრტყელ, ხმელ ზედაპირზე... სილუეტი დიდხანს მიათრევს თავის ტვირთს ამ ცარიელ «გზაზე»...

...ჰორიზონტზე გამოჩნდება რაღაც სატვირთო მანქანა... მგზავრი შემობრუნდება და ელოდება... მანქანა აღმოჩნდება ომისდრინდელი მინგრეულ-დაჭეჭყილი «სტუდებეკერი», რკინის დიდი ცისტერნით ძარაში... უჩერებენ... მგზავრი ძარაზე ეწყობა, ცისტერნის გვერდით...

... «სტუდებეკერი» დასახლებაში შედის... ალიზით შელესილი რამდენიმე დიდი ბარაკია, ზედ მიშენებული აჩონჩხილი ქოხმახებით... ყაზახი მწყემსების გარდა, აქ

სხვა, «ლაგერების თანამდევი» კონტიგენტიც ტრიალებს: ნაციხარები, გაქცეულები, მიმაგრებაში მყოფნი, ზოგი ტრანზიტით, ზოგი ჩარჩენილი... რუსები, თათრები, ჩეჩნები, დაღესტნელები, უზბეკები, სომხები, ყველა ჯურის მაწანწალა და ნაძირალა... ყველა თვალს აყოლებს შავჩემოდნიან მგზავრს... ყურადღებას იქცევს მეტისმეტი სიმაღლით, მეტისმეტი სიგამხდრით, მეტისმეტად მოკაუჭებული ცხვირით, და, რაც მთავარია, ხის დიდი, შავი ჩემოდნით... ორი რუსი ბომჟი აეკიდება, შორიახლო დაჰყვებიან, უთვალთვალებენ...

...მგზავრი ჩაიხანაში შევა, ორკაპას შავი ჩემოდნით კართან მიაყუდებს და ჩაის დახლთან მიდის, ორ ფიალა მწვანე ჩაის ასხმევინებს, მათლაფას, ათიოდე მანტით ართმევს... ამასობაში ბომჟები თოკებს ჩაჭრიან, ჩემოდანს გაასრიალებენ და გარშემო მოზურზუტე ხალხში გაქრებიან...

...მგზავრი ჩაისა ხვრეპს ერთი ფიალიდან, იწყებს მანტების ჭამას...

...ბომჟები მოფარებულში, ხრამის პირას ხსნიან ჩემოდანს, შიგ ბრეზენტის რაღაც ფუთებია... ფუთასაც გაჩეჩავენ და გამოჩნდება ძვალზე ტყავმიმხმარი, დამუმიებული, გაშავებული ფეხი... ადამიანის... ერთი უკან გახტება დაფეთებული და ჩემოდანს ფეხს მოუქნევს ხრამში გადასაგდებად. მეორე ხელს სტაცებს და გააჩერებს, ეუბნება:

მ ე ო რ ე ბ ო მ ჟ ი:

– შე ტუტუცო!.. ეგ ამას ტყუილად არ დაათრევს... ესე იგი, ძალიან სჭირდება... ესე იგი, ფულსაც გადაიხდის... დავუბრუნოთ!..

...მგზავრს ცარიელი ორკაპა ტოტი უჭირავს და ცისტერნის ნაცნობ შოფერს ელაპარაკება, რომელიც მსხვილი პომპით ჩაიხანის ავზს წყლით ავსებს... შოფერი მხრებს იჩეჩავს, ხელს იქნევს... გამობრუნებული მგზავრი ხრამის პირას გადის, ჩამოჯდება კიდეზე... ზის თავჩაქინდრული და «პამირის» მოკლე სიგარეტს ეწევა... ბომჟები წინ დაუდგამენ შავ ჩემოდანს... ეუბნებიან:

მ ე ო რ ე ბ ო მ ჟ ი:

– ხრამში ვიპოვეთ, ვიცანით, რომ შენია... ფული მოგვეცი და წაიღე...

...მგზავრი არც შერხეულა, არც აღელვება დასტყობია... ხმადაბლა, წყნარად ამბობს:

მ გ ზ ა ვ რ ი:

– პოვნისათვის მადლობა!.. ფულსაც მოგცემდით, მაგრამ მე თითონ გზაზე არა მყოფნის.

თან უბიდან ნაგანს ამოიღებს, მიუშვერს და ისეთივე წყნარი ხმით განაგრძობს:

მ გ ზ ა ვ რ ი:

– ეხლა გამასწარით, თორემ ორმოცს დავითვლი და გესვრით...

ტონი ძალიან დამაჯერებელია, ბომჟებს კი «ფინკების» მეტი არაფერი აქვთ და უსიტყვოდ მოძუძგავენ... ორმოცდაათ მეტრზე რომ დაშორდებიან, მგზავრი ჰაერში გაისვრის...

...მგზავრი ისევ უკაცრიელ სტეპში მიეხეტება, ისევ მიათრევს ორკაპა ტოტზე თოკით დაბმულ შავ ჩემოდანს...

თავი 25-ე

უკვე დაღამებულში ააღწიეს იბას სამალავის მისადგომებთან...

ბესა დაწინაურდება, სწრაფად მიდის აღმართში... ორი ჩეკისტი ადგილზე რჩება, გაჰყურებენ ბესას... ბესა შედგა, ერთხანს ადგილს ათვალიერებს, მერე უეცრად, მჭახედ დასტვენს ისევე, როგორც ამასწინათ აქ გაიგონა... ჩამიჩუმი არ ისმის... ბესაც ჩუმად იცდის... მერე მარჯვნივ, დიდი ხეების განსაკუთრებით ჩაბნელებულ ძირებში მზერა ძლივძლივობით არჩევს ლანდის კონტურს... ბესა შედარებით ღია ადგილზე გადაინაცვლებს, სახით ლანდისაკენ შებრუნდება, თავს მაღლა ასწევს, ქისტურად დაიძახებს:

ბ ე ს ა:

– მცნოობ, რომელი ვარ?..

გ უ შ ა გ ი:

– გცნობ!.. ბესა არა ხარ, ამღიონი?!..

გუშაგის ხმაში პატივისცემის ინტონაციამ გაიჟღერა, ბესასთან გამოვიდა...

ბ ე ს ა:

– ჰოოდა, იბა უნდა ვნახო!.. ცუდი ამბავი მოგიტანეთ, სოფელში რაზმია ამოსული...

...გუშაგი პირდაღებული მიაჩერდა, თითქოს ელოდება ამბის გაგრძელებას... ბესამ არაფერი დაამატა.

გ უ შ ა გ ი:

– იარაღი დამიტოვე – წესი წესია!.. (მობოდიშებასავით გამოუვიდა) – ...და მიბრძანდი!..

...ბ ე ს ა:

– ვერ მივაგნებ!.. იქით აღარა ვყოფილვარ!... – იარაღზე ნათქვამს წაუყრუა, გუშაგი უსიტყვოდ წინ გაუძღვა...

...მიწურში, ხის მაგიდაზე სანთელი ანთია... მაგიდასთან ზის პირხმელი, მოკლეწვერიანი მამაკაცი, უქუდოდაა, მოპარსული თავი უპრიალებს... ეს იბაა... წინ ორი ნაგანი უწყვია... წვრილტარიანი ჩიბუხით წეკოს აფშუკუნებს... მისგან მარცხნივ, თაფჩანზე ახალგაზრდას სძინავს, მარჯვნივაც, გუდანურებში გახვეული ორი კაცია მიწოლილი... ესენი შემოხიზნული ქალაქელები არიან...

კარზე არიან მომდგარი გუშაგი და ბესა... გუშაგი ხმადაბლა დაიძახებს და ისმის იბას ხმა (ქისტურად)

ი ბ ა:

– «შემოდი!»...

შესასვლელი ცოტა ირიბადაა შეთხრილი, ისე, რომ, კარს რომ გამოაღებ, შიგთავსს მაშინვე ვერ დაინახავ, ბიჯი უნდა წადგა მარჯვნივ... გუშაგი შემოიხედავს, რაღაცას მოკლედ ეტყვის იბას... იბა თავს დაუქნევს... გუშაგი შეუბრუნდება კარში გაჩერებულ ბესას... ისევ მორიდებით ანიშნებს მაუზერზე... ბესა მოიხსნის და ჩააბარებს... გუშაგი მაუზერსაც იბას წინ დადებს, გაბრუნდება და ბესას შემოუშვებს...

...გარეთ გასვლისთანავე, იქვე, კარებთან, გუშაგს აქეთ-იქიდან დააცხრა ორი ჩეკისტი... ულვაშიანის მაუზერის ტარის ძლიერმა დარტყმამ კეფაში მომენტალურად გათიშა უხმაუროდ... უულვაშომ თავისი «ტესაკის» სწრაფი გაქნევით, ხელდახელ გადაუხსნა ყელი და გვერდზე მიაგდო... ორივე ხის კარს მიადგა...

...ბესას შესვლაზე ახალგაზრდა ფეხზე წამოხტა, ოცი-ოცდაერთი წლის კოხტა ბიჭია, მკვეთრი, ლამაზი სახით... ქალაქელებიც წამოიყაყვნენ გუდანურებიდან... წამოდგა იბაც, ხელი ჩამოართვა ბესას...

ი ბ ა:

– სალამ-ალეიქუმ!.

ბ ე ს ა:

– ას-სალამ!..

...იბამ ახალგაზრდისაკენ ხელი გაიქნია... (ლაპარაკობენ ქისტურად)...

ი ბ ა:

– ეს ჩემი ვაჟია, გუგოი!.. იცნობდეთ ერთმანეთს!..

...ბესამ და გუგომაც ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს... იბა დაჯდა და ბესას მიმართა:

– აბა, დაჯექ ბესავ და ამბავი გვითხარი!..

ბ ე ს ა:

– აბა, იბავ!.. დაჯდომის დრო აღარ არის!.. – თქვა ბესამ, უეცრად წაიხარა, ხელის ერთი მოქნევით დაიტაცა იბას ნაგანი და პირდაპირ სახეში მისცხო ტყვია იბას... ამ დროს გუგო დააცხრა თავის მუთაქას და წამსვე იარაღი ხელში ჰქონდა, მაგრამ კარებიდან შემოვარდნილი ჩეკისტების მაუზერების ცეცხლმა დაარტყა და თაფჩანზე გადააგდო... მაუზერების ცეცხლმა წამში მოიარა მიწური და ყველაფერი დამთავრებული იყო... აქეთ-იქით ტყვიებით მრავალგან დახვრეტილი გვამები ეყარა...

უ ლ ვ ა შ ი ა ნ ი:

– აუჰ!.. კარგი იყო!..

აღმოხდა ულვაშიან ჩეკისტს... აღგზნებისაგან თეთრი ფერი ედო და თვალები მუგუზლებივით უელავდა... ბესას მიუბრუნდა:

უ ლ ვ ა შ ი ა ნ ი:

– რად არ დაგველოდე, როგორც ნათქვამი იყო?.. რად გარისკე?!..

ბ ე ს ა:

– რაი ვიც, აბა?.. ონავარმა წამამიარა!..

გაიღრიჯა ბესა...

უ ლ ვ ა შ ი ა ნ ი:

– ბესა!.. სამხედრო ჩინს მიიღებ!... ჯილდოებიც ჩვენია!..

ულვაშიანმა კმაყოფილებით ჩაიდო იარაღი «კაბურაში».

ამონარიდები (ლაშა თაბუკაშვილი, ბექა ქურხული, შოთა იათაშვილი, ბიძინა ანთაძე, ლალი ავალიანი)

ბატონ ვაჟა გიგაშვილზე საუბარი, ალბათ, აუცილებლად უნდა დავიწყოთ იმით, ვისთან მეგობრობდა: გურამ რჩეულიშვილთან. ეს ძალიან საინტერესო ტანდემი იყო. აქვე, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ეპოქაც, პერიოდიც, როდესაც ამ ბიჭებმა (მაშინ ბიჭები იყვნენ), 50-იან წლებში დაიწყეს საოცარი, სრულიად სხვაგვარი ლიტერატურის შექმნა, და მე არ მოვერიდები ამ სიტყვას, ეს იყო ნამდვილი პროტესტი და ნამდვილი გარღვევა, თუ გავიხსენებთ, რომ 15-20 წლით ადრე ამ ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, საშინელება ხდებოდა, რეპრესიები, 37 წელი, და უცებ გამოჩნდა ხალხი, რომელიც წერდა არა კოლმეურნეობაზე, არა ჩეკაზე, არა კომუნისტურ პარტიაზე... უცებ ამ ბიჭებმა დაიწყეს წერა ჩხუბზე, მთაზე, სიყვარულზე, სექსზე, და როგორც წერდნენ, ისევე ცხოვრობდნენ. ახლა ეს ძალიან ყბადაღებული რამ გახდა: როგორც ცხოვრობ, ისე წერ და ა.შ. მაგრამ, პრინციპში, ეს ისეთივე გარღვევა იყო, როგორც ამერიკაში ბიტნიკები, ან დოვლატოვი, ნეიმანი, ბროდსკი... საერთოდ, როცა ბატონი ვაჟა რაღაცებს იხსენებს, დიდი სიყვარულით იხსენებს ცხონებულ გიორგი შატბერაშვილს, გადასახლებაში ნამყოფ ადამიანს. გურამი მივიდა ბატონ ვაჟასთან და უთხრა, «ცისკარში» გვეპატიჟებიან და ბიჭო, წამოდი, დაგვიბეჭდონ იქნებო, და გიორგი შატბერაშვილმა პირდაპირ გვითხრა, მაგარი მოთხრობებია, მაგარი რაღაცებია, მაგრამ ერთი კომკავშირელი გამოჩნდეს, რომ როგორმე შევაპაროთ ამ ოხრებსო. ბატონი ვაჟა არ ამბობს,

არ მიცდიაო, არ დებს თავს ნონკონფორმისტობაზე, ვცადეო, ეს კომკავშირელი ხან აქედან შევაკვეხე ჩემს მოთხრობებში, ხან იქიდან – არ გამომივიდაო, ვერაფრით ეს ვერ მოვახერხეო და ამიტომ საკმაოდ გვიან დაიწყო ბატონი ვაჟას ნაწერების ბეჭდვა. სხვათაშორის, ახლაც უნდა ვთქვა, რომ მარტო მწერლების წრემ არ უნდა იცოდეს ბატონი ვაჟა, ჩემი ღრმა რწმენით, ის უნდა იყოს ცნობილი მკითხველისთვის, ვიდრე ახლაა.

ნაწყვეტი მოთხრობიდან «შეხვედრა მას შემდეგ»

უკვე გამოვდიოდი, მოვდიოდი რა, და გამომშვიდობების ნიშნად ვიღიმებოდი, როცა წიგნების თაროზე ნაცნობი და დიდი ხნის მიკარგული წიგნი გაილანდა. ნელა მივუახლოვდი. ის არი, ის არ არი... ის იყო. «დრო და ჟამი» - ლადო, ქეცბა, ჯემშიდა, ცალთვალა ბებია, ღვიძლში წაყრილი დანა და გუბეში არეული სისხლი, თხროჟევსკი, არაყში ჩაფშხვნილი პურის ჭამა, «ვილისით» კანჯრების დევნა, ჭალა მტკვრის ხეობაში, იმისი დამცველები, ნადირობა ჩონ-ტაშში, ყირგიზეთში. ჩემი საყვარელი და გამზრდელი წიგნი. თვრამეტი წლის წინ ერთად წავედით კახეთში. იქ დაიკარგა კაცივით. მე არა, მე გადავრჩი. რაღაცნაირად გადავრჩები ხოლმე, გადარჩენა ვიცი ეს ოხერი. კარგა ხანს ვეძებე, მერე მიმავიწყდა. ალაგ-ალაგ კი მახსენდებოდა, დიდი ხნის გადაკარგული ძმაკაცივით, მაგრამ ავუქნევდი ხელს ან თვითონ გაფრინდებოდა და აი, სად დამხვდა. მშვიდად იდო თაროზე სხვა წიგნებთან ერთად. წიგნის ავტორს, ვაჟა გიგაშვილს, ჩახლეჩილი ხმა, თავისი თაობისთვის დამახასიათებელი მსხვილი მაჯები და ძველი, ცხოვრებანანახი კაცის დაღლილი, თითქოს ჩამქრალი თვალები აქვს, ბებერი დამრტყმელის წვრილი, საიმედოდ შენახული თვალები. მაგრად არი შეკრული, მაგრამ მოშვებული ჯდომა იცის – აბა, ჰა, აბა, რაღაო.

ოღონდ ერთ ამოსხეპვას, როცა გინდა, მაშინ ამოსხეპავს. Eეგ ეგრეა, თუ ეგეთი გაჩნდი, თუ ღმერთმა მოგცა ეგა, რაც უნდა დაიღალო და გადაილეწო, რაც უნდა მოიბეზრო ცხოვრება, შენს გასანათებელს მაინც გაგინათებს თვალები. თან ბოლომდე!.. ვიდრე საბოლოოდ არ მიუბრუნდები დამბადებელს – რომელმაც სწორედ ასეთი მოგავლინა ამ პატიოსან და მივარდნილ დედამიწაზე, – სწორედ ამიტომ, რო მოგხვდეს, არ აიცილო, ისწავლო და გაიგოო.

აღარ წამომიღია. იყოს, სადაც არი. წყნარად. ეგ რაღაზე გავხვიო შარში. თან ამდენი შეხვედრა ბავშვობასთან... ძლივს, სულ ახლახან დავაღწიე თავი – როგორც ცაში აჭრილი კოსმოსური ხომალდი თავისუფლდება ზედმეტი ნაწილებისგან. აღარ მინდოდა, რა... ისედაც ვერ ვიყავი.

ეგ კი იყო, იმ ქუჩური ბლატაობის დიდი ნაწილი ჩემი რომ მეგონა, სწორედ ამ წიგნიდან ამომიკრიფავს, სწორედ იმ დროიდან, როდესაც აკოჭლებულმა ამ ბიბლიოთეკის კარი პირველად შემოვაღე.

ბექა ქურხული

მოვიდა მწერალი, რომელიც ცოტას წერდა, მაგრამ რასაც წერდა, ერთი კაშხალის ენერგეტიკას უდრიდა და განცვიფრებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის იდეოლოგიურ გაზის კამერაში თავისუფალი სულის ასეთი ამოტყორცნა მოხდა. [...]

დღეს, როცა კომფორტი და წარმატებულობა მთავარ ღირებებულებად იქცა, მკითხველს ვურჩევდი, დათმოს «თბილი ლოგინი» და ვაჟა გიგაშვილს გაჰყვეს «ცივ ღამეში», რომელიც, მწერლის უნიკალური ხატვის წყალობით, აწკრიალებს დაღლილ და გათხვრილ

სულიერებას, როცა თითქოსდა უცხო რეალობა შენს წარმოსახვაში კი არა, არამედ ჭეშმარიტ რეალობაში შებიჯების შანსს გაძლევს, სადაც ხევსურეთისა და თუშეთის მთები, პამირისა და ტიან-შანის მთებს ეხმიანებიან, სადაც «ნადირობა ჩონ-ტაშში» თამამად ეტოლება ტურგენევისა და ჰემინგუეის მონადირულ თხრობას, როცა თბილისური მიეთმოეთი ბუნების იდუმალების მინდიასებურ ამოცნობას ენაცვლება, სადაც სისასტიკე და სისხლი ცალთვალა ბებიის ცრემლით ირეცხება. და რაც აქამდე ვთქვი, მხოლოდ დეტალია იმ უზადო «რაღაცის», რასაც ვაჟა გიგაშვილის სამყარო ჰქვია, თორემ «მაგრობისთვის» ერთი პატარა შედევრიც იკმარებდა, გურამ რჩეულიშვილზე დაწერილი მოთხრობა, სადაც ძმაკაცის სიკვდილის არმიღება და მისი დაბრუნების მოლოდინი ასე შეგაყვარებს ვაჟა გიგაშვილის მწერლობას!

ლაშა თაბუკაშვილი

ეს მეგობრობა გურამ რჩეულიშვილთან მის ნაწერებშიც ირეკლება. მოთხრობათა ერთ ციკლში იგი მთავარი პერსონაჟია. გურამი ყველგან გურამია, წიგნის ავტორმა კი ამ მოთხრობებში სახელად ლადო დაირქვა. ისინი ერთად დაბორიალობენ, ნადირობენ, ხევსურეთში, ჯანდარის ტბასთან, მტკვრის პირას და ასე, სულ სხვადასხვა ადგილებში. სადღაც ლადო ტლაპოში ეფლობა, გურამი კი ექაჩება, ის უფრო მეტად ეფლობა ტლაპოში, გურამი მეტად ექაჩება და თან სიცილით კვდება. ჰო, კი არ ნერვიულობს, სიცილით კვდება. სადღაც, კლდეებზე, ძალიან სახიფათო ადგილას მიცოცავს და ამ ხიფათის გამო მისი თვალები სიხარულსა და კმაყოფილებას ასხივებენ. «რა უხარია?» – იკურთხება გუნებაში ლადო, მაგრამ ახსენდება, რომ ეს მისი ხასიათია: გურამს საშიშროების წინაშე დგომა

სიამოვნებას ანიჭებს და ეს მისი კეკლუცობა არაა, ის, უბრალოდ, კარგად გრძნობს თავს ასეთ ამბებში. ამ ციკლში არის მოთხრობა «კურელა», რომელიც, ფაქტობრივად, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის «სიკვდილი მთებში» გაგრძელებაა. აქ ვაჟა გიგაშვილი იმ ალფრედ კურელას გვაჩვენებს, რომელმაც უკვე დამარხა თავისი ცოლი და კვლავ ხევსურეთშია, მეუღლის ბოლო სურვილს ასრულებს, რაღაც ფოტოებს იღებს, სვამს, თავისი ცხოვრების შესახებ უყვება მას. ციკლი სრულდება მოთხრობით «სიზმარი», სადაც ვაჟა გიგაშვილი უკვე გარდაცვლილ, წყალში დამხრჩვალ თავის მეგობართანაა, მაგრამ ისევ ისე, მთებში, თითქოს არაფერი შეცვლილა, ეწევა მასთან ერთად, ნიორს ჭამს, კი უნდა, რომ ჰკითხოს, «რანაირად მოუვიდა, რომ მოკვდა», მაგრამ ხვდება, რომ «მურტალი სისულელეა, კაცს ჰკითხო, როგორ მოკვდა, როცა ნიორსა ჭამს და თამბაქოს აბოლებს». «დღე და ჟამს» დანართებიც ახლავს, სადაც არის ფრაგმენტები ინტერვიუდან და ძველი დღიურიდან, და აქ თვალსაჩინოდ ჩანს ეპოქა, ცხოვრების წესი, ადამიანები: დემნა შენგელაია, ნოდარ ჩხეიძე, გიორგი შატბერაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გიორგი შენგელაია, რა თქმა უნდა, კვლავ გურამ რჩეულიშვილი...

შოთა იათაშვილი

ვაჟა გიგაშვილის გმირის გარემო პოსტსაბჭოთა ან საბჭოთა დრო და სივრცეა. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ მწერალი ბოლომდე აშიშვლებს გმირს. გაუთავებელი ბაკქანალია, ნაგანის ტრიალი, მრუშობა, «პახმელიები» ამ გმირისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ამ კაცს ქენჯნის სინდისი და ეს ქენჯნა სიზმარში ცხადდება, სიზმარი კი ამგვარია: ქუჩაში მორბის ტურა. ხალხს ის ძაღლი ჰგონია. და აი, მოთხრობის

გმირი მისდევს ტურას და გახარებული ყვირის: ტურა! ტურა! ტურაა! მერე კი ნანობს: ეს რა ვქენი, ეხლაღა ვხარშე... როგორ ჩავუშვი?» მართლაც, ტურას დასდევენ და დაჭერას უპირებენ, «ჩამშვები» კი სინანულით არის შეპყრობილი. ასეთია ამ აბსურდული სიზმრის ლოგიკა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ეს სიზმარი ქამელეონივით ცვალებადი სინამდვილის ანარეკლია. საერთოდ, ვაჟა გიგაშვილის ნაწარმოების პერსონაჟი ცვალებადი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ეს ცვალებადობები მისი შინაგანი მდგომარეობებია და სწორედ ეს «შინაგანი მოდულაციებია» საინტერესო და არა გარეგნულად ერთფეროვანი ცხოვრება.

ბიძინა ანთაძე

«ერთი ვინმე ყაფლანიშვილი» არის «გამოძახილი და ერთგვარი გაგრძელება» მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებისა»...

ვაჟა გიგაშვილმა ჯაყოიზმის დღევანდელობასთან მისადაგებით, ტენდენციურობისა და ზედმეტი პოლიტიზაციის გარეშე, მიუკერძოებლად გადმოსცა თანამედროვე საქართველოს ყოფა. ავტორი ცდილობს და ახერხებს კიდეც, არ გაამჟღავნოს საკუთარი პოზიცია, იგი «მოამბე-მთხრობელია» და არა ბრალმდებელი ან მსაჯული. რომანის ქრონოლოგია (90-იანი წლები) პირობითია, რადგან ამ წლებსა და დღევანდელ თბილისს შორის სხვაობა მხოლოდ ფასადურია.

ავტორმა XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე გადმონაცვლების გამო უარყო ჯავახიშვილისეული მეტყველების იმიტაცია-სტილიზაცია, აგრეთვე სატირა და გროტესკი. მან ზედმიწევნით კი არ «გადმოწერა» რომანი, არამედ ერთ-

ერთი კონკრეტული ჯაყოს (ჯაყოიზმის არსი უკვდავია) ფიასკო გადმოსცა. [...]

«თავადაზნაურობა მოკვდა, იქნებ სულის არისტოკრატია მაინც გადარჩეს» – ჩაუნიშნავს მიხეილ ჯავახიშვილს 20-იანი წლების უბის წიგნაკში. ვაჟა გიგაშვილმა არისტოკრატ თეიმურაზ ხევისთავს «სულის არისტოკრატი», ისტორიკოსი და ინტელიგენტი იორამ შათირიშვილი ჩაუნაცვლა.

ლალი ავალიანი



სერგეი განდლევსკი

ბიოგრაფია

70-იან წლებში ალექსანდრ სოპროვსკისთან, ალექსეი

დაიბადა 1952 წელს, მოსამსახურეების ოჯახში. 1977 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ცვეტკოვთან და ბახიტ კენჟეევთან ერთად შედიოდა პოეტურ ჯგუფში «მოსკოვსკოე ვრემია». მუშაობდა ღამის დარაჯად, მეეზოვედ, სცენის მუშად, ექსკურსიამძღოლად, რუსული ენის მასწავლებლად საშუალო სკოლაში, მონაწილეობდა სხვადასხვა ექსპედიციებში პამირიდან ჩუკოტკამდე. «პერესტროიკამდე» მისი ლექსები იბეჭდებოდა ემიგრანტულ გამოცემებში. პირველი «სამამულო» დიდი პუბლიკაცია დაიბეჭდა «ლიტერატურნაია გრუზიაში» 80-იან წლებში, რისთვისაც უზომოდ მადლობელია ჟურნალის მაშინდელი მთავარი რედაქტორის, გიორგი მარგველაშვილის.

დღეისათვის გამოცემული აქვს 20 წიგნი, მათ შორის პოეზია, პროზა, ესეისტიკა და თარგმანები.

არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიის ლაურეატი: «მცირე ბუკერი» (1996), «ანტიბუკერი» (1996), «მოსკოვსკი სჩოტ» (2009), «კიევსკი ლავრი» (2009), ეროვნული პრემია «პოეტი» (2010).

მონაწილეა საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალებისა ავსტრიაში, ინგლისში, გერმანიაში, საქართველოში, იტალიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, უკრაინაში, ლიტვაში, თურქეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვეციაში, ხორვატიაში, იაპონიაში.

„დილიდან ღამემდე გონებაში სიტყვებს ბანქოსავით ვურევ“ *(ინტერნეტ-ინტერვიუ. 20 ოქტომბერი)*

შოთა იათაშვილი: ძვირფასო სერგეი, ლევ ლოსევი თქვენ შესახებ წერილში რუხ ფერზე ლაპარაკობს, რომელიც მთავარი იყო იმ ქვეყანაში, საკუთრ თავს «წითელს» რომ უწოდებდა. ის ამბობს, რომ ამ ფერისგანაა შობილი თქვენი პოეზია. მაგრამ როგორ იბადებოდა ეს პოეზია, როგორ იღებდა ჟღერადობას, როგორ იღებდა ფორმას?

სერგეი განდლევსკი: ძვირფასო შოთა, მე ახლა პუნქტების მიხედვით და თავმომწონედ რომ დავიწყო ამ გრანდიოზულ შეკითხვებზე (როგორ იბადებოდა ეს პოეზია, როგორ იღებდა ჟღერადობას, როგორ იღებდა ფორმას?) პასუხის გაცემა, თავს ვიგრძნობ აბსოლუტურ თაღლითად, ხოლო მკითხველები ჩამთვლიან გაიძვერად ან ასპროცენტიან იდიოტად. და მართლებიც იქნებიან.

შ.ი. მესმის. მაგრამ შეგიძლიათ, ის პოეტური ხაზი მაინც გაავლოთ, რომელშიც საკუთარ თავს ხედავთ? არაა აუცილებელი, რომ ეს ხაზი მხოლოდ რუსი პოეტებისგან შედგებოდეს.

ს.გ. კვლავ მოვერიდები პასუხის გაცემას. ავტორს შეუძლია, თავისი პოეტური საგვარტომო ჰომეროსამდეც მიიყვანოს, მაგრამ, ეს მაინც მეტ-ნაკლებად თავშესაქცევი უზურპაცია იქნება. დაე, მკითხველებმა და კრიტიკოსებმა

ხაზონ მისი გენეალოგიური ხე, მათ ამის უფლება აქვთ. ავტორს ევალება, პირველ რიგში იყოს ის, ვინც არის, ხოლო მეორე რიგში, ეცადოს, აჯობოს საკუთარ თავს.

შ.ი. როგორ იყო თქვენს შემთხვევაში, ესთეტიკას და თემატიკას ასაკი მეტად ცვლიდა, თუ – გარემო, პოლიტიკური სიტუაცია, გლობალური ცვლილებები სამყაროში? გასაგებია, რომ ამ ყველაფრის დაშორიშორება შეუძლებელია, მაგრამ მაინც, თუკი საკუთარ პოეტურ ონტოგენეზს და ფილოგენეზს დააკვირდებით, როგორ სურათს დაინახავთ?

ს.გ. მე, როგორც მეჩვენება, ვწერ ცხოვრებისეული გამოცდილების კარნახით (არიან ავტორები, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, კარნახობთ ემოციური მდგომარეობა, და არიან ავტორები, გონების შეგირდები – ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან უხეში სქემაა). ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილება ყველა იმ ინგრედიენტისგან შემდგარი ვინეგრეტია, რომელიც შენ ჩამოთვალე.

შ.ი. «მოსკოვის დრო»-ს ოთხეული და დ'არტანიანი, ათოსი, პორთოსი და არამისი – ხასიათით რომელი რომელი ხართ?

ს.გ. რაკი ასე დაისვა კითხვა, შემოვიფარგლები იმით, რომ იგორ ვოლგინს – საუნივერსიტეტო ჯგუფ «ლუჩ»-ის უცვლელ ხელმძღვანელს მივამსგავსებ ბატონ დე ტრევილს.

შ.ი. თქვენ ძალიან იშვიათად გეწერინებათ თეთრი ლექსი ან ვერლიბრი. როგორია ის განსაკუთრებული მომენტი, როცა გრძნობთ, რომ ამ ფორმითაა საჭირო სთქმელის გამოხატვა? თუ პირიქით, არაფერი განსაკუთრებული არაა ამაში? და საერთოდ, როგორია თქვენი დამოკიდებულება თეთრი ლექსისა და ვერლიბრისადმი? თვლით თუ არა,

რომ ბევრ სხვა ენაში პოეზიის ეს ფორმები უფრო ბუნებრივად შევიდა, ხოლო რუსულისთვის კონვენციური ლექსი მაინც რჩება პრიორიტეტული, და ასევე ექსპერიმენტული, ფორმალისტური ლექსი, ოღონდ – არა ზემოთნახსენები ფორმები. და თუ ამ აზრს ეთანხმებით, რით შეგიძლიათ ეს ახსნათ?

ს.გ. პირველ რიგში, განვასხვაოთ თეთრი ლექსი და ვერლიბრი. თეთრი ლექსი – ეს შექსპირია, პუშკინია და ა.შ. და ა.შ. უზარმაზარი ტრადიციაა, რომელსაც არცთუ იშვიათად და რამდენადაც ძალმიძს, ვიყენებ. რაც შეეხება რუსულ ვერლიბრს, მოდი, ფაქტები მოვიხმოთ, რადგან, როგორც თქმულა, თეორიებში ეშმაკი ფეხს მოიტეხს. პირველი გახსენებით, მე შემიძლია, ძალიან ცოტა ნაწარმოები დავასახელო, რომელიც რუსული ვერლიბრითაა დაწერილი, მაგრამ ლირიკული პოეზიის შთაბეჭდილებას ტოვებს: მანდელშტამის «Нашедшему подкову», რაღაც ბლოკთან, რაღაც ალექსეი ცვეტკოვთან. ალბათ ვიღაც დამავიწყდა, მაგრამ ეს სურათს არ ცვლის – კიდევ ერთი-ორი, და მორჩა, გათავდა. ჯერჯერობით ისეთ მყარ მოვლენას, როგორიცაა ვერლიბრი, არცთუ მცირე რაოდენობის ესთეტიკური წარმატებებით, მე რუსულ ენაზე არ ვიცნობ, ხოლო უცხო ენებს ვერ ვფლობ. რეგულარულ ლექსთწყობაში არის ატრაქციონი – და, პრინციპში, რეგულარული ლექსის არაბუნებრივი წყობაა სწორედ ეს ატრაქციონი. მე ვერ ვხედავ რაიმე ამის მსგავს მექანიზმს ვერლიბრში, არადა ის, ჩემი აზრით, აუცილებელია ხელოვნებაში.

შ.ი. როგორ გიღებთ უცხო პუბლიკა? როგორ გგონიათ, ბევრი იკარგება თქვენს თარგმანებში და თქვენ მაინც რუსულენოვანი პუბლიკის პოეტი ხართ, თუ თქვენი

სახეები, მეტაფორები, განწყობები მაინც, ასე თუ ისე, ადეკვატურად აღიქმება მათ მიერ, ვინც რუსული არ იცის?

ს.გ. რაც უფრო მძაფრად ვლინდება ლექსში სასაუბრო ენა, მით უფრო რთულია იგი სათარგმნად. ვინაიდან სასაუბრო ენაზე წერა ჩემი მიზანი და ოცნებაა (გამომდის ეს თუ არა – სხვა საკითხია), გამოდის, რომ მე შეგნებულად ვიჭრი იმ ტოტს, რომელზეც ვზივარ. ამიტომ ყველანაირი ყურადღება, რომელიც უცხოენოვან პუბლიკაში ჩემ მიერ ლექსების წაკითხვისას ჩნდება, ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა.

შ.ი. ეს იყო ბათუმში. რესტორნიდან გამოვედით, ვეწეოდით სიჩუმეში. გკითხეთ: «სად, რა სიტუაციაში იწერება ყველაზე უკეთ ლექსები?», რაზეც მიპასუხეთ: «ძირითადად, შხაპის ქვეშ იბადება იდეები. მერე, როგორც წესი, დიდი დრო სჭირდება, სანამ ეს იდეები საბოლოო ფორმას მიიღებს.» ორიოდე დღის შემდეგ ალიკ დარჩიაშვილის მანქანით ჯვარზე ავედით. გაწვიმდა. თქვენ იდექით, ზეცას აჰყურებდით, წვიმის წვეთები თქვენს სათვალეს ნამავდნენ. მე წარმოვიდგინე, რომ ამ მომენტში ყველაზე ლამაზი შხაპის ქვეშ დგახართ და ყველაზე მშვენიერ ლექსს ქმნით (სხვათაშორის, 8-9 წლის წინ ამაზე პატარა ჩანახატიც კი დავწერე).

ს.გ. ის, რასაც შენ ამბობ, მეტისმეტად პოეტურია იმისათვის, რომ სიმართლე იყოს. მე მართლა მაქვს ასეთი «შხაპის» სტატისტიკა, მაგრამ ვფიქრობ, საქმე წყალში კი არაა, რომელიც ზემოდან გესხმება, როგორც ბათუმში თუ ჯვარზე იყო, არამედ სრულ მარტოობასა და საკუთარ თავში ჩაძირულობაში, რასაც დილით, ნათელ გონებაზე, როცა დღის გეგმები ჯერ კიდევ გადაზელილია ღამის ხილვებში, ძალუძს ნაყოფის მოტანა – ესაა და ეს.

შ.ი. იქნებ ცოტა რამ კიდევ მოგვითხროთ ლექსების შეთხზვის პროცესზე.

ს.გ. შევეცდები. ოღონდ მოკლედ. მე ადამიანთა იმ მცირე კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც დილიდან ღამემდე გონებაში სიტყვებს ბანქოსავით ურევენ – ერთგვარი მოძრავი ფორიაქია, ტიკი. ხანდახან სიტყვების მორიგ კომბინაციაში შეიძლება ბჟუტავდეს რაღაც ართუ უინტერესო, რასაც ღირს, სულიერი ძალები მიახმარო. შედეგად ამისა, ხანდახან გამოდის ჩემი გემოვნებისთვის რაღაც მისაღების დაწერა. არ ვიცი, სხვასთან როგორ ხდება, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასეა.

შ.ი. თქვენ გარეგნულად თითქოდა ფრიად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ, მეორე მხრივ, მე სულ მეჩვენება, რომ თქვენ შიგნით სულ რაღაც დუღს და მუდამ იკავებთ ემოციებს, რათა უკიდურესობებში არ გადავარდეთ. ეს ასეა თუ არა?

ს.გ. შენ გამჭრიახი ხარ. ასეა, მე ფეხი სულ მუხრუჭზე მიდევს – თითქმის სულ მუდამ.

შ.ი. პოეზია მასებზე უკვე აღარ ზემოქმედებს. ადრე ზემოქმედებდა – ხშირად პოზიტიურად, ხანდახან ნეგატიურადაც. ახლა ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურებსაც კი არ ძალუძთ ეს. პირიქით, მე მეჩვენება, რომ უფრო ჰერმეტულები ხდებიან. და ალბათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზია გართულდა. როგორ გგონიათ, მომავალში, ამ მხრივ, შესაძლოა, რამე შეცვალოს? აი, ბობ დილანს მისცეს ახლა ნობელი. ასეთი ხრიკები უშველის? თუ – მაინც არაფერი შეიცვლება და არცაა საჭირო?

ს.გ. საერთოდ, პოეტების უკმაყოფილება იმით, რომ პოეზია ნაკლებ როლს ასრულებს, ვიდრე საჭიროა, გუშინ არ

გაჩენილა. გავიხსენოთ იგივე ლერმონტოვი:

В наш век изнеженный не так ли ты, поэт,
Свое утратил назначенье?..

მაგრამ დღეს საკითხი, ცხადია, სხვანაირად დადგა.



პირადად ჩემთვის, საუბრები იმაზე, თუ რამ შეიძლება გააძლიეროს პოეზიის გავლენა პუბლიკაზე, და ამ საუბრებიდან გამომდინარე რეკომენდაციები, სრულიად უაზრო და უსარგებლოა: მე ვერ ვგრძნობ თავს საკუთარი შესაძლებლობების ბატონ-პატრონად, ჩემთვის სრულიად უცნობია ეს ეკოლოგია, და ამიტომ ვცდილობ, ხელები არ ვაფათურო ამ ჩემთვის სრულიად უცნობ მექანიზმში, რათა იგი საბოლოოდ არ გავაფუჭო. რაც შეეხება პოეზიის საზოგადოებრივ სარგებლობას, მე ყველაზე მეტად უისტან ჰიუ ოდენს ვეთანხები: «poetry makes nothing happen». სახელგანთქმულობის მოთხოვნილებას ასაკთან ერთად გავუმკლავდი, თუმცა, ფულის მოთხოვნილებას ჯერჯერობით ვერ.

შ.ი.

И, стоя под аптечной коброй,
Взглянуть на ликованье зла
Без зла, не потому что добрый,
А потому что жизнь прошла.

ეს ლექსი ბოროტ 90-იანებში დაწერეთ. გახდა სამყარო ამის შემდეგ უფრო ბოროტი? და გამოგდით, უბოროტოდ

უყუროთ ბოროტების ზეიმს ახლა? თუ არ გამოდის, იმიტომ, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ არ გასულა?

ს.გ. საკუთარ სინდისთან რომ მართალი ვიყო, ვიტყვი, რომ 90-იანები ჩემთვის სავსებით არ იყო ბოროტი. პირიქით: დღევანდელობისგან განსხვავებით, ეს იყო ოზონირებული, დრამატული, და ამასთანავე, ზეიმის დრო. მოხარული ვარ, რომ ეს წლები გავიარე ნათელი გონებითა და მეხსიერებით. სამყარო, რომელშიც ვცხოვრობდი, მას მერე გახდა გაცილებით ბოროტი, იმიტომ, რომ უფრო ფლიდი და მეწვრილმანეა. მინდა, მქონდეს იმედი, რომ ეს გაივლის. დაცემის პერიოდები აქვთ როგორც მთელ ქვეყნებს, ისევე ცალკეულ ადამიანებს. გამომდის, ვუყურო ყოველივე ამას აღუშფოთებლად? მადლობა ღმერთს, რომ არა.

სერგეი განდლევსკი (ციკლიდან „დოკუმენტური ნოველები პოეტებზე“) – შოთა იათაშვილი

ის მუდამ გატრუნულია. კომპანია თანდათან იწყებს შეზარხოშებას, ემოციები მატულობს, ნელ-ნელა უკვე აღარავის უჩერდება ენა პირში – აბა სალაპარაკოს რა გამოლევს პოეტებს შორის – ის კი კვლავაც გატრუნულია. განა არ სვამს, სვამს, მაგრამ გარეგნულად ისეთივე მშვიდი რჩება, როგორიც იყო. როცა მას მიმართავენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება, დაარღვიოს დუმილი და ლაკონური პასუხი ამოთქვას, ან ძალიან, ძალიან იშვიათად გამოიჩინოს ინიციატივა და საკუთარი სურვილით ჩაერთოს ნადიმის დიალოგში. თუ მას პირველად ხედავ, დიდია შანსი, დაიძაბო, ჩათვალო, რომ ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე რუსი პოეტი ამპარტავნებაშია გადავარდნილი, მაგრამ ეს განცდა დიდი ხანი მაინც არ გაგყვება, ვინაიდან მალე მიხვდები, რომ ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. იგრძნობ იმასაც, რომ ის ნაძალადევად კი არა, მთელი ნეტარებით უზის სუფრას და სიმშვიდე და სიტყვაძვირობა მისი სულიერი კომფორტი, მისი მუდმივი ტრანსი თუ მედიტაციაა.

უნდა მიეჩვიო, და თუ მიეჩვევი, მერე შეიძლება, ათი-თხუთმეტი წუთიც კი ბათუმის ღამის სიმყუდროვეში, რესტორნიდან გამოსული იდგე მის გვერდით, სიგარეტი ნებიერად აბოლო და კრინტიც არ დაძრა. და თუ ბოლოს გული მაინც არ მოგითმენს და რაღაცის თქმა მოგინდება, ნუ გეშინია, შეგიძლია ბრძნული აზრების გადმოსაფრქვევად თავი არ შეიწუხო და ბანალური, ჟურნალისტური კითხვა დაუსვა იმის შესახებ, თუ როდის და რანაირად მოდის მასთან პოეტური შთაგონება, რაზეც

ის გაიღიმებს და გიპასუხებს: «ძირითადად შხაპის ქვეშ ვწერ ლექსებს. უფრო სწორად, იდეები ძირითადად შხაპის ქვეშ იბადება. მერე, როგორც წესი, დიდი დრო სჭირდება, სანამ ეს იდეები საბოლოო ფორმას მიიღებენ.»

მისი ეს პასუხი რამდენიმე დღის შემდეგ გაგახსენდება. ღამით, წვიმაში, ავტომანქანით ჯვარზე ავდივართ. ვდგავართ, ვილუმპებით და დავყურებთ მცხეთას. უფრო სწორად, დანარჩენები დავყურებთ, სერგეი კი დგას და ზეცას აჰყურებს. წვიმის წვეთები მისი სათვალის მინებს ნამავენ. სერგეის მეუღლე, ლენა წუხს, მან მანქანის კარში თითი მოიჭეჭყა. მაგრამ სერგეის არაფერი ესმის, ის უკვე სხვაგანაა. და მართლაც, ამაზე უკეთესი შხაპი გაგონილა? ღია ცის ქვეშ, ჯვარზე, მაისის ღამით, ზეცასთან ახლოს...

2008 წელი

განდლევსკის გაგებისთვის –ლევ ლოსევი

რუსულიდან თარგმნა ლელა კოდალაშვილმა

ეპიკური, ბენტამი, ფროიდი და მრავალი სხვა მართალი იყო: ცხოვრების მიზანი სიამოვნებაა და როცა განდლევსკის წიგნს გადაშლი, ამ მიზანს აღწევ.

უფრო იოლია, განვსაზღვროთ შემდეგნაირად — ვის არ ჰგავს განდლევსკი. მას ცოტა თუ აქვს საერთო ბროდსკისეულ თავბრუდამხვევ ინტელექტუალურ და მეტაფიზიკურ სივრცეებთან. მისი განზრახ დაუდევარი ინტონაცია და გაცვეთილი ლექსიკონი სრულ წინააღმდეგობას ქმნის მარინა ცვეტაევას ექსტატიკურ ან იოსიპ მანდელშტამის სიტყვისმიერ მაგიასთან. განსხვავებით ახმატოვას ვითომ მარტივი ლექსებისგან, რომელთაც თავად ავტორი ორმაგფსკერიან სამკაულების ყუთთან აიგივებდა, განდლევსკისთან «რაც ჩანს, ეგაა». მისი პოეზია ნაწილობრივ ბორის პასტერნაკის ლექსებს გაგონებთ; მაგრამ არა ადრეული, არამედ გვიანი პასტერნაკისას; პოეტ ჟივაგოს ვგულისხმობ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მსგავსება საკმაოდ სუსტია. ისინი, ორივენი წერენ ყოველდღიურ ლირიზმზე, მაგრამ შვებას სხვადასხვაგვარად აღწევენ. პასტერნაკს მისია აქვს: ცხოვრებისეული ორომტრიალის ფერისცვალება და მისი ქრისტიანულ მისტერიად ტრანსფორმაცია, რისთვისაც მუდამ იბრძვის. განდლევსკი კი ცხოვრებისეულ პროზას ისეთს იღებს, როგორიც ეძლევა.

და როგორია ის, რაც ეძლევა?

ამქვეყნად არც ისე ცოტაა ისეთი ადგილი, სადაც ადამიანური ყოფის უბადრუკობა მკვეთრ კონტრასტში

მოდის გარემო ბუნების თვალისმომჭრელ დიდებულებასთან — აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური ამერიკა. მანჰეტენზე პატარა გასეირნებაც კი, ცენტრალური პარკიდან ბრონქსამდე, შეიძლება, ორფეოსის ჯოჯოხეთში ჩასვლის მსგავსი დრამატულობით განვითარდეს. კონფლიქტები, წინააღმდეგობები, კონტრასტები აღვიძებს შემოქმედებით წარმოსახვას. მაგრამ რას შეიძლება მიაღწიო ენტროპიით? მთავარი ფერი იმ ქვეყნისა, გასული საუკუნის სამი მეოთხედის მანძილზე თავს რომ «წითელს» ეძახდა, – ნაცრისფერია. ნაცრისფერი იყო ტომარასავით კაბები, რომელიც პროდუქტების რიგებში გამოფენილიყო. ნაცრისფერი იყო მათი ვაჟებისა და ქმრების სახეები, ახლახან რომ გამოსულიყვნენ ციხეებიდან, ან რვასაათიანი ცვლა მიეხრჩოთ ქიმიკატების ქარხანაში. იაფფასიანი არაყი, გამჭვირვალე ბოთლებში, რომელსაც ისინი აჩქარებით ისხამდნენ დღენიადაგ მოღრუბლული ჩრდილოური ცის ფონზე, ბეტონის ჩამოფხავებულ შენობებს შორის, ასევე ნაცრისფერი ჩანდა.

განდლევსკიმ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ცხოვრების ერთფეროვნება და სიღატაკე მაღალი ხარისხის ლირიკად აქცია. და ამას მინიმალისტური საშუალებებით მიაღწია. მის ლექსებში ოცნებობენ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეაკეთონ ძველი საბძელი ან როგორ მოუკიდონ სიგარეტს, როცა ჯიბეში ასანთი არა აქვთ. მისი დიქცია თითქმის არ

განსხვავდება გადავსებულ «ელექტრიჩკებში» მსხდომი ადამიანების ბურტყუნისგან, და ისევეა გადატვირთული სამეტყველო შტამპით. მისი სალექსო ფორმა მკაცრად მისდევს ლექსწყობის იმ წესებს, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან რომ გვახსოვს: იამბიკური ხუთსტროფიანი ან იამბიკური ექვსსტროფიანი მედიტაციური პოეზიისთვის, ანაპესტი – უფრო აღსარებითი სტრიქონებისთვის. და მაინც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ — არაფერი ისე არ აძგერებს ჩვენს გულს, როგორც იამბითა თუ ანაპესტით შესრულებული ამ დაჩეხილი ტექსტების ნაკუწები..

მე შევეცდები, გამოვიცნო განდლევსკის ლირიკის უძლეველი მომხიბლაობის საიდუმლო, და ამისათვის უპიროვნო-სასწავლო მანერით გავაანალიზო მისი ლექსი, «ა. მაგარიკს».

ამ მოკლე ტექსტში ოთხი სტროფია — ანუ განდლევსკისთვის საშუალო ზომისაა. აქ ერთმანეთს ენაცვლება ანაპესტიკური ოთხტერფიანი და ოთხტერფიანი და ამავე განლაგებით – ქალური და კაცური რითმები. მუსიკაში რიტმულ შესაბამისობაში ასეთი ფორმის ალბათ ვალსი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც ძველთაგანვე სენტიმენტალურ მელოდიად თვლიდნენ.

და მართლაც, უეშმაკო, სენტიმენტალური სიმღერების მიმართ სიყვარული, რომელსაც ავტორი უბრალო რუს ხალხს უზიარებს, ვფიქრობ, რომ ამ ლექსის თემაა.

ტექსტი იწყება თხოვნით და განმარტებებით — იმღერონ მომდევნო გამოცლილი ჭიქის შემდეგ და რომ სიმღერა უნდა იყოს «მოთქმითი»:

განშორებაზე, ციხეზე თუკი
იმღერებთ პირზე ქაფით და ნერწყვით,
კოსტრომაშიც და ველიკი ლუკშიც
ვორკუტას მუდამ პატივი ეცით.

ავტორი ციხის რეპერტუარის ტიპიურ სიუჟეტს გვთავაზობს:

იმღერეთ ბიჭზე, რომელიც ავად,
თან თმაჭაღარა შინ ბრუნდებოდა.
სვამდა ნინასთან, ცრემლს სწმენდა კლავა,
სხვა არაფერიც არ უნდებოდა.

აქ, მართლაც რომ გრძნობათა სიჭარბისას, ის საკუთარ თავს აწყვეტინებს (და შენიშნავთ, რომ ამაში არანაირი მინიშნება არ არის მცირეოდენ ირონიაზეც კი).

მეორე სტროფში კი პირველი ექვსი სტრიქონი სარკინიგზო სადგურის ჩანახატებია.

ხელისგულზე ჩანს სადგური ჩვენი,
წყლის ძველი მილი მშვიდად ჩუხჩუხებს.
განშორებაზე მღერიან დღენი.
აღმოსავლეთით დენიან ურჩებს.
სამშობლოს გზები აბნევენ დღეებს,
სტრატეგიული ტვირთია პური.
უმღერე რამე ამ მკვდარ ცხოვრებას.
მაინც ჩლუნგია ეს ჩემი ყური.

თუ პირველ სტროფში პოეტი პირდაპირ მიმართავს მომღერლებს, აქ ის მათ გვერდიდან უყურებს. ადრე არ მესმოდა, რატომ ვხედავ წვიმას ამ სურათზე. ახლა ვხვდები: წყლის მილების ჩუხჩუხი, ბოლო ორ სტრიქონში კი, «უმღერე რამე ამ მკვდარ ცხოვრებას. მაინც ჩლუნგია ეს ჩემი ყური». განდლევსკი მოულოდნელად უბრუნდება იმას, რაზედაც პირველ რვასტრიქონიან სვეტში საუბრობდა. –

როცა ითხოვდა, ემღერათ «მოთქმით.» ამასთანავე, მესამე სტროფი აშკარად საკუთარი თავისკენაა მიმართული. მით უმეტეს, აქაა გასაოცარი მეტაფორა, რომელსაც ვერცერთი ფხიზელი კაცი ვერ შეაფასებს:

შემოდგომობით მინდორზე გადი,
შუბლი სამშობლოს ქარს მიაშვირე.
და არყის ყლუპიც, ვით ცხელი ვარდი
გაგეფურჩქნება მკერდში მაშინვე.

1990-იანი წლების დასაწყისი

მესამე სტროფი მთავრდება სიტყვით «და მესუნთქება ასე», – რაც კატაპულტირებას აღწევს ბოლო, რვასტრიქონიან სვეტში, რომელიც პირდაპირ, ციხის რეპერტუარია:

უჟმური დილით გამოღვიძება.
ბრახუნი კარზე, ბალანდის
დადგმა.
ზურგის შექცევა ბრიყვულ
იმედს და
საცვლებიანად წაყვანა გაღმა.

ანჟამბემანი კიდევ ერთი მსოფლმხედველობის გამომსახველია. თუ – არა? სურათი, რომელიც ბოლო ოთხ სტროფში იხატება, ის არ არის, რასაც ეს ბედკრული დასახვრეტად წაყვანილი უყურებს? ის ხედავს:

წყალსაცავი – დაუფარავს ხორკლებს.
ფანარი კი ძლივს ანათებს ბაქანს.
ცრის. გამვლელი გაუპარსავ ლოყებს
თავის თავთან საუბრისას მალავს.

ასეთია მებიუსის ლენტი განდლევსკის ერთ-ერთი ლირიკული სიუჟეტის: სარკინიგზო სადგურის ახლოს, ცივ, სველ დღეს პოეტი ითხოვს, უმღერონ მას ზონური სიმღერა. შემდეგ ის იქცევა ბრალდებულად — ამ სიმღერის პერსონაჟად — და საბოლოოდ მისი თვალებით უყურებს საკუთარ თავს, რომელიც ამ ლექსს სარკინიგზო სადგურთან ახლოს, ერთ ცივ და წვიმიან დღეს თხზავს.

ამისათვის ის მინიმალურ საშუალებებს იყენებს, მაგრამ ფაქტია, რომ გულს გიხეთქავს...

ლექსები

რუსულიდან თარგმნეს ნათია ორმოცაძემ და ალიკ დარჩიაშვილმა

* * * (ველარც კი აღვწერ ჩემს ღირსებებს...)

ველარც კი აღვწერ ჩემს ღირსებებს და შრომას ამდენს.
მოკლე ნარკვევის დასაწერად ამ დროს ველოდი.
პიონერებთან მუშაობა მაშინ მომანდეს
და მეც ბანაკში მათ ვმწყემსავდი, ვხელმძღვანელობდი.
დიდ შესასვლელთან იქვე იდგა ორი ილიჩი:
ერთი მოხუცი, მეორე კი – პირქუში, მკაცრი.
დილით ისმოდა საომარი ყიჟინი ბიჭის:
– მზად ვარ! – სოფლსაბჭოს კედლებშიაც იგებდა კაცი.
ვერცხლის ქიმერა ბევრი იდგა ილიჩის მსგავსად:
მედროშეები, მებუკენი, სხვებიც ქებულნი.
პიონერი კი მზარეულის სურვილით სავსე
სიყვარულს ხელით იოკებდა მოხერხებულად.

ჩემი ღვაწლი კი გაიშალა, აყვავდა ერთობ,
იგი გადასწვდა შორ ქალაქებს: ომსკსაც და ოშსაც.
სიმონოვი და მე ვითრევდით არაყს და ერთად
კბილებში ვცრიდით ჩვენთვის: «გახსოვს, ჰა, ალიოშა?»
მერე თეატრში შევივლიდი და უფრო მეტიც –
მშვენივრად მახსოვს, მოგვიგდებდნენ რაღაც კაპიკებს,
ჩვენც მსახიობებს ვართობდით და ყალბად ვუკმევდით,
ლაქუცით ნერწყვი მოგვდიოდა – ახლაც მაფიქრებს.
ხოდა, ერთგული ლოზუნგისა: მზად იყავიო,
ვემზადებოდი სიმწიფისთვის ყრმობაგავლილი.
და აღმომაჩნდა, მე ოცდაათს რომ მივაღწიე,
კოლოფ «პამირზე» დახატული ყარიბის ხიბლი.

ირტიში ისევ გუგუნებდა შიშისმომგვრელად.
სირდარიაზე სასწაულებს ათასს ჰყვებოდნენ.
და ჩვენც ვშრომობდით, უხვად იყო საჭმელ-სასმელი,
ხალხი ბოროტი და ვერაგი მეხვია ოდენ.

თვალთმაქცობაც კი შევიყვარე და შევითვისე,
გინება იყო ხუთი სიტყვა ჩემი ათიდან.
თვალებს ჩემივე ოდისეა მიღლიდა ისე,
ვით კინოფირი საბჭოთა კინკომბინატიდან.
შიში დამქონდა ნიღბიანი მკვლელების მხოლოდ,
სხვა ყველა შიშის და სიმხდალის არც ახლა მესმის.
ღმერთის წყალობით, გადავიტან ბოლოს და ბოლოს,
გარს მყავს ამდენი გონდახშული, სულელი მწყემსი.

სუ-206-ის საპატიო წევრი ვარ ახლა,
აქაურობას მე ვდარაჯობ დღეები მთელი,
ნ. სოტკილავა ხელმძღვანელი ერთგული გახლავს,
იგი სახეა მოხიბლული კავკასიელი
ყოვლადუღირსი მოგზაურის. როგორც ველოდით,
ზოომუზეუმს საოცარი ჰყავს ცხოველები:
სახლთმშენებლობის საგუშაგო სამმართველოდან –
შაზო, განდლევსკი, ველიჩანსკი და კიდევ სხვებიც.
კვლავ თავსხმა წვიმა, სახიფათო კვლავ საუბრები,
კვლავ ნამწვავები და აკრძალულ წიგნთა ფრიალი.
ღამის საშიში შეხვედრები შავ სიელების,
ისევ კამათი და სიტყვების ორომტრიალი.

აქ გავჩერდები, თუ შევძელი დამუხრუჭება.
ზაფხულში წავალ ჩემი ნებით, სად მეჩქარება,
მერე ცხოვრება შემომცინებს თვალდახუჭული,
და მეც შევიგრძნობ სილაღეს და ნაღდ ნეტარებას.
როცა პირველად გავუსწორე ანგარიშები
პიონერს, ბანაკს, ძია ვასოს – ჩვენს მეკუჭნავეს,
მერე ნელ-ნელა ჩავალაგე ჩემი ნივთები,
ირგვლივ ბნელოდა, ავდექი და შინისკენ წაველ.
ბავშვებს ეძინათ. ფიზორგი კი საქმობდა მღერით.
და მნეს მკლავებში ჩუმად კვნესდა კვლავ მზარეული.

გემშვიდობები ბანაკო, და შენც, პიონერო,
მსხვილი ცრემლების ჩუმად ყლაპვას რომ ხარ ჩვეული.

* * * (ანგელოზივით, რომ დაწყევლეს ციურ სულეთში...)

ანგელოზივით, რომ დაწყევლეს ციურ სულეთში,
სექტემბერივით, როცა ნელი, გრილი ქარია,
ზოგჯერ ჩემთვისაც ყველაფერი არის სულერთი,
არც დარდი მტანჯავს, სიხარულიც არ მიხარია.
შორეთში უკვე ჩასვენება მზის ილანდება,
ის ისეთივე ლამაზია, ვით სიცოცხლეში,
და ტურგენევის ორი მწყემსის ხმა ყურს ადნება:
– სწავლა კი არა, სირო, სველი ჯოხი ანკესის.
ოხ, ღმერთო ჩემო, – მიიწევდა ისევ, თავიდან
დღის მკრთალი შუქი, ჰამაკიდან სათიბს სწვდებოდა,
ვერ მისწვდა მწვერვალს, ღამესაც ხომ უნდა თავისი.
იცოდე, ჭირსაც წაუღიხართ, თუ მოვკვდები და
არ შემიყვარებთ... ვდგები, ვკრთები, ვსწორდები ცამდე,
თუმცა ამძიმებს საკიდს პალტო, სახლს კი სტუმარი,
მინდა ვიყვირო – გამეცალეთ, პატივი დამდეთ!
და როგორც ლიფტში, აქაც ყველა არის მდუმარე.
N ქალს, ულიფოს დღესაც ახლავს სნობი-ყმაწვილი.
სხვა – როსტოვიდან, ზალცბურგიდან – ეს ონავარი.
მერე ბალახი, ხოჭო, ჩიტი, ბოლოს ყვავილი,
და მეც მკიდია ყველაფერი – აი, მთავარი.

* * * (ჯერ – დედა, მამა დაბრუნდა მერე...)

მშობლების ხსოვნას

ჯერ – დედა, მამა დაბრუნდა მერე
ორმოცდაცხრამეტ წელს დიდი ჯახით.
კვლავ მივაკითხეთ იმ სახლის კედლებს,
სადაც ვცხოვრობდით ერთ დროს ოჯახით.
საგნებმა ძველი ადგილი ჰპოვა.
როგორც სჩვევია კვამლს სიგარეტის,
მთლად გაიფანტა უსამართლობა,
უთანხმოება და უფრო მეტიც –
დავატარებდი მე ყრმობის უღელს,
არ გვინათებდა ჩვენ მომავალი.
და ოჯახს ერთ დროს მყარს, ხელშეუხებს
არ ეტყობოდა სიცოცხლის კვალი.

და ყველაფერი ისევ დაემთხვა
ჩემი ბავშვური გრძნობების კვალად,
ჯერ დედას, მერე მამას, რომ ეთქვა –
ძილინებისა – ჩემს სასთუმალთან
შემოდიოდნენ, და გადიოდნენ
ოთახში, სადაც იყო სულმუდამ
სიცილ-კისკისი, ხმაური ოდენ,
ჭურჭლის ხმა, რა თქმა უნდა, მიუდაც
ისევ რაღაცას ამტკიცებს ცხარედ.
ვიყავი ტანად დაბალი, ხმელი,
მიუდას კუბოს იმ წელს მწუხარემ
ვერ შევაშველე მხარი და ხელი.

იცრუე ხსოვნავ, ურცხვად, უგულოდ,
ბოლო მოწმე ვარ, არავინ გაგთქვამს.
დააცხრე ქარის გრგვინვა-გუგუნი,

რომ ისევ მამის უსმინოს ნათქვამს
ცნობისმოყვარე ბიჭმა თამამმა.
კარგად გაიგოს საუბრის თემა –
როგორ შეაქებს ჭკვიანი მამა
მრავალპარტიულ და მწყობრ სისტემას.

* * * (გასამართლება შენივე თავის...)

გასამართლება შენივე თავის –
სცენა არაფრით გამორჩეული,
მოკლებულია მშვენებას, ხალისს,
არ ჰგავს ხეტიალს უხმოდ, ეულად
რითმის ძებნაში. სიჩუმე ელის
და დარაჯობს ჩემს ახმაურებას.
ბარხუდაროვი, კრუჩკოვი... სხვები
განა ზეციდან მოგვცა ბუნებამ!

ჩვენს პოეზიას აქვს ერთი ჩვევა,
ზიზღით ამტვრიოს ფანჯრის მინები,
საწერ მაგიდის უჯრაში ჩუმად
დამალოს ბასრი დანა გინებით.
ბიძას, შლაპაზე პატივით მტრედის,
ტრიუმო აღბეჭდავს ნაალაფარი.
ნუ მკლავ შიმშილით მე შემოქმედის,
ეს თავისთავად მოხდა ამგვარად.

რაღაც ორჩხომელს ჰგავდა ძალიან,
ჰამაკში მთვლემარ ბეღურას იქნებ.
ეს ხომ ბალია! არა, ალია.
ეს კი ქალია, ანბანს რომ იქნევს.
ტბორზე ჭრიალიც კი გააქვს ორკაპს,
ეს – ანბანური სინაზის ჩვევა.
ხელებში ითხოვს, ნატკენს ილოკავს –
შენზე ვაჩერებ მე დღეს არჩევანს.

მექცა ეჭვებად, ტანჯვად, ბეგარად,
წვეთ-წვეთად დაღვრა მოტივის ისევ.
ახლა მშრალი ხმით ვღრიალებ მწარედ
და ორივე ხელს თავშიაც ვიცემ.

რაღა მე მერგო მემკვიდრეობად –
ორაზროვანი ნიღბის მორგება,
ერთაქტიანი ცხოვრების დრამა,
და მასხარასთან დიალოგები.

რისთვის მერყეობს ჩემი მოტივი,
მითხარი, სანამ ამომხდა სული,
ლხინში სახეზე ბოროტი სხივით
რად აბრუებდი ზღვარგადასული
იმ ლამაზ ყმაწვილს, ძილმა რომ სძლია,
რად წიწკნე სუფრის ფოჩი ყოველი.
ეს ხომ ბალია? არა – ქალია?
შენგან დანდობას აღარ მოველი.

* * * (საავადმყოფოს შენობას ირგვლივ...)

საავადმყოფოს შენობას ირგვლივ
გასდევს აგურის მყარი კედლები.
და დაჭმუჭნული ქაღალდის ჩიტი
დაბნელებამდე ცას თავს ევლება.
ბიბინა მდელო ჩანს ღობის უკან,
გაფენილ სარეცხს თეთრს და ქათქათას
ქალის ხორხოცი არხევს მსუბუქად,
და ნელი ხმები ისმის ნაკადად.

და იმ არაფრით გამორჩეულ დღეს,
ხორხოცა ქალის ხმაურით სავსეს,
მე გულმა გამკრა ანაზდეულად
მიწის ღრმა შრეთა ბიძგების მსგავსად.
მაშინ დამწამეს მე პოეტობა,
მღაღადებელ ხმად მომიხმეს გვიან,
მაშინ ციყვივით უმიზნო შრომას
გამოვეთხოვე დილაადრიან.

ყველაფერს დავთმობ, ოღონდ ნუ ერჩით –
ჩემს მშვიდ გონებას, სახლს მყუდროს და წყნარს,
ასფალტზე ფარნის მოქანავე ჩრდილს,
და მტრედისფერი ალვების ნარნარს.
ჩვენ შემოქმედის ძალაუფლება
გვებოძა ქვეყნად იმისთვის სწორედ,
ვიგემოთ დარდიც, ლხენაც ულევი,
წყენისთვის არვის არ გავუსწორდეთ!

* * * (ყინვის ნაქარგებს ვუმზერდი ხშირად...)

ყინვის ნაქარგებს ვუმზერდი ხშირად.
მხეცუნა ვიყავ, თხელ ჭიპლარს ვები.
და მიმწყვდეული ბავშვობის პირას
ვეღარ ვსუნთქავდი ლაღად და შვებით.
სვეტივით იდგა მტვრიანი სხივი.
და ჩემში იყო სისხლის წრიალი.
და გროვდებოდა ნელა, ნისლივით
ბაბილონური მღერა-ღრიალი,
მხოლოდ ქანქარა არ წყვეტდა გარჯას.

ბავშვების ურდო ჩლიფინა, ბრგვილი,
რუზე შიშველნი დავრბოდით ხოლმე,
ჯერ ისევ ავად ვიყავ ანგინით,
შენი შეცნობა არ მოვინდომე.
მე სხეულს ვზრდიდი პურით და ღვინით,
და სიჩუმეში სულ ბგერა-ბგერა
შენი სახელი წამოვიმღერე,
შემკრთალი ხორცი ცით შევაზავე
და ანგელოზმაც დამიდო ზავი.

ყრმობავ! იქნება გიჯობდეს დაცდა.
ათის ვარ. ჩემს სულს ჯერ ვერ დაარბევ.
ნაერთი ღმერთის და ლიმფურ კვანძთა –
უკვე ვგრძნობ ჩემში უფლის სიჭარბეს.
სკამი და მერხი გადაცვეთილი.
გული კანკალებს. იფშვნება ცარცი.
და ასე კვნეტით ნუნის და ფრჩხილის
ასო-ასო ვწერ: «სხვა კაცი ვხდები».
მხიარული და ერთგული ძმები –
ფრიადოსნები და გარეწრები

წუხან. და მეც ვარ შეწუხებული
გავახელ გუგებს და ხელის გულით
სახეს მოვიწმენდ განახლებული,
ვიმპელებს, სტენდებს ნაბიჯით ჩქარით
ჩავივლი, გავალ სკოლის წინკარით.
იანვრის სუსხი მიკაწრავს სახეს.
ხუთ ველურ გრძნობას მეექვსე ავსებს.
ვფრთხილობ, მომავლის ამაო სარკე
არ შეერიოს თოვლის სისავსეს.

* * * (შავი სხეულით ლირიკა დამაქვს...)

შავი სხეულით ლირიკა დამაქვს,
ამაღლებულზე ვკამათობ ხშირად,
და ყავა რომ არ გადმომიდუღდეს,
ვაქრობ მორჩილად.
ციური მღერა, მარადი ღამე –
ვცხოვრობ ზეცაში, ვარსკვლავებს ვაქრობ.
მოკლედ ვთქვა, არის სულ ჩემი ნება –
შაქრით, უშაქროდ.

მეტაფიზიკურ ამბების ფონზე
ჩააქრე ცეცხლი ნელი, მბჟუტავი.
და შეეჩვიე ბნელს და სიჩუმეს,
ბნელს და სიჩუმეს დაუდე ზავი.
ნელა გაუშვი საპნის ბუშტები
და მოიკრიბე დღითიდღე ძალა.
აივსება და გადმოიღვრება –
ლექსად, თუ მოხდა და მოგეძალა.

* * * (ასობით ტონა საბრძოლო რკინა...)

ასობით ტონა საბრძოლო რკინა
დაჭირხნა კრემლის კედლებმა მრუმემ.
ფეხებში მიწამ მოგვიღიტინა
და არ დაენდო ზათქებს სიჩუმე.

საღამო იყო. წინადღე ლხინის,
ტაქსის ლოდინში ლამის ინათა.
წინადღე იყო სხვისი ქორწილის,
პირადი დარდის იყო წინადღე.

კვალიც არ იყო იქ სულიერის,
კარანტინს როგორც შეშვენის – უხმოდ,
ამ შუაღამემ შეკრა ძლიერად
ჩემთვის ძვირფასიც, ძალიან უცხოც.

უიღბალობა არის ორპირი.
გულს აცხოველებს, აახლებს დარდი,
პირზე შეგვრჩება მწარე ღიმილი
და გახელილი თვალები ფართოდ.

ისევ ბატალურ ღუმელში წრთობა,
ადამიანთა ასობით მსხვერპლი,
ჩვენ ამ ღუმელში ვსწავლობთ უტყვობას,
დიდხანს გაგვყვება სიმწარე ფერფლის.

დედაჩემმა კი დაბადა ბავშვი,
განა თოჯინა გუგუნა ჯავშნით.
ნუღარ გამომცდით და ნუ მაწამებთ,
მეც მათქმევინეთ, სიტყვა მაცალეთ.

მიწა იძვროდა ზათქით, ქუხილით.
ტანკებით სავსე კრემლის ალაგი.

სალამი, ჩემო დიდო წუხილო,
წვეთო სიცოცხლევ რკინის ქალაქში!

* * * (ვტკბები, ბოდვას რომ ვისმენ ჩემივეს...)

ვტკბები, ბოდვას რომ ვისმენ ჩემივეს,
ვარ ძველი ლოთი, წელში მოხრილი,
როცა ჩავივლი ამ გრძელ ხეივანს,
გზაში მომისწრებს მარადი ძილი.

როცა მინდორში ვდგავარ მარტო მე,
შფოთიანი და სულით მბორგავი,
ამ ტყე-მინდვრების დღეს მეპატრონე
და ბატონი ვარ ჩემივე თავის.

კვლავ შემოდგომას მივაპყრობ მზერას.
ტყე შებილწული, გადამწვარია;
მე – ცხოვრებისგან გაწბილებული.
მხოლოდ ტყე მტკივა ასე ძალიან.

* * * (ქალაქელს უყვარს სოფლის ბუნება...)

ქალაქელს უყვარს სოფლის ბუნება.
შვებულება აქვს ეს კვირა მთელი,
ბოსტანში გარჯით პოულობს შვებას,
სულის სიმშვიდეს ეძიებს, ელის.
იაპონელზე უფრო ბეჯითი,
ფოთოლთა ცვენას გრძნობს შემოდგომის,
შუქმიმქრალ მზეს და ცის მარგალიტებს,
შრომობს, ირჯება კვლებს შორის მდგომი.

მიყვარს ტირილი მორცხვად, თვალდახრით!
აღსასრულს ელის ბაღი პატარა,
შემოუძარცვავს სამოსი თალხი
და იცდის ასე, საცვლის ამარა.
მწერი დამიდის ხელზე ლასლასით.
ქუჩის ძაღლების ყეფამ იმატა.
რა ელეგია – მე გათვლასავით
სიტყვები რაღაც ამეკვიატა.
მასზე, რომ მოდის განსჯა-განკითხვით
თეთრი ნისლიდან ეს მთვრალი მთვარე,
ჯიბიდან დანას იღებს და რიხით
აცხადებს, გულში ვის გაუტარებს.

ჯერ ხომ ადრეა მასზე ბაასი.
დაგვიგვიანდა ბჭობა ამაზე.

* * * (მოწყენილობამ დაივანა, თითქოს ბილიკით...)

მოწყენილობამ დაივანა, თითქოს ბილიკით
გამომშრალ ბორცვზე ამოვედით სულ ნაბიჯ-ნაბიჯ,
მერე მოვთავსდით ჩვენ როგორღაც ხრამის პირისპირ –
მე ფიჭვის ძირას, შენ კი – კუნძზე მაგ ჭრელი კაბით.
რაც წარმოუდგა მაშინ მზერას დაღლილს, დაბინდულს,
არ დაიჯერებ: ჟღალ სივრცეში მზე ნელა იწვის,
იქ დიდებული მონასტერი ამშვენებს მინდორს,
ლამაზი მდელო, ვრცელი ტბები, ტყეები ფიჭვის.
დავადგებოდით სანამ ხვეულ მონასტრის ბილიკს,
გზას რომ ფარავდა ბალახები მოუცელავი,
გული ვიჯერეთ ერთად ყოფნით, სიტყვებით ტკბილით,
ველზე ვიჯექით და მუხლებზე გვეწყო ხელები.
გახსოვს სურათი? მონადირე ტოვებს ტყის ალაგს,
თებერვლის ღამეს თან ძაღლების ხმაური სდევდა.
ქალაქში არვინ იცნობდა ჩვენს თავგადასავალს,
და ჩვენც ყოველთვის გვიზიდავდა ამგვარი სევდა.
ისე ვდარდობდი, თითქოს ცხადი იყო ყოველი,
სინამდვილეში არც ტბები და არც მინდორია.
გადამხდენია უარესიც, მაგრამ გავძელი,
თუმცა ეს სულ სხვა ამბავია, სხვა ისტორია.

* * * (მაწოდებდა ებრაელურ კერძებს...)

მაწოდებდა ებრაელურ კერძებს,
ანტიკვარულ მაგიდასთან მსვამდა,
ბრუდერშაფტზეც ჩემთან ერთად სვამდა
და თქვენობით მომმართავდა, როცა
გამოშალა ლოგინი და მომცა,
ჩასტუშკებში რომ მღერიან ისე,
ისტერიკაც გამიმართა მყისვე,
მაგრამ რადგან ონეგინის მსგავსად
ვქმნიდი პეტრეს მეც ასანთის ღერებით,
მთელი ღამე კოცნითა და ფერებით
დამღალა და არ გამიშვა არსად.
შეიფერთხა ფრთები გედის ჭუკმა,
უცებ ყელში გამეჩხირა ლუკმა,
და პირველმა რითმამ, არც თუ ცუდმა,
თავისუფლად მოინდომა ცურვა.
ჩვენ რა, არა ვართ აქ მატროსები?
აი გემბანი, აი ტროსები,
ზურგის ქარიც ქრის, რუსეთი, ლეთა,
და ლორელეაც იმედს იძლევა,
მინიშნებები არის რამხელა,
მაგრამ ყველაფერ ამის გამხელა
არასდიდებით არ შეიძლება.

* * * (ბარატინსკი, ვიაზემსკი, ფეტი...)

ბარატინსკი, ვიაზემსკი, ფეტი,
წაიკითხეთ სხვაც, რაც გინდათ, ის,
სიკვდილია ბნელ ღამეზე მეტი
და ის ყველა ჩვენთაგანში ზის.
შემოდგომა ახლა ზამთარს ერთვის,
საახალწლოდ კონიაკის სმას
ვინ დამიშლის, გუდურა ვარ ნეხვის
და ის მართობს, რაც აწუხებს სხვას.
სარკეებსაც ნაცნობივით ვხვდები,
როგორც მინდა, ვათამაშებ რითმებს,
ლამის თავზე დამათეთრდეს თმები,
მე კი მაინც ვორჭოფობ და ვითმენ.
ცხენკაცივით გავიღვიძებ მყისვე
რა წუთშიაც ირიჟრაჟებს გარეთ,
ყველა, როგორც შეუძლია, ისე
აღებს თავის ჯოჯოხეთის კარებს.

პოეტური სამზარეულოს მეტაფიზიკა

რუსულიდან თარგმნა ნათია ორმოცაძემ

ლექსის შექმნა – ავტორის უნებისყოფობის აღლუმი, შემთხვევითი სამეტყველო ფორმების თავმოყრაა.

ხშირად ზოგიერთი გამოთქმა ხიბლავს სმენას, ინტონაციურად მიმზიდველია და ბევრს გვპირდება. იგი გონებით გადაისინჯება და გადაიდება შესაფერისი დროისთვის: ჯერჯერობით არ არის საჭირო. თუმცა მომავალ ლექსთან მიახლების წამები ფოტოგანათებასავით გაიელვებს; ყველა შთაბეჭდილება თუ ცხოვრებისეული წვრილმანი, რომელიც თან ახლავს ამ წამს – ტრამვაის ლოდინი, ნელი წვიმა, სახეები რიგიდან – ზემგრძნობელობით სამუდამოდ გებეჭდება მეხსიერებაში.

ამ წუთიდან შენს მეხსიერებას ხიჭვივით აწუხებს ფრაზა-კამერტონი, რომლისკენაც კვირების, თვეებისა თუ წლის განმავლობაში მოედინებიან მისივე მონათესავე ტონალობის ფრაზათა ნაგლეჯები.

ნელ-ნელა ეჩვევი ამ სიახლეს, ვარაუდით გადასინჯავ მის მომავალ თანმხლებ სიტყვებს, და ბოლოს შეგიძლია, წაიმღერო, «გამოთქმით» წაიკითხო ერთი სტრიქონისგან შემდგარი ჯერ არარსებული ლექსი. ახლა ამ სავარაუდო ინტონაციას სჭირდება შინაარსი, ისევე, როგორც დაძაბულ ურთიერთობას – ჩხუბის მიზეზი, რომელიც ამ ინტონაციის ერთგვარი გამართლება იქნება. დამწყები ავტორი გარკვეულ უხერხულობას გრძნობს ამ უპრინციპო სიმსუბუქის გამო, რომლის დროსაც ლიტერატურული ნაკეთობის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს ლექსის თემაც, მაგალითად: ცალმხრივი სიყვარული, შესაძლოა,

ჩაანაცვლოს სიკვდილის შიშმა; ეს უკანასკნელი – მწერლობის პროფესიის სირთულემ. ეს უხერხულობა გაივლის მაშინ, როცა ავტორი მიხვდება, რომ ეს ლექსმა უკეთ იცის. და ის იშვიათი შემთხვევები, როცა საკუთარი ძალისხმევით აიძულებ თავს, ბოლომდე მიჰყვე შენ მიერ არჩეულ თემას, სრულდება არა სრულფასოვანი ლექსის შექმნით, არამედ გარითმული აზრის პარალელური გადმოღებით, რომელიც, როგორც წესი, საკმაოდ უინტერესოა.

მუშაობის საწყის ეტაპზე საჭიროა ნაკლები «მუშაობა» – არ გავიღვაროთ ოფლში, არ შევუშალოთ ხელი, რომ ლექსი თვითონვე დაიწეროს. ასე იქმნება ლექსის საერთო შტრიხები. ამის შემდეგ უკვე საქმეში შრომისმოყვარეობის, აკურატულობისა და ვერსიფიკაციული ჩვევების ჩართვა ხდება საჭირო. ისევ უნდა გადავაბიჯოთ საკუთარ სურვილებს, ამჯერად რითმისა და მოცულობის სასარგებლოდ. ოღონდ ეს მსხვერპლი ძალიან იშვიათად, უმნიშვნელოდ თუ შეცვლის ჩანაფიქრს, ვინაიდან ლექსი უკვე არსებობს. არსებობს მისი პათოსი და აზრი, რომელსაც, როგორც წესი, ვერ გადასწონის ხოლმე შესწორებების შედეგად მიღებული ცვლილებები.

საქმე გაკეთებულია. მიუხედავად იმისა, რომ მთხზველობა ცვალებადი პროცესია, სასიამოვნოდ გაოცებთ იმის შეგრძნება, რომ ლექსს გააჩნია არსი, და იგი იმაზე გაცილებით ღრმა და მაღალსულიერია, რაზეც ჩვეულებრივ ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ.

ვერაფრით უწოდებ ასეთ მოღვაწეობას პროფესიონალურს. რომელ პროფესიონალიზმზეა ლაპარაკი, როცა ბოლო მომენტამდე არ იცი, გამოვიდა თუ არა რამე, და რა გამოვიდა საერთოდ. გროშადაც არ ღირს წყალგამყვანის,

ქირურგის, მშენებლის შრომა, რომელიც მუშაობისას ეყრდნობა მბჟუტავ იმედს, რომ იქნებ რამე გამოუვიდეს. აქ კი შემთხვევითობაზეა დაფუძნებული ყველა, ან თითქმის ყველა იმედი. ანუ – შეიძლება დაიწეროს მყარი, საშუალო არითმეტიკული ლექსი «გარანტიით», მაგრამ მას დიდი დღე არ უწერია.

წლების განმავლობაში ეჩვევი დროის ასეთ განუმეორებელ გატარებას და ერთხელაც ამჩნევ «შესაქმის» წიგნის პირველი თავის ძალიან ნაცნობ უცნაურობას. უფალი თავდაპირველად ქმნის ნათელს, ხმელეთს, ზღვას, ფლორას, მნათობებს, ფაუნას, ადამიანს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიგრძნობს, რომ ეს «კარგია». სწორედ ასეთი თანმიმდევრობით, სწორედ ამის შემდეგ. და შემოგეპარება ეჭვი, რომ სამყარო სასწაულითაა შექმნილი – ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაგებით.

ბევრი ლაპარაკობს რელიგიისა და ხელოვნების იდუმალი კავშირის შესახებ. ეს კავშირი ნამდვილად არსებობს, ოღონდ არა ზნეობრივი, არამედ სულ სხვაგვარი. ის არ არის იდეოლოგიურად სწორხაზოვანი, როგორც ეს რწმენის ენთუზიასტებს წარმოუდგენიათ.

არსებობს ყველასათვის ნაცნობი საბავშვო თამაში: ორნი თოკს ბოლოებით ატრიალებენ, ხოლო მესამე კი მათ რიტმში ამ თოკზე ისე ხტის, რომ ფეხები არ შეახოს მას. ასევეა აქაც: ხელოვნებაში ბევრი რამაა დამოკიდებული მხატვარზე, მის პიროვნებაზე, პროფესიონალიზმზე; ბევრი, თუმცა – არა ყველაფერი. ჩვენ გარეთ და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს სხვა ძალა, რომელსაც თუ მხატვარი არ გაითვალისწინებს, ვერ შეძლებს «აფრენას», და თამაშიც არ გამოვა.

«ენის კანონები», «მასალის თვისება» ეს განმარტება კი არა, შელოცვაა: და თხოვნა, რომ ფორმულირება გავუკეთოთ ამ კანონებს ან ჩამოვთვალოთ მათი თვისებები, მკაფიო პასუხის გარეშე რჩება.

ნიჭიერი ადამიანი უნიჭოსგან განსხვავდება იმით, რომ რქებით კი არაფერს ეჯახება, არამედ ინტუიციურად ითვალისწინებს ამ სტიქიას, რომელსაც უფრო მარტივად ძველ სახელს, «ჰარმონიას» ვუწოდებდი. რაც უნდა ნაციონალისტი ან ათეისტი იყო მრწამსით, თუ ხარ ხელოვანი, ყოველ ნაბიჯზე ღალატობ საკუთარ პრინციპებს, ვინაიდან ითვალისწინებ რაღაც აუხსნელსა და ზეჭეშმარიტს.

ყველამ, ვინც კი დრო და ძალისხმევა ხელოვნებას დაუთმო, იცის, რომ ხელოვნება არის მოწყობილობა, ისიც არა თავისუფალი, არამედ სამყაროსთან თანხმობაში მყოფი. ვფიქრობ, რომ არანამდვილი, შეთხზული სახეები და გარემოებანი, რითაც ავტორები ხიბლავენ ჩვენს წარმოსახვას, არიან არა მოფიქრებული, არამედ ამოცნობილი. ისევე, როგორც სულაც არ არის ნიუტონის მიერ გამოგონილი ის კანონები, რომლებიც მის სახელს ატარებენ. ლიტერატურულ გამოცდილებას ნაზიარევი მკითხველი საკუთარი ნამდვილი ცხოვრებისგან განასხვავებს სხვათა გამოგონებებს: «დოსტოევშინას», პლატონოვის ადამიანებს, ნაბოკოვის საბედისწერო იუმორს.

ხელოვნება – არ არის «მომღერლის უგონო ჟინი»და სიხარული მართებული პასუხის შემთხვევაში, ის არის მოწაფებრივი სიზუსტე, რომელიც დედანს ფეხდაფეხ მიჰყვება. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსი, რომელიც წერის პროცესშია, გიტოვებს განცდას, რომ შენთვის

აუცილებელი «საუკეთესო სიტყვები საუკეთესო თანმიმდევრობით» უკვე სადღაც არსებობენ, უბრალოდ, კარგად უნდა მიმოიხედო – «იპოვნო მონადირე», რომელიც მზაკვრობით ცდილობს შენი გზის აბნევას. მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინება და ბეჯითი შრომისას გამოყოფილი ენა ძალიან ჰგავს «უგონო ჟინს», საქმის არსი ამით მაინც არ იცვლება. დაუღალავ შემოქმედებით შრომას ადრე თუ გვიან მიჰყავხარ აზრამდე – იდეალური ორიგინალის, შემოქმედების, აქ კი – თვით შემოქმედის შესახებ. მხატვარს შეუძლია, საკუთარი თავი შფოთისთავად მიიჩნიოს, უფლება აქვს ამგვარადვე გამოიყურებოდეს ხალხის თვალში, მაგრამ, მეორე მხრივ, ის უფლის წარჩინებული, ღვთის სიტყვის მოზეპირეა, ვინაიდან თვით ხელობა აიძულებს მას, კვერი დაუკრას სამყაროს ამგვარ მოწყობას.

რატომ გვიყვარს ხელოვნება? რატომ არის გასაგები მხატვრული ხელოსნობა? – იმიტომ, რომ ის ცხოვრებას ამშვენიერებს. რატომ ვისმენთ ერთსა და იმავე მუსიკას, რომლისგანაც სული გვეკუმშება და გვავიწყდება, რომ გაზზე რძე დავდგით? რატომ ვკითხულობთ გაბზარული გულის, უკუღმართი ბედის, სიკვდილისა თუ ტრაგიკული მარტოობის შესახებ? განა ჩვენივე უსიამოვნებანი არ გვეყოფა? არსებობს ამის ძველბერძნული განმარტება – კათარზისი, თანაგრძნობით გამოწვეული ამაღლებული ნეტარება და გასხივოსნება.

ძველი განმარტება არ არის ბოლომდე დამაჯერებელი, ამოუხსნელი რჩება განათლების ბუნება. რატომ არ ტოვებს ძლიერი თანაგრძნობა ადგილს სხვა, მათ შორის სასიხარულო გრძნობებისთვის, ხელოვნება კი სწორედ დაგემოვნების შემდეგაა მშვენიერი? იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელოვნებაში ყველაფერი საგანგებოდ,

სპეციალურადაა? უბედურების თამაში განა ოდენ უსირცხვო შვებით ამოსუნთქვაა შორეულ დაკრძალვაზე? ეს ცინიკური განმარტება მაინც არ ჩანს სამართლიანი, მხოლოდ თანაგრძნობით არ შეიძლება ამოიწურებოდეს გასხივოსნების მიზეზები. ისევ ბიბლია გავიხსენოთ.

ბახიტ კენჟეევი, ალექსანდრ სოპროვსკი და სერგეი განდლევსკი ბაზარში ყიდიან საკუთარი ხელით შეგროვებულ წითელ მოცვს. სავარაუდოდ 1979-80 წ.

«იობის წიგნი» იდუმალებით მოცულ წიგნად ითვლება. მისი ყველაზე მძიმე ადგილია უფლის პასუხები მრავალტანჯული იობის შეკითხვებზე. უფალი ნაცვლად იმისა, რომ დაამშვიდოს, განუმარტოს, არსობრივი პასუხი გასცეს იობს, საზეიმოდ ჩამოატარებს მის აზრობრივ ხედვაში დიდებული ქმნილებების მწკრივს: ვარსკვლავებს, ყინულს, ზღვებს, უდაბნოებს, ცხოველებს, ფრინველებს, თითქოს აღფრთოვანებით ხელახლა შლიდეს თავისსავე შექმნილ ცხოვრების წიგნს. ჩესტერტონის წარმატებული გამოთქმის თანახმად, შემოქმედი კითხვას ძახილით პასუხობს. და ეს ალოგიკური პასუხი ჩვენთვის მიუწვდომელი სახით აკმაყოფილებს იობს. იობი გარკვეული დროით ტოვებს შესაქმის პერსონაჟის

ჩარჩოებს და იზიარებს შემქმნელის აზრს, სწვდება ქმნილების არსს და უმალ უქრება თხოვნა-მუდარის მწუხარე და მომთხოვნი ჟინი.

გამოვიყენოთ გამოცდილება, ავაჯანყოთ რომელიმე ლიტერატურული გმირი. მოდით, კნიაზმა ანდრეიმ შესჩივლოს ტოლსტოის, მოსთხოვოს სამართლიანობა, უსაყვედუროს – რატომ წაართვეს მას საცოლე, რატომ შეუშვეს ფრანგები მამამისის მამულში, რატომ შებღალეს მისი ცხოვრება და ბოლოს მოკლეს ის. აქ ტოლსტოის შეეძლო, ეპასუხა მისთვის – უმჯობესია, თვალ-ყური მიადევნო ჩემი ეპოსის მწყობრ და წარმტაც მოძრაობებს. განა ის არ მოგხიბლავს? განა ამ სიმაღლიდან რაიმედ წარმოჩნდება შენი პატარა, უკუღმართი ბედი? ის, პიერ ბეზუხოვი და თავადის ქალი მარია რომ ენუგეშებინა, დიდებული რომანიდან, საუკეთესო შემთხვევაში, მელოდრამა დარჩებოდა.

მეორე მაგალითი. ერთი შესანიშნავი ლიტერატორი გაოგნებული, თითქმის აღშფოთებული იყო პუშკინით, რომელიც ერთნაირად ლოცავდა კატორღელ «в мрачных пропастях земли» და ჩინოსან მეგობრებს «в заботах... царской службы», რომელთა ხელითაც მოხდა დეკაბრისტებთან ანგარიშსწორება. ამ ლიტერატორს ექნებოდა აღშფოთების ყველა საფუძველი, პუშკინს კერძო საუბარში რომ ეთქვა ასეთი რამ. მაგრამ საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ლექსებმა – ჰარმონიის უძველესმა კატაპულტმა – პოეტი სამყაროს იმ შემოქმედებით, ავტორისეულ იარუსზე აიყვანა, საიდანაც კურთხევას იმსახურებს ყველა, მხოლოდ იმის გამოც კი, რომ ისინი მოქმედების მონაწილენი არიან, ვინაიდან ავტორისთვის არ არსებობენ საძულველი პერსონაჟები, მაშინაც კი, როცა ისინი ბოროტმოქმედნი არიან.

ვფიქრობ, ეს არის მთავარი მიზეზი კათარზისისა, ხელოვნური გასხივოსნებისა. არა იმდენად თანაგრძნობა, რამდენადაც ხედვის კუთხის შემობრუნება. ხელოვნების მაგიურ კრისტალში, როგორც გამჭვარტლულ შუშაში, უეცრად შეუიარაღებელი თვალისთვის დაფარული რამ შეიძლება დავინახოთ – სინათლისგან განძარცვული მზის დაბნელება. ჩვენ აღარა ვართ პერსონაჟები, ფიგურები, თუნდაც ლაზიერი დაფაზე – და მოკლე დროით მთელი პარტიის მეთვალყურენი ვხდებით. ჩვენ ვხდებით თანაავტორნი, ჩვენთვის მანამდე უჩვეულო მჭვრეტელობითი უნარი ხედავს გასხივოსნებას: და ყოველგვარი თავის მოტყუების გარეშე ვპოულობთ ნამდვილ სიმშვიდეს. მე გავრისკავდი და ამ ძვირფას შეგრძნებას ჭეშმარიტებად შევრაცხდი. რომელიც უნდა იქნას გაგებული არა როგორც ფორმულა ან სახელმძღვანელო, არამედ როგორც მდგომარეობა. ხელოვნება არის ჭეშმარიტების არსებობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები ფორმა, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების ამ უბანზე.

როგორც ჩანს, ხედვის კუთხის შემობრუნებასა და ხელოვნების ფერისცვალების უნარში, დევს პასუხი გაოცებულ შეძახილზე – «საიდან რა მოდის» მაშინ, როცა ფიქრობ, რომ ხელოვანი «თავისივე თავის ღირსი არ არის». პროფესიული სამზარეულო, ჰარმონიის სტიქიასთან ურთიერთობა აღამაღლებს პოეტს, რაც არ უნდა უღირსი იყოს ის «სამყაროს უღირს შვილთა შორის», და მასთან ერთად შთაბეჭდილებით სავსე მკითხველიც აჰყავს იმ სიმაღლეზე, საიდანაც სამყარო მოჩანს არა ბრაუნის შემთხვევით მოძრაობებად, არამედ გააზრებულ მოზაიკურ სურათად.

ჩვენ ვხურავთ წიგნს და კვლავ ყოფა-ცხოვრების მონაწილეები ვხდებით. მაგალითად, მივდივართ მომაკვდავი ნათესავის მოსანახულებლად. და ჩვენ დაგვერქმეოდა არა ადამიანები, არამედ არაადამიანები, რომ იგი სამყაროს მოწყობის ეპიკურობით დაგვემშვიდებინა: ჩვენ ისევ ვხდებით ცხოვრების მოქმედი პირები და კვლავაც ბუკვალურად ვუდგებით მას. ხელოვნების შედევრები კი გვაიძულებენ, რომ შევხედოთ ცხოვრებას შემოქმედებითად, ბოლომდე ვეზიაროთ ყოფის სრულყოფილებას. ეს არის ხელოვნების მეტაფიზიკური არსი და სარგებელი, მიუხედავად იმისა, ბიწიერი იქნება მისი შინაარსი თუ უბიწო. როგორც კი ყოველდღიურობის ბორკილებისგან ერთი საათით ან საათნახევრით გავთავისუფლდებით, უმალ შევაბიჯებთ ჭეშმარიტებაში, საიდანაც კითხვის დასმაც კი არამართებულია, სადაც გამოუყენებელია ჩვენი ფიქრის საგანი, სადაც სხვაგვარი ყოფაა – და სწორედ ეს გვაიმედებს.

ცეკვა გუთანზე

რუსულიდან თარგმნა ლელა კოდალაშვილმა

გ. ფ. კომაროვს

I. და საერთოდ, რა საჭიროა ლექსები?

ღმერთმანი, არ ვიცი. მე მგონია, თუკი ვივარაუდებ, რომ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა გადასარევად გამოდის იოლას პოეზიის გარეშე, დიდად არ შევცდები, და ეს მათზე, როგორც ადამიანებზე, არც ცუდს ამბობს და არც კარგს: აღნიშნული კატეგორია, უბრალოდ, არანაირ სიამოვნებას არ იღებს ლექსისგან.

ინგლისელმა კლასიკოსმა უისტან ოდენმა გამოკვეთილად თქვა: «poetry makes nothing happen», ეს სიტყვები, შეგვიძლია, ვთარგმნოთ ასე: «...პოეზია არაფერს არ ატრიალებს», ან უფრო თავისუფლად – «პოეზია ჰაერის შერყევაა». და მაინც, პოეზიის უმნიშვნელობა მის მიმართ მგრძნობიარე ადამიანისთვის ხანდახან ესთეტიკურ სიხარულად, ან უფრო მეტიც — შერყევად ტრიალდება.

ოდესღაც, წარსულში, წმინდა ტექსტები ლექსებად იწერებოდა (სხვათა შორის, დღევანდელი გაგებით, ძალიანაც არაჩვეულებრივად) და ითვლებოდა, რომ მასობრივი დაზეპირებისთვის მოხერხებული იყო. გამოხდა ხანი. პოეზია გამარტივდა და თანდათან იქცა ერთგვარ სისუსტედ, ან ისეთივე გასართობად, როგორიც სპორტი, მოგზაურობა ან რაღაც-რუღაცების კოლექციონერობაა. გართობა გართობად და თან ყველაზე სერიოზულ ამბებს — სიყვარულს, სიკვდილს, ცხოვრების აზრს ან უაზრობას დაუკავშირდა...

დიდი მწერალი და ძალიან ჭკვიანი კაცი – ლევ ტოლსტოი თვლიდა, რომ ლექსების წერა, ეს იგივეა, რაც გუთანზე ცეკვა. მას ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ ჩვენი ცხოვრების მთავარ თემებზე ფიქრი ისედაც ძნელი რამაა და რა საჭიროა, კიდევ უფრო გავართულოთ ამოცანა — მოვცდეთ სრულ სისულელეზე — ზომაზე და რითმაზე. პოეზიის მიმართ მგრძნობიარე ადამიანები ამაზე იტყვიან, რომ ტოლსტოი, საერთო ჯამში, მართალია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის არაა მართალი.

მაგალითისთვის ასეთი ფილოსოფიური მოსაზრება ავიღოთ: ობიექტურ სამყაროს და ადამიანურ აზროვნებას პრინციპულად განსხვავებული დასაწყისი აქვთ. სწორედ ამიტომაც, ყველა მცდელობა, აღვიქვათ სამყარო, უშედეგოა. აი, ტიუტჩევი კი ამ საკითხზე ასეთ აზრს გამოთქვამდა:

ბუნება არის სფინქსი. და ამით
კაცს აცდუნებს და ღუპავს, აჩვენებს,
რომ გამოცანა, დასმული ჩვენთვის
მას არ ჰქონია არცერთი წამი.

მგრძნობიარე მკითხველისთვის ეს ოთხი სტრიქონი მაშინვე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობილ, განზოგადებულ ფილოსოფიურ ვარაუდს წარმოშობს; გარდა ამისა, იძლევა საშუალებას, გონების ამ ძველისძველი გათვლებისგან თუ მონაპოვარისგან საკუთარი და იმწუთიერი ემოცია იგრძნოს. გქონდეს საგანზე რაიმე შეხედულება და თავადაც ზუსტად იგივე განიცადო — თვისობრივად სხვადასხვა რამაა.

რატომ მივდივართ იმ ადგილას, რომელთანაც რაღაცას მოგონება გვაკავშირებს – ბავშვობისდროინდელ ეზოში, აგარაკზე, ან სადაც ოდესღაც ვცხოვრობდით? განა

წინასწარ არ ვიცით, რომ ჩვენ იქ აღარ ვართ, აღარც ის ხალხია ცოცხალი, რომელთა ხსოვნასაც ეს პეიზაჟები უკავშირდება? თუ – რამე ახალია იმაში, რომ დრო დაუნდობლად გადის? ეს ყველაფერი ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ გვინდა, კიდევ ერთხელ განვიცადოთ, შეგნებულად აღვადგინოთ წარსული, დავრწმუნდეთ, რამდენად ჩართულნი ვართ ცხოვრების სევდასა და სიხარულში.

აი, სწორედ რაღაც ამგვარს წარმოადგენს პოეზიის ბოლო ასწლეულებში გამოკვეთილი გაგება. ის, შეიძლება, იმ ნარკოტიკს შევადაროთ, რომლის ზემოქმედებისას წარმოსახვა შეიძლება გათამაშდეს. ასე ადამიანი დროებით რომელიმე ავტორის ხიბლში ან აზრთა მდინარებაში შეიძლება მოექცეს და ამავდროულად მშვენივრად გრძნობდეს, თუ რითია გამოწვეული ამ აზრების და გრძნობების ნაკადი. ეს ალბათ რაღაც ნახევრადძილის მდგომარეობაა შეკვეთით.

სავარაუდოდ, მორალისტ ტოლსტოის ხელოვნების სწორედ ეს ნარკოტიკისეული ეფექტი აღიზიანებდა. ვფიქრობ, მას ჰქონდა ამის უფლება.

მაგრამ აქ უკვე გზაჯვარედინია. თუკი სამყარო და ადამიანის ცხოვრება ამ სამყაროში — მეტ-ნაკლებად ცნობილი პასუხებით მომზადებული გაკვეთილია, მაშინ პოეზია, ცხადია, მეხის დაცემაა, რადგან ყურადღებას გვიფანტავს და საერთოდაც, «სწავლისაგან» გვაცდენს. ასეთ სიტუაციაში პოეზია შეიძლება გამოგადგეს, როგორც თვალსაჩინო ნიმუში და მნემონიკური თანადგომა. მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ სამყარო ხელის აქნევით, შემოქმედებითი სტიქიით წარმოიშვა, მაშინ ხელოვნებას,

ისეთ უსარგებლობასთან ერთად, როგორიც პოეზიაა, დასარცხვენი არაფერი აქვს.

გინდება იფიქრო, რომ სწორედ ამას გულისხმობდა პუშკინი, როცა თქვა: «პოეზია მაღლა დგას შინაგან ეთიკაზე, – ან, ყოველ შემთხვევაში, სრულიად სხვა რამაა.»

გამოდის, რომ მე ჯერ კიდევ ვერ ვუპასუხე დასაწყისში დასმულ შეკითხვას — «რისთვისაა საჭირო ლექსები?» მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დამამშვიდებელია ის აზრი, რომ პოეზია ადამიანური ყოფის მთავარ მოვლენათა შორისაა. მისი აზრი კი ჯერ კიდევ რჩება მარადიულ თავსატეხად.

II. ყველაფერი თუ არაფერი

ზემოთ ვცდილობდი, ტოლსტოის მოსაზრება პოეზიაზე გამეპროტესტებინა, როცა ის მას «გუთანზე ცეკვას» უწოდებდა; ახლა კი ვაპირებ, ამ აზრს ავყვე.

რომანტიზმის პერიოდიდან მოყოლებული, პოეზიამ მოიპოვა უფლება, ხელშესახები სარგებელი არ მოეტანა, თუმცა ამ შეღავათმა მოლექსეებს ამოცანა გაურთულა. ისინი მკითხველისთვის რაიმე დადებითი ინფორმაციის მიწოდების მოვალეობისგან გათავისუფლდნენ და თავს მაქსიმალური ესთეტიკური ამოცანები დაუსახეს. როგორც იტყვიან: ან ყველაფერი, ან არაფერი.

ტიუტჩევის ოთხსტრიქონიან ლექსში («ბუნება სფინქსი») ფილოსოფიური აზრია ჩადებული, მაგრამ ეს სულაც არაა ლირიკული ჟანრის კანონი, უბრალოდ, ტიუტჩევია გამორჩეულად ნიჭიერი. შეგვიძლია, მაგალითისთვის არაერთი შედევრი მოვიტანოთ, სადაც სიტყვები სულაც არაა ეკონომიურად გამოყენებული. ასეთი ოპუსების ოსტატი იყო გიორგი ივანოვი:

«რომ შემეძლოს თავჩარგული
ვიყო, შევძლო ისე დაღლა,
არ მიცემდეს ახლა გული,
გული არ მიცემდეს ახლა.

გამიქვავდეს და დავტოვო
ყველაფერი, არ ვიწვალო,
თუმც სიზმარში ლერმონტოვის
კვლავ სიცოცხლემ იწკრიალოს.

...ბოლომდე რაც ვერ ვიმღერე,
რაც არ ჩანდა თვალით, ნეტა
იყოს ჩემთან ამის მერე,
ამის მერე იყოს მეტად.»

თარგმნა შოთა იათაშვილმა

მოკლედ, ერთ სიტყვასაც ვერ დაამატებ. არადა, გგონია, რომ ასეთ მცირე ინფორმაციას უფრო მოკლედაც გადმოსცემდი. მაგრამ პოეზია «სხვა რამაა». და ინფორმაციაც «სხვა» მოაქვს — გადმოსცეს სულის მდგომარეობა. და წარმატების შემთხვევაში კი სხვა ადამიანის სულის მდგომარეობადაც კი იქცეს.

აი, მაგალითად, განმანათლებლური საუბრების დროს ვის არ სმენია სენტენცია – «არ შეადარო — ცოცხალი არსება შეუდარებელია»... ეს ციტატა, საუბრისას, ლამისაა, აღმოსავლურ გამაფრთხილებელ ინტონაციად გარდაისახება (დაახლოებით ასეთად: «რაც დამალე, დაიკარგა. რაც გაეცი, შენია») და მანდელშტამური პათოსის გამო გაბნევს. მაგრამ ლექსს რომ კითხულობ, ეს გამონათქვამი ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებად გეჩვენება. ამის გამო გულწრფელიც ჩანს. თითქოს ლირიკული გმირის განწყობის გასაღები გვივარდება ხელთ. იმ ადამიანის

განწყობის, რომელიც ცხოვრების დინებიდან ამოვარდა, ახალი გარემო დაათვალიერა, თავს შთააგონა, რომ შინაგანი მონოლოგით დატვირთული საგნების მდებარეობას როგორმე შეგუებოდა. «არ შეადარო — ცოცხალი არსება შეუდარებელია»... და ამ ბუტბუტში, მყისიერ ჩართვაში მიიღწევა თანაზიარობისა და ტრანსფორმაციის ეფექტი. მგრძნობიარე მკითხველს კი უსიამოვნების და მოუსვენრობის ნოტები ჩაესმის, მან არც კი იცის, რომ ლექსი ტყვის მიერაა დაწერილი.

სულიერი მდგომარეობის «პირდაპირი ეთერი» თავს გადახდენილი ამბების რეპორტაჟის იმიტაციაა. როგორც იტყვიან ხოლმე – ლირიკის პური. მაგალითები უთვალავია – «მე ვიცი — ჩემს ჩექმაში უფრო საშინელი ლურსმანია, ვიდრე გოეთეს ფანტაზიები აქვს» (ვ. მაიაკოვსკი). «ამქვეყნად სიკვდილი არ არსებობს. ყველა ჩვენგანი უკვდავია. არც თვრამეტისას და არც სამოცდაათისას არ უნდა გეშინოდეს გარდაცვალების» (ტარკოვსკი). მხოლოდ მშრალი, ტვინის ბურღი ადამიანი თუ იკინკლავებს ფსიქოლოგიურად გამართლებულ ჰიპერბოლებზე. «მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად, ისე გულწრფელად, რომ ღმერთმა მოგცეთ ასეთივე სხვა სიყვარული» (პუშკინი). «აგერ, ეს პოეტი მსოფლიო დონის თრობაშია, მაგრამ რა ცოტა აქვს კონსტიტუცია» (ა. ბლოკი). გამოცდილი მკითხველი არშინებით არ ზომავს ლექსში საყოფაცხოვრებო ეთიკას — ის დამაჯერებელ, ნამდვილ განცდებს ეძებს. მისი ესენციაა – სიყვარული, როგორც სიყვარული, მოწყენა, როგორც მოწყენა და ა.შ. ლირიკის პრივილეგიაა — დრამატულ სიტუაციას ნაღები მოხადოს, ისაუბროს შედეგებზე, არ გამოეკიდოს მიზეზებს.

მაგრამ «უშინაარსობის», «უპასუხისმგებლობის» და ზემოდან ყურების» სამაგიეროდ, როგორც ადრე ვთქვი,

მაღალი საფასურის გადახდა გიწევს. ორბალიანი სისტემის ფარგლებში უნდა იღვაწო — ყველაფერი ან არაფერი.

«ძლიერი პროზა» – შემწყნარებლურად ჟღერს, მაგრამ მაინც კომპლიმენტია. «ძლიერი ლექსები» კი დამამცირებელი გამონათქვამია. პროფესიონალურ, ციდან ვარსკვლავების არმწყვეტელ პროზას შეუძლია, ახალი ცოდნებით, სხვისი გამოცდილებებით და უჩვეულო ხედვებით გაგვამდიდროს. ბოლო-ბოლო, გზას დაგვიმოკლებს, ან მოსაცდელში მაინც გაგვართობს. საშუალო დონის ნახატი სახლის ან სასტუმროს ნომრის კედელს გააცოცხლებს. მაგრამ ლექსად დაწერილი რა «ძლიერი» და «პროფესიონალურიც» არ უნდა იყოს, ჩიჩიკოვის მსახურის, პეტრუშკას შესაფერისი საქმე უფროა.

«ლექსებს არ კითხულობენ, მათ ხანდახან გადაიკითხავენ ხოლმე», – შენიშნა ალექსანდრ ჟოლკოვსკის ინტელიგენტურმა დედიკომ, როცა ყმაწვილმა არდადეგებზე თავისი მიღწევების შესახებ ისაუბრა.

კარგი, ბატონო, პოეზიას უფრო მეტად, ვიდრე ლიტერატურის სხვა რომელიმე ჟანრს, ეკრძალება, მარტოოდენ ლიტერატურად ყოფნა. მაგრამ «გაუგონარი სიმარტივე» ხომ ვერ იქნება მისთვის გამოსავალი... ვთქვათ, ეპითეტი «გულუბრყვილო», შეიძლება, პროზისთვის ქება იყოს, მაგრამ პოეზიისთვის — არა. ის ხომ უცნაური ტექნიკური ეშმაკობებით არსებობს. ერთია – რაღაც მანძილი გაიარო ფეხით, მაგრამ თხილამურებით ან ველოსიპედით რომ გააკეთო იგივე, საამისო უნარია საჭირო. თუ არადა, ეს დამხმარე საშუალებები მხოლოდ ხელისშემშლელი აღმოჩნდება, როგორც წაღმა-უკუღმა გარითმული სადღეგრძელოების უმეტესობა, სიმღერების,

ქართულ-რუსული ფესტივალი, ბათუმი, 2009 წ. პირველ რიგში: ზვიად რატიანი, შოთა იათაშვილი. მეორე რიგში: ინა კულიშოვა, ალექსანდრა პეტროვა, ბორის ხერსონსკი, ალექსეი პეტროვი და სერგეი განდლევსკი

სარეკლამო მოწოდებების და სხვა ტექსტები. მაგრამ ამ მნიშვნელოვანი და სამართლიანი ურღვევი ადამიანური რწმენაა, რომ დღესასწაული და პოეზია — ეს ერთი და იგივე რამაა.

ლექსი non-fiction ბუნებაში არ არსებობს. ლექსი, როგორც ასეთი – მუდამ მხატვრულობის მატარებელია.

და მხატვრულობიდან კიდევ მხოლოდ მხატვრულობა უნდა იბადებოდეს — ასეთ შემთხვევაში მოთხოვნაც სხვაგვარი ხდება. ასეთ შემთხვევაში პოეტ ალექსეი ცვეტკოვის სიტყვები, რომ «ლექსებმა უნდა დაგვზაფრონ» – გადაჭარბებად აღარ მოგვეჩვენება.

მაგრამ ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის მომართვა ადვილი არაა. სტატისტიკურად ისე გამოდის,

რომ ტოლსტოი მართალია. ვაჟკაცობის ეს რა უცნაური გმოვლინებაა კუპლეტებით საუბარი? ატრაქციონია თუ რა ხდება...

პოეზია, ცხადია, ფუფუნებაა, დამფასებლებისთვის კი – წყალივით საჭირო. პირადად მე ლირიკის შედევრებისგან მიღებულ შთაბეჭდილებას დილით დალეული მაგარი ყავის ეფექტს შევადარებდი, რომლითაც შიმშილს ვიკლავთ. და მიუხედავად იმისა, რომ წინ ყოველდღიური საქმეები გვაქვს, რამდენიმე წუთის განმავლობაში მაინც აუჩქარებლად ვიწვავთ პირს ამ ტკბილი და ცხელი სითხით. ასეთ დროს ვგრძნობთ, რომ ჩვენი წონასწორობა და სიმძიმის ცენტრი ადგილზეა და ძალიან, ძალიან ცოტა ხნით ვემთხვევით საკუთარ თავს...

* * * (ავტობაზის მუშა გახდე...)

ავტობაზის მუშა გახდე,
შავ პისტოლეტს უმღერო,
მოხუც დედას, ისე წახდე,
ზღურბლი არ აუმტვერო.
გაზლეიდან წამოსულმა
ღვინით სავსე კანისტრით,
კალუგელი აორსულო,
ასაჩუქრო ნაბიჭვრით.
თევზი ჭამო შესაქები,
ან პელმენი არაჟნით,
უერთგულო ძმაკაცს, რქები
ადგა გამგეს გარაჟის.
ოცდაათის უღელტეხილს
გასცდე და გაუბერო,
ჩუმად ყიდდე ტყეს გაჩეხილს,
შავ პისტოლეტს უმღერო.
თუ ვერაფერს ვერ გაყიდი,
იძინო მანქანაში,
და გახსოვდეს, რომ გიყრიდნენ
მახათს მახაჩყალაში.

რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა

2. პოეზია

დათო ქარდავა

ბაღიდან გაძევება

ეძღვნება ადამს, ევას და ყველა გაძევებულს

«ბაღი ვერის ხიდთან» –
37-ე ნომრად ჩაუნიშნავს გალაკტიონს უბის წიგნაკში,
სულ ასი ჰქონდა აღწერილი ასეთი ბაღი –
მწვანე კონცხები ქალაქის მტვრის ოკეანეში,
ამ ბაღს სწყალობდა ჯაყოსა და კვაჭის ავტორიც,
ხეების ჩრდილი მისი სახლის ფანჯრებს სწვდებოდა.
ამ ბაღს სწყალობდნენ უსაქმური ლოთი ბიჭები,
ბაღის სიღრმეში ლუდს და არაყს ფსლად რომ აქცევდნენ,
აქ სულს ითქვამდნენ უცხო მზერას გაქცეული ქალი და
კაცი,
სამარადჟამოდ, უკურნებლად სქესი რომ სჭირდათ,
ქალაქისაგან მათ იცავდა ქვის მძიმე ფარდა:
გრანიტისაგან გამოთლილი ქვის მოაჯირი
უჩინარს ხდიდა ბაღის ბნელ წიაღს,
ავტოები კი,
ქვაფენილზე ხმაურით მქროლავი ავტოები ნთქავდნენ
ყველა ხმას.
ბაღი კი არა, ქუდი იყო უჩინმაჩინის,
იდეალური სამალავი ბოზების და ლოთებისათვის,
არ ჰყავდათ მოწმე, გარდა ერთი ფრანგი კაცისა,
რომლის ბიუსტი უტყვად იდგა ქვის პედესტალზე,
და ზედ ეწერა: მარი ფელისიტე ბროსე.
როგორი იყო?
მაღალი შუბლით, წვერებით თუ მხოლოდ ულვაშით?
არავის ახსოვს!
ცოტა ხანს იდგა,
მერე კი გაქრა, თითქოს არც იყო.

ბოზმა იხუმრა, ჩვენი თუ შერცხვა,
ლოთმა თქვა, ჯართში ჩააბარებდნენ,
ამ ლოთს ვიცნობდი, ერთად ვსვამდით უცნაურ არაყს,
პარტიანკების, ტელეგრეიკის, კარბიდის ნახარშს,
კი იყო ლოთი, დაკარგული, უსახლო კაცი,
მაგრამ უყვარდა უცნაურად თავის დაჭერა,
ესტონელ თავადს სულ ახსოვდა წარმომავლობა,
და თვითონ ლოთი, უარეს ლოთებს
თქვენობით და თავის დაკვრით ესალმებოდა.
ეს კაცი შემხვდა სხვა ქალაქში და სულ სხვა ბაღში,
სალაპარაკო არაფერი გვქონდა ჩვენ ბევრი
და მას ვუამბე ბროსეს ბაღის ამბავი ბნელი,
რომ არ დატოვეს მოაჯირი, ქვის მძიმე ფარდა,
მას მოუნაცვლეს გამჭვირვალე, თხელი მესერი,
აღმართს აჰყარეს ქვაფენილი, ხმაურის წყარო,
და ზედ დააგეს ასფალტის ფარჩა,
ავტომობილიც ისე ჩუმად აირბენს ხოლმე,
რომ ხმამაღლა ლაპარაკი მოგერიდება,
მოგერიდება, ისე, თითქოს იყო თეატრში,
ეს რა ბაღია!
აქ ყველა გისმენს,
აქ ყველა გხედავს,
და უფრო ცუდი, კიდევ რაც მოხდა,
ის პედესტალი, მიჩვეული მოლოდინს და სიცარიელეს,
ოცი წელი რომ უცდიდა ფრანგი კაცის ფესვიდან გაზრდას,
სულ სხვამ შეავსო,
ნაწვიმარზე ამოსულმა რეჟისორის ბრინჯაოს თავმა!
დაჩაგრეს ფრანგი,
ილიას და შოთას მთარგმნელი,
აკმარეს ქუჩა, ვოდვოზნი რომ ერქვა უწინ.
ეჰ, ფრანგი იყო დიდი ხნის მკვდარი და უპატრონო,
რეჟისორი – ჯერ კიდევ თბილი, თითქმის ცოცხალი,

და მისი ძეგლი,
მასიური მისი ბიუსტი,
წერეთლის დაბარებულივით,
წერეთელმა რომ ჩამოგვისხა, როგორც სჩვევია,
დაიდგა ბაღში.
ის მუდამ ასხამს, ვით მკვლელი ტყვიას,
და მისი ძეგლიც,
როგორც ტყვია მსხვერპლს,
პოულობს კვარცხლბეკს და ადგილზე კლავს!
ასე დახოცეს პატარა ბაღის მყრალი ლოთები,
ასე დახოცეს პატარა ბაღის მთვრალი ბოზები.
არ იდგა ძეგლი, სიცოცხლე დუღდა,
ახლა დგას ძეგლი, ხმა აღარ ისმის,
თუმც, განაახლეს და გაანათეს,
დადგეს სკამები, შეცვალეს ქვები,
სხვა ბაღი შექმნეს,
ვერ შეელივნენ კვარცხლბეკს მასიურს,
ზედ რომ ეწერა ფრანგი კაცის სამი სახელი,
ზედ მიამაგრეს ახალი დაფა,
გარდაცვლილი რეჟისორის გრძელი გვარით, მოკლე
სახელით,
მის ქვეშ კი ახლაც იკითხება უცნაური სამი სახელი:
მარი!
ფელისიტე!
ბროსე!
ლოთმა მომხედა
და დაავიწყდა, რომ იყო გრაფი,
სიგარეტის ბოლით დამწვარი თვალი ოდნავ შეაღო
და შეიგინა:
«Что за хуйня?!
Ну, ладно, бросьте!..»

სოფია პეროვსკაიას წაბლები

პეროვსკაიას ყოფილ ქუჩაზე, სველ ასფალტს, ვიწრო ტროტუარს
ყუმბარებივით აცვივა «ცხენისწაბლის» მძიმე ნაყოფი.
დაენარცხება,
მწვანე ეკლის ბუდეს დატოვებს,
ცოტას იგორებს, სადღაც ახლოს გაგიჩერდება.
არ აფეთქდება!
უსიმეტრიოს სააღდგომო კვერცხის ფერი აქვს,
უფრო ქვასა ჰგავს,
ვიდრე მკვლელის მძიმე ყუმბარას,
მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ელის თოვლისფერ ნიშანს,
დიდ ხელმწიფეს შარავანდიანს,
რომ ბომბად იქცეს, აფეთქდეს და ზეცა დაამხოს,
და დაუბრუნოს წაბლის ქერქით მოფენილ ქუჩას
მკვლელი ქალის ძველი სახელი.

ტვიდის პიჯაკი

ცოლმა მიყიდა პიჯაკი,
მეორადების მაღაზიაში,
second hand-ს და ძონძებსაც რომ უხმობენ ჩვენში.
გაუჭრელი ჯიბეებით ჩაუცმელსა ჰგავს,
ამაღელვებლად ტვიდის, ნაღდი ირლანდიური,
Brian Tucker – DUBLIN, იკითხება სარჩულის მხარეს,
მჭიდრო შალისგან ნაქსოვი სასიამოვნოდ მძიმეა.
«ტვიდია, ნამდვილი ტვიდი!» – თავს იქებს მჩუქებელი,
მეც მიხარია, არ მიკვირს მხოლოდ –
ირლანდიაში სქელი შალი არავის უკვირს,
მწვანე მდელოებს ნისლივით ფარავს რძისფერი ფარა,
უწყვეტი წყარო მატყლის, შალის ძაფისა,
აგურის გამურულ შენობებში კი
ფეიქრები ართავენ ამ მატყლს,
აქცევენ ნაჭრის მძიმე თოფებად,
და დუბლინელი თერძები,
მათემატიკის პროფესორების იერითა და ბასრი
მაკრატლებით,
ქმნიან შალის გეომეტრიულ სამყაროს:
პიჯაკს ელიფსებით იდაყვებზე,
კვადრატის ჯიბეებით, ცილინდრის სახელოებით,
ტოლფერდა ტრაპეციის სამხრეებით, ბლაგვკუთხა
საყელოებით;
ავლებენ ხაზებს, რომლებიც არ იკვეთებიან და ხაზებს,
რომლებიც კუთხეებს ქმნიან...
აჰ, ეს პიჯაკი!
ამაღელვებლად ირლანდიური, სქელი ტვიდის,
თამბაქოსფერი, ყავისფერი მუქი ხაზებით,
(და მახსენდება, რომ ექიმმა ამიკრძალა თამბაქოც, ყავაც)

ასეთს ვნატრობდი, ღმერთო ჩემო, მადლობა დიდი!
ერთი სული მაქვს, ჩავიცვა და ფიქრად მაინც ვეწვიო
დუბლინს,
დავადგე იმ გზას, ლეოპოლდმა რომ გაიარა...
მაგრამ პიჯაკი, ეს ევკლიდეს სრული სამყარო,
მე პატარა მაქვს!
ასეთს ვნატრობდი, მაგრამ, ღმერთო, შეგექმნა დიდი!
ორი ზომით, თუნდაც ერთითაც!
ფუჭი ფიქრი და ოცნებაა,
მეც კარგად ვიცი,
ღმერთი ვერ შეცვლის ამ ჩემს პიჯაკს, მის პროპორციებს,
უმალ მე შემცვლის, ადამის შვილს, თავის შეთითხნილს
და მე მომარგებს ტვიდის კოსმოსს, ტვიდის სამყაროს –
თამბაქოსფერს, ყავისფერი რომ დაუყვება სქელი ხაზები,
მე დამამჭლევებს, დამასუსტებს პიჯაკის ნაცვლად,
მეც არ დავშვრები, ხელს შევუწყობ, დავეხმარები,
არაფერს შევჭამ, ყავას ვიკმარ, მოვწევ თამბაქოს,
და თუ გავძელი, მე შევიცვლები:
წონას დავიკლებ, დავსუსტდები, ჩამოვიქნები,
სამ ღილს თუ არა, ერთს შევიკრავ, მაინც ვატარებ
თამბაქოსფერს, ყავისფერი მუქი ხაზებით,
ამაღელვებლად ირლანდიურს, ტვიდის, ხელით შეკერილს.
გავალ ქუჩაში, ვივლი ნელზე ნელი ნაბიჯით,
თავს მოვიწონებ ცრუ დუბლინელი სქელი ტვიდის ნაღდი
პიჯაკით,
რა ვუყოთ მერე, თუ ძონძებში არჩეულია?!
თავს დავიმიშვიდებ,
წარღვნის შემდეგ სამყაროც ხომ მეორადია,
ყველა მწერალი, პოეტი და ტექსტის მჩხიბავი
თვალახელილი მეორადი ჰომეროსია,
და დუბლინიდან გაუსვლელი ლეოპოლდ ბლუმიც,
second hand-ი ულისე და ოდისევსია!

ძალაუფლების არითმეტიკა

ის იყო პირველი
და ამ პირველობით ისე შთაგონებული,
რომ მეშვიდე ცაზე დაფრინავდა.
გავიდა დრო:
ერთი, ორი, სამი და უსასრულოდ ბევრი წელი,
მას კი კვლავ პირველობა სურდა,
და ვინც შეეცილებოდა ამ პირველობას,
გააგზავნიდა ოთხივე მხარეს,
გადაჰკარგავდა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით
ან გამოკეტავდა ცხრაკლიტულში.
არავის ჰქონდა ორი თავი
მას დაპირისპირებოდა,
ის იყო მარჯვე და
ყოველთვის ახერხებდა
ორი კურდღლის დაჭერას.
ის იყო მოქმედი
და სიკვდილივით აშინებდა პრეფიქსი «ექსი»,
ჰყავდა ბევრი მსტოვარი და კიდევ უფრო მეტი
«შესტიორკა»,
მის მშვიდ ძილს იცავდა «მერვე პოლკი»,
ის იყო პირველი
და ყველგან ეჩვენებოდა მეხუთე კოლონა,
და ყველგან ამხელდა მეხუთე კოლონას,
და იმდენ ხანს ეძებდა მეხუთე კოლონას,
რომ ბოლოს თავად იქცა მეხუთე ბორბლად.

მალიარის კიბე

განცხადებების გაზეთში ჩაკარგულიყო:
«გია მალიარი»,
და ტელეფონის ნომერი,
როგორც SOS სიგნალი,
ითხოვდა შველას.
და მეც დავრეკე
და ვიკითხე მღებავი გია!
სხვაგან მოხვდიო, უხეშად მითხრა.
ხელახლა ვცადე,
მეტი ყურადღებით ავკრიფე ნომერი და...
იგივე ხმა!
კვლავ მოვითხოვე მღებავი გია.
კვლავ: «სხვაგან მოხვდი!»
აღარ მოვეშვი და ჩავეძიე:
31415926563 – ეს ნომერია?
კი, ეგ არისო და გიაც მქვია,
მაგრამ მღებავი მე არ გახლავართ,
მალიარი ვარ, მალიარიო!
მერე ამიხსნა ეს განსხვავება,
მღებავი ღებავს მექანიკურად,
შთაგონების და გრძნობის გარეშე,
მხოლოდ ფერსა ცვლის,
მალიარი კი სამყაროს ქმნისო,
თავის წესრიგით, სწორი ხაზებით და პროპორციით!
ბოლოს მომიჭრა:
«ვარ მალიარი,
მღებავი არ ვარ!»
დააბიჯებდა გასაშლელ კიბით ისე ელეგანტურად,
როგორც წერო მდინარის პირას,

როგორც ზიგფრიდი «გედების ტბაში»
და თან ჰყვებოდა უამრავ ამბავს
ახალგაზრდობის, ჯარში ყოფნისას,
როგორ ხტებოდა პარაშუტით თვითმფრინავიდან,
რას განიცდიდა ღრუბლების თავზე,
საიდანაც სამყარო მართლა ჰგავდა ღმერთის შექმნილს,
სადაც იყო ისეთი სიჩუმე,
რომ მხოლოდ საათის წიკწიკი ესმოდა
და გულის ცემა,
და მერე,
როცა მიწას უახლოვდებოდა,
მატულობდა ხმაური და
აღარ ესმოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ხმები –
დროის დინების, სიცოცხლის ფეთქვის
და ყრუვდებოდა.
უმსახურია რუსეთის სტეპში,
მარშალ გრეჩკოს მინისტრობის დროს,
სადღაც, ციმბირშიც,
სადაც, ყინვაში
ტუალეტის ხვრელი,
რუსი სალდათის «რადნიო აჩკო»,
ისე ვიწროვდებოდა, რომ
ლომით სამტვრევი ხდებოდა.
ავალებდნენ კი მწვანე სალაგებს,
თან აჩქარებდნენ:
«ვინ უფრა მარდად!..»
«ვინ უფრო ჩქარა!..»
და ახალბედაც სცემდა მძიმე ლომს
გაყინულ ფსელს და განავალის ლოდებს,
რომლებიც იფანტებოდნენ უწვრილეს ნამსხვრევებად,
და მთელი ეს ბჭყვიალა სილამაზე,
ნამსხვრევებად ქცეული გაყინული მზე,

როგორც მარგალიტები ღორების თავზე,
ცვიოდა სალდათის სხეულზე –
ხან გულისპირზე, ხანაც სახეზე
და ვიდრე გარეთ, ყინვაში იყო,
არც არაფერი,
ბჭყვინავდნენ ისევ,
მაგრამ სითბოში, თბილ ყაზარმაში,
იწყებდნენ დნობას,
და ყინულის ბრჭყვიალა ნემსები
ლღვებოდნენ მძღნერად!
იყო სიცილი, დიდი ხალისი,
ჭკუის სწავლება და დარიგება:
«დაიმახსოვრე, პატარა ძუკნავ,
რაც ბრწყინავს, ყველაფერი მძღნერი არ არის!»
ამას ჰყვებოდა, ბევრ სხვა რამესაც,
და თან დაქროდა თავისი კიბით,
წეროს სიმსუბუქით,
ბალერონის სისწრაფით
და თან ავლებდა უსწორეს ხაზებს,
მკაფიო ხაზებს,
ფერს უხამებდა ჭერს და იატაკს,
ღმერთივით ჭვრეტდა თავის სამყაროს –
ოთახის კუთხეს, სიგლუვეს კედლის
და როგორც ატლანტს ცის კაბადონი,
და როგორც კინტოს მძიმე თაბახი,
გამართულ ხელით ეჭირა ჭერი.
მისმა რემონტმა დიდხანს კი გაძლო,
მაგრამ მოგვბეზრდა ძველი სამყარო,
ვის არ ბეზრდება?
ტელეფონს დავწვდი:
31415926563 – როგორ ხარ, გია?
ვერ ვმუშაობო, მითხრა მწუხარემ,

ვერც კედლებს ვლესავ,
ვერც ჭერს ვასწორებ,
ხაზებიც უშნოდ იზნიქებიან,
კიბე გამირბის,
თავბრუ მესხმისო.
წლების ბრალია,
ექიმსაც უთქვამს.
კიბეზე ასულს წნევა რომ უწევს,
ისე ჩაესმის გულისცემის ხმა,
როგორც წლების წინ, ჯარში ყოფნისას
და წამით ხარობს,
მერე ეხვევა თავბრუ,
ყურში მატულობს ხმაური,
კიბიდან წყდება და ძირს ეცემა.
ვერ აიწია იმ სიმაღლეზე,
რომ პარაშუტის გახსნას ჰყოფნოდა,
თვალს რომ გაახელს,
ხედავს სინათლეს,
მტვრის ნაწილაკებს,
ციდან რომ ცვივა ვარსკვლავებით,
და ზედ ეცემა, ტანზე ეყრება
ზუსტად ისევე,
როგორც წლების წინ, ჯარში ყოფნისას
და ახსენდება ტლუ ჯარისკაცის
სალდაფონური ეს შეგონება:
«რაც ბრწყინავს, ყველაფერი მძღნერი არ არის.»
თან ეტირება, თან ეცინება,
რადგანაც ხვდება,
დიდხანს იბრწყინა,
ახლა კი ლღვება,
და მისი კიბეც,

მარაოსავით რომ იშლებოდა,
მალე სამუდამოდ დაიკეცება.

ფრთიანი მეხრე

პირველად რომ გადაუბრუნდა ურემი,
იფიქრა, დაიღუპა, ყველაფერი დასრულდა!
მაგრამ როგორღაც მოახერხა ხარების წამოყენება,
გატეხილი ღერძის შეკეთება,
აპეურების გადაბმა და
ამასობაში, გზაც გამოჩნდა.
მეორედ რომ გადაუბრუნდა ურემი,
უკვე გამოცდილი იყო,
იმდენი აღარ უწვალია,
ურემი ისე სწრაფად გამართა,
რომ გზის გამოჩენამდე დასვენებაც კი მოასწრო.
მესამედ რომ გადაუბრუნდა ურემი,
ღმერთები დაეჭვდნენ,
განგებ ხომ არ აკეთებს ამასო.
მეასედ რომ გადაუბრუნდა ურემი,
იმსჯელეს ღმერთებმა,
აწონ-დაწონეს არგუმენტები
და დაუდგინეს:
«იმდენჯერ გადაგიბრუნდა ურემი,
იმდენჯერ მოიტეხა ნიკორამ ფეხი,
იმდენჯერ გაგიტყდა ხელნები, ფერსო,
იმდენჯერ...
იმდენჯერ...
იმდენჯერ, რომ გადავწყვიტეთ,
ხელების ნაცვლად, მოგცეთ შენ ფრთები!»
სულ მალე კაცმა,
ჯერ უხერხულად,
შემდეგ კი უფრო თამამად
შემოკრა ფრთა ფრთას

და აიჭრა ცაში.
ჯერ წინ გაქანდა,
მერე ზევით,
თვალსაწიერი გაიფართოვა,
რა არ იღონა,
სად არ იფრინა,
მაგრამ ვერაფრით გზას ვერ დაადგა,
ტყუილად დაშვრა!
დაღონებული დაეშვა ქვევით,
თავის ურემთან... და გზაც გამოჩნდა!
მაგრამ ეს ფრთები, არწივის ღირსი,
ხელს უშლის ურმის შეკეთებაში,
ფრთიანი მეხრე
ბევრად მეტს წვალობს,
უფრო ჯახირობს
და ღმერთებს წყევლის ფრთების გულისთვის:
«მე რად მინდოდა!
სიკეთე სურდათ?
მიეცათ მაშინ ხარებისათვის!»

სოსო მეშველიანი

ადაჟიო

სანამ კაკლის გაბერილი კვირტები გასკდებიან,
სანამ ლოკოკინა გადაბობღდება
ახავსებულ მესერზე –
მორიგეობით ახამხამე თვალები,
რომ რამე არ გამოგრჩეს.
სანამ ქათმები გადაქექავენ ბოსტანში ნაკელს
და ჯერაც ხარის ნაკვალევში
წვიმის წყალი დგას –
იდექი ასე,
როგორც მუნკი, მუნკის ტილოზე,
უაზრო გამომეტყველებით,
თითქოს ვერ ხვდები;
ვერ ხვდები იმას –
რომ ისედაც არ გინდა მიხვდე.
რა უბრალოა «ცა მწყუროდა, მიწა მშიოდა»...
ისიც, რომ თურმე შენზე უკეთ ესმოდა რიხტერს,
ფუტკრის ზუზუნი რომელიმე ადაჟიოდან.

ხარაბუზების ხშულ-მსკდომი და ბლაგვი ბგერები,
«ხოლო ხვთის სიტყვა ორლესულზე მკვეთი და ბასრი»,
ვინ დამაჯერებს, ჩემზე უკეთ ნუთუ მათ ესმით...
გასწორდა წელში, დაიკვნესა და მიწით დასვრილ
კალთებს იფერთხავს დედაჩემი,
ახლად დათესილ
ბოსტანში მდგარი.

დრო და სივრცე

«დასაწყისი არ არსებობს, არის მხოლოდ გაგრძელება»
უნამუნო

ირღვევა.
წვრილი კენჭებივით ცვივა უფსკრულში.
სადღაც დროის და სივრცის მიღმა არა ათობით,
მირიადობით აკიაფდა ცაზე მნათობი.
შორს, ძალიან შორს, მოგუდულად ყეფდა ქოფაკი,
თითქოს დაღლილი წუთისოფლის უნიათობით.
ირღვევა.
წვრილი კენჭებივით ცვივა უფსკრულში.
და მოქცეულა სოფლის სივრცე,
სოფლის ფართობი
ძაღლის ყეფაში.
ღრმად ჩამხმარა ფრჩხილებში მიწა,
თვალებში ღამე –
გრილ მიწიდან ვთხრიდით კარტოფილს.

ჯერ მთვარე იყოს,
გაჩნდებიან ჩრდილები მერეც,
ცას ვუმზერ და ვგრძნობ ამბროზიას,
რომელიც არ ჩანს.
ჯანდაბას ის, რაც თხუნელებმა ჩაზიდეს ბნელეთს,
მაინც კარგია, სულ ამაოდ არ შემრჩა გარჯა.
მწიფე მსხლის წვენით დათხუპნული ბავშვობის ჩათვლით
დასევდიანდა ყველაფერი, რაც უკან დარჩა.

კარტახენაში

ქალაქი. ღამე. სევსე მთვარე. ბნელი ყურე და
ნაცნობი ლოთი, ბარიდან რომ გამოჩანჩალდა.
ვიდექი პორტთან, ვგრძნობდი, ვიღაც მე მიყურებდა,
ზურგიდან, მაგრამ ის ვიღაცა ბნელში არ ჩანდა.

ხოლო ის იჯდა, მსხვილკისერა და კურდღლისტუჩა,
ლუდს სვამდა, ხანაც, ფერფლს აცლიდა სიგარას თითით.
შორს, ძალიან ყრუდ ხმაურობდა ელ პატოს ქუჩა,
მე კი მისტიკურ ნისლში მხვევდა ნუბერუს მითი.

მეტად თავაზიანი პასუხი

«რა ამბავია ამდენი ქოხი და კვახის ყვავილი»
(ანონიმური ავტორის კომენტარიდან)

გამომრჩა: კომბოსტოს ყვავილობა,
ოხრახუშის ნაწვიმარი ბაღი,
ლობიოს სარზე ჩამომჯდარი ნემსიყლაპია
(თუ ეს ვთქვი უკვე?).
კარგით! ვხუმრობ!
შევეშვათ ქოხმახს,
არც იმას ვიტყვი, როგორ მიყვარს კვახის ყვავილი,
არც სველი შამბით დამძიმებულ შარვლის ტოტებზე
არ დავძრავ კრინტს და...
მეც იმაზე დავწერ, რაზეც თქვენ – შიშზე,
იმ შიშზე, იმ სიკვდილის შიშზე,
რომელიც ბრმა ციკლოპივით დააბიჯებს ღამის ქუჩებში,
ჩრდილად ედება ბნელ ყურესთან გატრუნულ ქალაქს
და ყნოსავს ასე, ლაჯებშუა მოქცეულ სახლებს,
არაფრად აგდებს ბრმებისათვის განკუთვნილ ბილიკს
და არც წრიპინა შუქნიშნების უაზრო წრიპინს.
«თავზარს მცემს შიში,
მკვდარს თვალებში როცა ვუყურებ» –
თქვა ფედერიკომ.
რა თქმა უნდა, ეს ის შიშია,
ოთახის ქოთნის კაქტუსივით,
რომ გჩხვლეტს ძილშიაც.
რა მადრიგალი, პრელუდია, რა რომანსერო!
უკვე დამთავრდა ყველაფერი, ვწუხვარ, ასე რომ,
დავემშვიდობე მოჩვენებებს, გაქრნენ, მორჩა და
გავთავისუფლდი ყველაფრისგან,

ვზივარ და ვწრუპავ,
ნელთბილ და ოდნავ პირმოკუმულ, თხის რძის ორჩატას.

ზაფხულის მიწურული

ლენცოფის ტევრს რომ ჩამოსცდება ციცინათელა
და ორღობიდან გადაუხვევს, გასცდება ზვინებს.
ანწლის ბუჩქები, საქონელმა რომ გადათელა,
ამ ნაწვიმარზე სრიალებს და სუნი აქვს მძიმე.

სადღაც ძაღლი ყეფს, ბინდში ლანდად ქცეულმა კაცმა,
ტყიდან ხარები ჩამოდენა, ხელში სახრით და
«ოჩის...» ძახილით. შორს შუქი ჩანს, არ იცის არც მან
საიდან ისმის ქვრივის მოთქმა, რომელ სახლიდან.

სადღაც კი ანწლის არაყს ხდიან, ესოდენ მძაფრი
ჰაერი უფრო გაბრუებს და ასე ბარბაცით
ტოვებ ორღობეს, შინ მისული იგონებ აპრილს,
იგონებ ზღმარტლის ყვავილებს და იქით ალბათ ცივ

ზამთარს ფიქრებით გადასწვდები, რომელიც ახლა
უფრო ახლოა, ვიდრე მყნობა, ან ამაღლება...
ისე უცხო ხარ, აქ –
გინდა, რომ კბილებით დახრა
ყინულის გარსი, თავისთავად თუ არ გალღვება.

«– დაე, შეუთხზენ ქება ღირსსა...» არ გთხოვ არც იმდენს!
ინფრაბგერების სკად ქცეულა ჩემი ოთახი.
სადღაც იჭექა, შეიძლება, ისევ გაწვიმდეს,
რომ დაადუმოს ჭრიჭინები, თუნდაც ცოტა ხნით.

დამშვიდობება

«მწუხრის ზარები, მწუხრის ზარები»
ტომას მური

აცვივა ხმელი ფოთლები
გამაოგნებლად მშვიდ სახეზე.
გამჭვირვალე,
ქარვისფერი ფოთლები.
რა მოულოდნელად დაბერა ქარმაც
და შეარხია ხეივანი ცაცხვის და კაკლის...
ხოლო ღობეებს ძლივს ამომცდარ თავებს შორის კი
ის წევს გულაღმა, უცნაურად მშვიდი და უტყვი,
წევს გულაღმა და
რწევა-რწევით ტოვებს ორღობეს.
არა «ყორნების საუბარი»
არც «...შავი კუბო»
ნახევრად შიშველ ნეკერჩხლიდან
ჩიტი სტვენს ერთი.
და არის კუბოც ქარვისფერი,
ქარი კი ცივი,
შორს, დათოვლილი მთები მოჩანს,
ხოლო გარშემო,
«არს ყოველივე, ყოველივე, მწუხრით მოცული»,
ის კი წევს ასე, უცნაურად მშვიდი, მდუმარე,
გამაოგნებლად მშვიდი სახით.
და ასე უხმოდ,
ემშვიდობება შემოდგომას უკანასკნელად.

ყველაზე მშობლიური

«ვაი ძმამკვდარსა დებსაო»
(ბ. ხარანაული)

ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ.
სამ ხმაზე –
ჩემი სევდიანი ქალების ტრიო.
მეოთხე – მხოლოდ შორეული კივილის ექო,
ჩემივე ხსოვნის ღრმა უფსკრულში დაგუბებული
და ისიც, მხოლოდ ჩემს სიზმრებში დაქალებულის.
ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ
და შემიყვარებთ, მკვდარს, ცოცხალივით.
მერე რა, თუკი ვერ მიხვდებით, სად როგორ შევწყდი.
ერთია...
«ზღმარტლის ლპობის ფერით ჩამომწიფება»,
სად თოვლით დახრილ დრეკად ტოტებზე,
შუა ზამთარში ბეღურები ნაყოფს წიწკნიან.
კიდევ, ღამის ცა, მწიფე კენკრა, სათიბი მთაში,
დაღლილი გლეხის თვალები და თივის საწოლი.
სევდიან დღეთა მადრიგალი თუ რომანსერო,
რომელი ერთი,
არც არაფრით თავმოსაწონი...
ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ, ვიცი, ასე რომ,
შორს დარჩა ფრანცის «ბარკაროლა»
ზღვის ბნელი ყურე.
პატარა პორტი, ღამის ქარი, ჭრიალი ანძის.
ზღვის სიბნელიდან, კვლავ მესეფის თვალი მიყურებს.
ზღვარს წაშლის – მაინც სად წაუვა დარჩენილ მანძილს.
ხომ ვიცი როგორ დამიტირებთ

და რა ძნელია,
ეს ყველაფერი ასე ცოცხლად რომ მიდგას თვალწინ.

Minicerdo

«...მხოლოდ წინააღმდეგობებში ღვივდება სიცოცხლე»
იუნგი

ვინ დაგიჯერებს?!
რომ ღორის როხროხი გაღვიძებს
დილაუთენია,
მამლის ყივილის ნაცვლად.
არა!
დაუჯერებელიც არაფერია,
თუ ახლადგაღვიძებული ფანჯრიდან ბოსელს ხედავ,
გარშემო პატარ-პატარა ფიცრულებით,
ან ატალახებულ საჩეხეს,
იქ, სადაც პანტა მსხლიდან ცვივა მწიფე ნაყოფი.
აქ კი, რას ხედავ მეექვსე სართულის აივნიდან?!
ბანკის ფილიალს, ფიტნესკლუბს და გზაჯვარედინს,
კიდევ, იმ კაფეს, ყველაზე ადრე რომ იღება.
შორს კი რუხ ღრუბლებს და საავდრო ცას,
რის გამოც ასე არეხროხდა პაკოს ბურვაკი –
უპირველესი მეტეოროლოგი.
ვინც გულმოდგინედ ათვალიერებს საკუთარ თავს
ლიფტის სარკეში –
«პატრონზე ბედნიერი ღორი!»
ერთს დაყნოსავს ტროტუარზე მიგდებულ მათხოვარს
და გაუყვება ცხენისწაბლის ხეივანს,
სასეირ(ნ)ოდ.

* * * (ველური სოფლის პეიზაჟი...)

ველური სოფლის პეიზაჟი – ნეზვები მაკე,
ტალახიანი. სველი ანწლი. იქვე, ბოსელთან,
სადაც ფინია გამვლელებს უყეფს,
ეზოს ქათმები ქექავენ ნაკელს.
განცდა: «ყოველი წარმავალ არს!»...
ვატყობ, რომ სევდაც,
ისეთივეა – ჰაერივით მძაფრი და მსუყე.

და მე ვიგონებ გვადალკვივირს,
სოფელს ბოშების.
გამხმარ კანაფებს, გამხმარ თევზებს,
ბალახებს გამხმარს.
ვიგონებ მსუქან ბოშა ქალებს, ვაკეროსს, ლორკას,
და მე ვიგონებ გვადალკვივირს,
მდინარის გაღმა
სეკვოიას და თივის ზვინში ჩასობილ ორკაპს.

* * * (ტყეში, კოცონთან დაგვთენებია...)

ტყეში, კოცონთან დაგვთენებია
(რაღაც ფიგურებს ხატავდა კვამლი)
და ღამეს ციცინათელებიანს,
შორი ყივილი დევნიდა მამლის.

წიფლნარში ნაძვი და სუნი ფისის,
პანტა, ვაშლის ხე, მაყვალი მწიფე.
ჩვენ ვსაუბრობდით იმ კაცზე, ვისი
სახელიც, იქვე ეწერა წიფელს.

შენც ამოტვიფრე სახელი დანით,
ახლა რომ ასე სქლად ადევს ხავსი.
ოცი წლის მერეც აქ ვათევ ღამეს,
ნეტარებით და კაეშნით სავსე.

გელა ჩქვანავა

ტაქსისტს გვერდით თერმოსი ედო

რადიოში ომის ამბებს ამბობდნენ
სადღაც ცხრა მთას იქით
როგორ კლავდნენ ადამიანები ერთმანეთს
ანუ როგორ აჩქარებდნენ
ერთმანეთის წასვლას ამ ქვეყნიდან
ტაქსისტს გვერდით
მომცრო თერმოსი ედო ჩაით სავსე
ან კაკაოთი
ალბათ მზრუნველი ცოლის გამოტანებული
მიგვიყვანდა სადაც მივიდოდით
მიდგებოდა მერე თავისი ავტოთი
სადმე კუთხეში და ალბათ დალევდა
რადიოში ისევ ომის ამბებს ამბობდნენ
და რატომღაც ტაქსისტისადმი
სულიერი სიახლოვე ვიგრძენი
არადა მხრებზე ქერტლი ეყარა
და ქსუტუნებდა
მას მერე ყველა ტაქსიში
მზრუნველი ცოლების გამოტანებულ
თერმოსებს ვეძებ და ვერ ვპოულობ
მაშინ კი რადიოში ომის ამბებს ამბობდნენ
ტაქსისტს მხრებზე ქერტლი ეყარა
და ქსუტუნებდა კიდეც
შენ კიდევ ხელჩანთაში რაღაცას ეძებდი
და ახლა
როცა უკვე აღარა ხარ ჩემი
ყველა ტაქსიში მე ვეძებ თერმოსს
მზრუნველი ცოლის გამოტანებულს
და არ დაიჯერო თუ გეტყვი

რომ არ მენატრები
არ მენატრება შენი ღიმილი
და არ მახსოვს
როგორ ჩამჭიდებდი ხელს
ან სულაც ხელმკლავს გამიკეთებდი
და მივდიოდით ქუჩაში მშვიდად
მე ვეწეოდი
შენ კი მიყვებოდი ამბებს
რომელიც ახლა აღარც კი მახსოვს
ახლა აღარ ვეწევი
და აღარც მინდა
ალბათ არც მაშინ მოვწევ
განგებამ ქუჩაში გასავლელად
ერთად რომ შეგვყაროს ისევ
მაგრამ მენატრები
და ყველა ტაქსიში თერმოსებს ვეძებ
ვერ იტანდი ქერტლიან მამაკაცებს
ვერც მოუვლელხელებიანს
იმ ტაქსისტს რომ ჰქონდა
ამიტომაც მაშინ ვერ შეამჩნიე
თუ რა სათუთად ედო მას გვერდით თერმოსი
მე კი რატომღაც აღარ გითხარი
ლამის მთელი გზა ხელჩანთაში
რაღაცას ეძებდი
და როცა შენ ხელჩანთაში რამეს ეძებდი
ისეთ რაღაცებს იპოვიდი ხოლმე
წინა ძებნისას რომ ვერ მიაკვლიე
საოცრებათა სკივრი იყო
ყველა შენი ხელჩანთა
შენც საოცარი იყავი ქალი

სიმეტრიული წყობით გემები რეიდზე იდგნენ ანუ ჩამწარებული მივლინება ზღვისპირა კურორტზე

მტკიოდა კბილი
და თითქოს აღარც საშველი იყო
რადგან ოდნავ ელამი ჩემი ექიმი იმ დღეს
დისშვილის ქორწილში გახლდათ
და ქსელში დროდადრო
ცხელ-ცხელ ფოტოებს დებდა

სასტუმროს
ფანჯრიდან ჩანდა
გემები რეიდზე იდგნენ
თითქოს ისინიც სტუმრები იყვნენ
და შორი გზის შემდეგ
მასპინძლის კარის ტილოსთან
დიდხანს იწმენდნენ ფეხებს

ვინ იცის კაპიტნები
ხელის ჩამორთმევითო რომ იტყვიან
ისე კარგად იცნობდნენ
კიდეც ერთმანეთს
და იქნებ რომელიმე მათგანს
მართლა სტკიოდა კბილი

ფანჯრიდან ჩანდა
გემები რეიდზე იდგნენ

როგორა ხარ ჭიამაიავ

როგორა ხარ ჭიამაიავ
ავტობუსში ნანახო
ფანჯრის მინაზე აკრულო შიგნიდან
ნეტავ რად არ დაგისვი ხელისგულზე
იქნებ კონდუქტორის უნიფორმის
ნარინჯისფერი ჟილეტი
წარმოიდგინე ღმერთად
როგორა ხარ ჭიამაიავ ახლა
რად გადაჭრა განგებამ
იმ დღეს ჩვენი
სავალი გზები
იქნებ და მართლა
კონდუქტორის უნიფორმის
ნარინჯისფერი ჟილეტი გეგონა
ღმერთი

ჩვენ

ასეც უნდა იყოს
თავს ვიფასებთ
რათა სხვებმაც
დაგვაფასონ
მრავლისმეტყველი დუმილიც
წლებთან ერთად
სულ უფრო და უფრო
მრავლისმეტყველი გვიხდება
თავის დროზე გარიდებაც ვიცით
ანუ მოცოცხვა
ვიცით ღალატის ფასი
ერთგულების ფასიც ვიცით
შევთხოვთ ღმერთს
მოგვიტევოს ცოდვები
ვნებამორეულები მძიმედ ვსუნთქავთ
და შუბლი ოფლით გვენამება
როცა ბავშვებს ვაკეთებთ
გვიყვარს შვილები ბარტყებს ვეძახით
მათი ვნების ნაყოფთ
შვილიშვილებს
და სათამაშოებითა და კანფეტებით
თავს ვამახსოვრებთ
რომ მერე ტკბილად მოვაგონდეთ
ჩვენი ქალაქიც გვიყვარს
განსაკუთრებით მისი ქვაფენილიანი
ძველი უბნები და ამიტომაც ნაგავს ურნებში ვყრით
სამშობლოს მთა და ველიც გვიყვარს
ომში სხვის შვილებს ვაგზავნით
სხვის ომშიც ვაგზავნით სხვის შვილებს

უკეთეს შემთხვევაში ჩვენ თვითონ მივდივართ
კონტრაქტიან მკვლელებად
რომ ბანკის ვალები დავფაროთ
ვიხსენებთ გარდაცვლილ ახლობლებს
გვეცოდება მაწანწალა ძაღლები
ზოგჯერ უმიზეზო სევდა შეგვიპყრობს
და საკუთარ ოცნებებს
როგორც აბეზარ მევალეებს
დავემალებით
ვარსკვლავიანი ცის დანახვაზე
ვმშვიდდებით
რჩეულ ადამიანთა ბიოგრაფიებს
ვკითხულობთ
როცა წვიმა სახურავზე
ხმაურობს მაშინაც ვმშვიდდებით
სახლის დალაგებისას
დედის სურათს ტილოს რომ გადავუსვამთ
იმ სურათიანად
იქვე ჩამოვსხდებით და გავირინდებით
ზოგჯერ კი გვიპყრობს სურვილი
გავყვეთ მატარებელს უცხო მხარეში
ან წეროებს გავყვეთ
რომლებმაც თავის დროზე
ჩვენ მოგვიყვანეს
ფრთები გვინდა ერთი სიტყვით
თბილი ქურქებიც რომ არ შეგვცივდეს
თბილად ვიგონებთ
ბავშვობის ყინულივით ცივ მდინარეებს
ვყიდულობთ ცოლებისთვის
სარეცხ მანქანებს
რომ მათ ხელებს შერჩეთ სინაზე

მეზობლის მაღვიძარა

არ მინახიხარ მაგრამ ეს ბოლო დროა
ყოველ დილით უფრო ზუსტად კი
7:30-ზე
კედლის იქიდან შენი ხმა მესმის
ყველანაირი წარმოგიდგინე
შენ
მექანიზმი
ადამიანების გამოსაღვიძებლად შექმნილი
სადღაც ჩინეთში ან თურქეთში
საუკეთესო შემთხვევაში კი ევროპაში
აწყობილი
შენი ზარის შემდეგ თვალწინ დამიდგება
შენი გაღვიძებული ჩემი მეზობელი
გაზმორების შემდეგ
უნებლიეთ რომ გაიხსენებს ფრაგმენტებს
ღამით ნანახი სიზმრებიდან
თან მდუმარედ შეაცქერდება
თუ როგორ წამოკრეფს საწოლიდან
სხეულს მისი ერთგული თანამეცხედრე
რათა საუზმე მოუმზადოს მას
ვისმა მწვანე თვალებმაც თავის დროზე
პირველი ნახვისთანავე გულში დაჭრა
ახლა კი ჩემი არ იყოს შენს ზარამდე
ზუსტად ერთი წუთით ადრე ეღვიძება
შაბათ-კვირას კი დუმხარ
მაღვიძარავ
მაგრამ ჩემი მეზობლისგან განსხვავებით
მაინც
7:29-ზე

მეღვიძება
და ეს ნევროზის ბრალია

დეიდაშვილის საყვარელს

გიყვარდა ქმარი
რომელიც უეცრად გამოგეცალა ხელიდან
მანამდე კი მულმა გვარიშვილობაც დაგიწუნა
და ბოზიც გიძახა არადა ღმერთია მოწმე
სხვა კაცისკენ არც გაგიხედავს
ქმარი ერთგულებას გიფასებდა
და რომ არ მომკვდარიყო
მანქანაც უნდა ეყიდა შენთვის
მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე
სრულიად უმიზეზოდ გიკრთებოდა ძილი
და ლამის გათენებამდე უსმენდი
კედლის საათის წიკწიკს
სამსახურში კი თვლემა გიპყრობდა
სწორედ ეს წიკწიკი ჩაგესმოდა
როცა ქმრის ხსოვნას პირველად ღალატობდი
იყავი მაშინ უგრძნობელი
ქვასავით ცივი
მერე დილამდე თვალი არ მოგიხუჭავს
თითქოს დიდი არაფერია მაგრამ მაინც
გული გწყდება რომ ჩემს დეიდაშვილს შენთვის
სიგარეტის ყიდვა ავიწყდება
ვერ იტან უსამართლობას
და ქალაჩუნა მამრებს
ღმერთმა დამიფაროს ეგეთი სიძისაგანო
ამბობ პირჯვრის წერით
გულს ვერ უდებ ქსოვას და კერვას თორემ ისე იცი
სახლიდან მარჯვენა ფეხით გადიხარ
და ქალიშვილსაც იგივეს აჩვევ
აპირებ მაცივარს ბოქლომი დაადო

რომ არ გასუქდე
ფორმის შესანარჩუნებლად
ერთ ან ორ გაჩერებას ფეხითაც კი გადიხარ
და ამ დროს
თუ ნიავი თმებს აგიწეწავს
გეუფლება ცრუ წინათგრძნობა
რომ შენს ცხოვრებაში
რაღაცა კარდინალურად უნდა შეიცვალოს
არადა სინამდვილეში
არ იცვლება რას იზამ
ასეთი ყოფილა შენი ბედი
ისე კი ალბათ როგორც სხვა
შენისთანა ქვრივთა უმეტესობა
ქმრის სიკვდილის შემდეგ პირველად
ნამდვილი გზნებით
შენი ქალიშვილის ქორწილში იცეკვებ
ეგეც შენი ბედია

მარტი ბებერ სულს მოუნდა ნორჩი სხეული

როგორც ნამრუშევ სიყვარულს
მიმოზების აყვავებას თავის ტკივილი მოაქვს
დღე მამაა ჩემი
ღამე მშობელი დედა
ყოველ დილით ჩემი სიზმრებიდან ვბრუნდები
სადაც წუხელ მოწმენდილ ცაზე
ნაომარმა თვითმფრინავებმა ისეირნეს
ჩემმა ნაქებმა დელფინმა კი შეყვარებულს ზურგი
აქცია და სხვას მისთხოვდა
ჩემი ცოლის დაქალის დედა
საერთოდ ვერ ნახულობს სიზმრებს
სამაგიეროდ
ხახვს ყოველთვის თვითონ ჭრის
თავისი ჭკუით ცრემლებით იკურნავს თვალებს
არ უნდა ამ ცხოვრებაში რამე გამოეპაროს
დირექტორი ქმრის და
იღბლიანად გათხოვილი ქალიშვილის პატრონს
ჩემი ცოლის დაქალის ქმარი ჭკვიანი კაცია
გამჭოლი მზერა აქვს
ისევ ახსოვხარ ჩემს თვალებს
ჩემს ხელებს ისევ ახსოვს
შენი მკვრივი სხეული
იქ
ჩემს ქუჩაზე
მიმოზები ჰყვავიან ახლა და მისი სუნი
ზღვაში მედუზებს შორისაც კი
შეიძლება მოგწვდეს
სხვანაირი ბედნიერება არც კი ვიცი
თუ არსებობს

როგორც ტრიალა მტრედები
ან სულაც ნაომარი თვითმფრინავები
ბრუნდებიან ციდან
ისე მეც ყოველ გაღვიძებაზე
ჩემი სიზმრებიდან ვბრუნდები
რომ დავემსგავსო ფასკუნჯს
სიმარტოვის ცეცხლში დამწვარი
ფერფლისგან რომ უნდა აღსდგეს

ამ გაზაფხულზე
კიდევ უფრო ძნელად ვიტან
უშენობას

* * * (ამ ზამთარს...)

ამ ზამთარს
ვერაფერი დავწერე
გედებზე
რომლებსაც ტბა გაეყინათ
ვერც შენს ტირიფებივით
სევდიან ხელებზე
ვერც ოდესღაც ნანახ
უცნობ საფლავზე
ირიბად გაზრდილ ხეზე
ვერაფერი დავწერე
ამ ზამთარს

შავი იუმორესკა

ამ ჩვენს მეეზოვეს უცებ რატომღაც შეუყვარდა
ჩემი მეზობლის ცოლი
ალბათ ახალგათენებულზე
აივანზე გადმომდგარი რომ დაინახა
დედოფალს შეადარა
თუმცა დედოფლები სისხამ დილით არც კი დგებიან
და გვიდა ეზოს ჩვენი შეყვარებული მეეზოვე
უკეთ ვიდრე მანამდე
პატიოსანი კაცის ერთგულებით გვიდა და
მე მართობდა მისი სიყვარული ძალიან
გულისმომკვლელი
ფრთამოტეხილი ჩიტის გაფრენას რომ გავდა
თუმცა ფრთამოტეხილი ჩიტები
ფაქტია რომ ვერც კი ფრენენ
მხოლოდ ცალი თვალით
თუ ახედავენ ცას
რომელიც უკვე მათი აღარ არის
ელოდებოდა ჩვენს მეეზოვეს შინ ავადმყოფი ცოლი
რომელიც ალბათ თავის სიზმრებში დაბარებულივით
დიდი ხნის მკვდარ თავის მშობლებს ნახულობდა
და ვერც კი ხვდებოდა
რომ შეუყვარდა უცებ მის ქმარს ჩემი მეზობელი
რომელიც კარგა ხანი იყო
ერთადერთ ოთხიოდე წლის ვაჟს
უქნარა ქმრის საგვარეულო ახირების
და უაზრო ჟინიანობის
სიმპტომებს ატყობდა და არც კი იცოდა
ვისთვის შეეჩივლა ეს ამბავი გარდა ჩემი ცოლისა
ვისაც ბოლომდე მაინც არ ენდობოდა

ჩემი ნაწყენი ცოლი კი ამას ძალიან განიცდიდა
და თვალებში გაუკრთებოდა წყენა
არც კი მითქვამს მისთვის
რომ ჩვენი მეეზოვე შეყვარებული გახლდათ და
ამიტომ იყო რომ დაგვისას
უკვე აღარ აყრიდა მტვერს ჩვენს მანქანას
რადგან მის გვერდით თავისას აყენებდა ხოლმე
ჩვენი მეზობელი ლექტორი
ახირებული და ჟინიანი ქმარ-შვილის პატრონი ლამაზი
ქალი
ვინც არავის ენდობოდა ამქვეყნად
ჩაძირული საკუთარ სიმარტოვეში
როგორც იძირებოდა ცა მის თვალებში

ღამეა ახლა

ღამეა ახლა
აივანზე ვდგავარ და ვფიქრობ შენზე
იქ ქვემოთ
ლამპიონებით განათებულ
ქუჩაში ეულად
მიტორტმანებს მთვრალი
რის ვაი-ვაგლახით მიაქვს მოსული სხეული
თითქოს არც იყოს მისი
შორიახლო ციმციმაჩართული
საპატრულო მანქანა ადევნებია
ჰგონიათ რომ დაეცემა
ჩაიკეცება შუა ქუჩაში
ის კიდევ მიდის აღარ ნებდება
არც იცის რომ თვალს ადევნებენ
თავისებურად კანონის ფარგლებში
ზრუნავენ მასზე
ვგრძნობ მის მარტოობას
როგორც ღმერთი გრძნობს
ჩვენსას თვითონვე მარტოსული
აივანზე ვდგავარ და შენზე ვფიქრობ

3. პროზა

ზურა გოგიძე

კეიროშის ჯეელობანი

მზიანი დილა იყო, ჩიტები მხიარულად ჭყიპინებდნენ, მაგრამ კეიროშს ეს არ ადარდებდა. არც უხაროდა. სამშობლო ქალაქიდან გარეთ, გორაკზე ამოსულიყო და უძრავი დგომით, უტვინო გაშტერებით დაჰყურებდა იმავე სამშობლოს. იმის სახეში ვერ გამოიცნობდი ვერც ჭმუნვას და ვერც ცხოვრების დიად გამოცანაზე ჩაფიქრებას, შესაშურ სიცარიელედ დაცლოდა სახის მეტყველება. დასცქეროდა ქალაქს, გეგონება, უზარმაზარ ქვაბს, რომელიც თავის მუცელში იხარშავს იქაურ მოძრავ ბინადრებს და არაფერსა ფიქრობდა, აღარსაით ეფიქრებოდა – თითქოს უამისოდაც უკვე ყველაფერი იცისო.

გორაკზე იმის მეტი სულიერი არაფერი ჭაჭანებდა. თავის ჩარაზულ გონებაში არა ხედავდა არც არემარე კაი ამინდის ნათებას და არც ჩიტების უნიჭო მხიარულებას. მიწაზე დაჯდა, ხის ქვეშ, და ისე განაგრძო გაშტერება. მაგრამ ერთიც ვნახოთ, ადამიანის მოახლოება მოესმა ზურგსუკან: უთანაბრო ნაბიჯი, ბებერი ძვლების ჭრიალი, გულამომჯდარი ქოშინი და უმისამართო წყევლა და გინება. ეს კი გაიგონა კეიროშმა, ეს კი შეუშვა თავში, კიდეც იყურა იქით.

მოხუცი დაინახა, მაწანწალა, ძლივს მოლასლასებდა. ყავარჯენს ეყრდნობოდა, სახე დაძაბვით ეჯღანებოდა, უჭირდა თავისი თავის ტარება. მოდიოდა რის ვაი-ვაგლახით, პირდაპირ ამაზე, კეიროშზე.

– სალამი უცხოვ, – მოესალმა, რაკი ბოლოს და ბოლოს მოუახლოვდა.

არ უპასუხა ამან, ჩუმად უყურა. არც უხაროდა და არცა სწყინდა მოულოდნელი ამხანაგი. არა სწყენია არც მოხუცს ამისი უსალმო სიჩუმე, ყავარჯენზე ყრდნობით ნელ-ნელა დაჯდა ისიც მიწაზე, ვიშვიშით, ჯღანვით. ისხდნენ ჩუმად, გვერდიგვერდ, კეიროში იმას აღარ უყურებდა, ის კიდევ თავისთვის სუნთქვას იბრუნებდა.

– შენც აქ გამოგრიყა განა სამშობლომ? – მაწანწალამ ჰკითხა, რაკი ცოტაოდენი ძალ-ღონე დაიბრუნა.

– ჰო, – თავი დაუქნია ამან.

– მე კიდევ სასაფლაოდან მოვდივარ, ჩავლილ დღესასწაულებს იქა ვთხოულობდი, აი, – ბინძური ძონძებიდან პური გამოიღო, მოატეხა და კეიროშს გაუწოდა – აჰა.

არ გამოართვა. ათვალიერებდა და კარგადა სწავლობდა იმ მაწანწალას მოწყობილობას. არცა სძულდა, არც ებრალებოდა იმისი მყრალი და ტანზე შემოფლეთილი ყოფა. მხოლოდ აშინებდა, თავისი მუცლის სიღრმეებში ჰზარავდა. ძრწოლვა, თავზარი დაეცა ამის ის იყო საგულდაგულოდ დაოკებულ სულიერებას. რამდენჯერ უნახავს, რამდენ მაწანწალას ნახავ ჩვეულებრივ, ვიდრე ცხოვრების ნახევარზე მეტს გამოივლი, მაგრამ აქამდე არ შეშინებია: თავის თავსა ხედავდა ახლა იმ მოხუცში უცხადესად, თავის ხვალინდელ მომავალს, უპატრონოს და უთავშესაფროს, სიბერით დაუძლურებულსა და მუდმივი შიმშილით სულგამოწუწნულს.

სიტყვით და განზრახვით ხომ ადვილია ყველაფერზე ხელის ჩაქნევა, თავის დანებება, დავიწყება, ამ გორაკზეც ამოსვლა. მაგრამ ფიქრი არ უნდა იმის, რაც გულის სიღრმეში კარგად იცის: რომ სინამდვილეში ყოფის

გათავება ადვილად არ მოეცემა, რომ შიმშილით დაუძლურება გასტეხავს ნებისყოფას: შეჭამს, მცენარეებს, მიწას, მკვდარ ცხოველებს, ნაგავს, ოღონდ მაინც შეჭამს და ამით კი თავისი ნების წინააღმდეგ გაიბევრებს წანწალს, უმიზნობას, სასოწარკვეთილებას. ჯიუტად არა ფიქრობდა წეღან, ჯიუტად არაფერს, და აფიქრდა მაინც ახლა, აი ამ ბებრის დანახვაზე.

– ჩემი საქმე ადვილია, მე თავიდანვე უუნაროთა გვარისა ვყოფილვარ, ვმათხოვრობ, რაც თავი მახსოვს, – ისევ მაწანწალამ ილაპარაკა – ყოფის ხელოვნებად წანწალი და მათხოვრობა დამიწესა განგებამ. შენ კი რანაირად გამოგივიდა, რატომ ახლა, ამ დაბერების პირზე გამოგრიყა ყოფამ და სამშობლომ?

– შეცდომა გამომივიდა, – თქვა კეიროშმა, გეგონება, თავის თავს ეუბნებოდა, მაწანწალას კი ისევ თვალს არიდებდა – თუმცა მე რა, სულ ცხონებული მამიჩემის ბრალია.

– რას გერჩოდა? მშობელმა ეგრე რად გაგიმეტა? – ეკითხებოდა, თითქო ამასთან საუბარს ეძებდა მოხუცი.

– ჩემი შეცდომა იმას გამოუვიდა სწორედ, რომ თავის დროზე, ყმაწვილკაცი განათლებაში მიმაბარა, იმის მაგივრად, რომ თავისი მრეწველობა ესწავლებინა ჩემთვის.

– რა მრეწველობა იყო, როგორ გამოვიდა ეგ ამბავი? – მოცლილობისგან კიდევ ცნობისმოყვარეობდა მოხუცი მაწანწალა, თავს არ ანებებდა.

– რა და, თავის დროზე პატივცემული კაცი იყო ცხონებული მამაჩემი, აკი ფულსა შოულობდა, დახლი ედგა და მეც სიმაძღრეში მზრდიდა, – ალაპარაკდა კეიროშიც, აჰყვა იმის გამოწვევას – აწყობილი ჰქონდა საქმე, უცხოურ

ნიფხვებსა ვაჭრობდა, გალანტერიულ ჰალსტუკებს, აჭიმებს, აზღუდებს. ეს კი წვრილმანი საქმე ნუ გეგონება, ამის წყალობით იყო, რომ მამაჩემს სხვა მდიდრები სალამზე ქუდს მოუხდიდნენ და წვეულებებზეც დაუძახებდნენ სხვადასხვა კარგ სახლებში.

შრომად უჯდებოდა, თაღლითობადაც კი, მაგრამ უზრუნველადა ვყავდით მოწყობილი მეცა და მთლიანი სახლი. აბა, მაშინ ვინ მოიფიქრებდა, თუ ოდესმე სულ უკუღმა წამივიდოდა საქმეები. ახლა რომ ვფიქრობ, სულ იმის ბრალია: არა ჰსურდა მე, მისი ძე, აღებ-მიცემის ხელოვნებას, ნიფხვებით ვაჭრობას გავყოლოდი. იმისი გონების ხედვით განათლებაში უნდა მიმეღო ცოდნა და ხელმწიფის ტახტის მსახურებაში დიდმოხელეობამდე ავსულიყავი. ვითომდა, თავისზე უკეთესი გამოვსულიყავ: მოხელე, უშრომელი, მდიდარი. მიმიყვანა და მიმაბარა განათლებაში. იქ გამიდიოდა წლები და თურმე მაშინა ვკარგავდი მთავარ ცოდნას: გალანტერიულ თაღლითობას, ფულების დათვლას. მე კი, უგუნურს, მიხაროდა, შევიფერე, თვითონვე არა მსურდა დახლის მეცნიერებაში ჩახედვა. ჩემ წინაშე სულ სხვა, მაღალ-მაღალ მოღვაწეობასა ვხედავდი.

ჩემს მაშინდელ ამხანაგებს სხვადასხვა მოფიქრებები ამოჰქონდათ მოწინავე წიგნებიდან, რომელიღაც სამართალზე, ძველი წესრიგის დრომოჭმულობაზე, ნათელ მომავალზე, საყოველთაო კეთილდღეობაზე და, როგორც ყოველთვის ხდება, ეს ყველაფერი მარტოოდენ თავის გასალამაზებლად უნდოდათ, სინამდვილეში კი ერთადერთ მიზნად ქეიფი და გულუბრყვილო მოწაფე ასულების ცდუნება და გასულელება ჰქონდათ.

ავყოლოდი ფუქსავატობას, უმიზნობას. ავყოლოდი და კიდეც მიხაროდა, მეც ჩემი ყოფა ლამაზად მეჩვენებოდა.

გაილია ბოლოს განათლებაც, მოღვაწეობის საათი მიდგებოდა. მაგრამ, შენ აკი მოხუცი ხარ, გეცოდინება სინამდვილის მოწყობილობა: განათლება ადვილია, რაკი იმაში ფულს იხდი, დარაჯიან-პროფესორიანად ყველა გიცინის, გეფერება, რატომაც არა. მსახურებაში კი პირიქით, აქეთ უნდა გიხადონ ჯამაგირები, ჰოდა, რაღად მოგეფერებიან, რად დაგინახავენ, რად გადაგიხდიან რომ მსურველი სხვებიც იციან, თანაც თავიანთივ გვარისა. არ გამოვიდა. მე, ვაჭრის შვილი, არ მიმიღეს ხელმწიფის მომფერებლების ამქარში.

ახლა მეც ადვილად ვიცი სინამდვილე, მაშინ კი დიდი დრო დამჭირდა ამის მისახვედრად. როდის-როდის, გულდაწყვეტილი და ხელჩაქნეული მიველ მამასთან, დახლში დამაყენოს, ნიფხვები მასწავლოს, გალანტერია, ფულის დათვლა, თან კი თვითონვე მძულდა ყველა ესენი, ეს-ესაა ღრუბლებიდან შინ დაბრუნებულს. გული ვერ დავუდე, თვალ-ყური ვერ მივადევნე და რაკი ცხონებული ჩემი მშობელი მიიცვალა, დახლიც დავხურე, მივაფურთხე ყოფის უკუღმართ სიმართლეებს, ჩავიკეტე და მამიჩემის შენახულ ფულებს დავუწყე ჭამა. ფული რომ მორჩა, მერე სახლი გავყიდე და ისა ვჭამე. აი, სწორედ გუშინ ამოვჭამე ბოლოთბოლო ლუკმა იქიდან, დღეს კი მომშივდა და გორაკზე ამოველ, არაფერზე ფიქრი უნდა ვისწავლო, რომ შიმშილით ადვილად მოვკვდე.

– ჰო, კაი ხაფანგი უნდა იყოს განათლებაც. ვხედავ, ნამდვილი ოინი გამოსულა შენს თავზე, – თითქმის მხიარულად პასუხობდა მოხუცი მაწანწალა – მაგრამ განა

ეგრე ბოროტი იყო შენი მშობელი, რომ თავისი ნებით შეუყვანიხარ იმ განათლებაში?

– რა ვიცი. – მხრებს იჩეჩავდა კეიროში – ბოროტიც რად იქნებოდა. აკი, სათავისოდ ვუნდოდი, თავის სასახელოდ. აკი, პურსაც მაჭმევდა, ჭკუას მარიგებდა და დღეობასაც მომილოცავდა ხოლმე. ეჰ, უკან წასვლა რომ შეიძლებოდეს, იქ დაბრუნება, მაშინ ხომ არაფრით გავყვებოდი იმ წყეულ განათლებაში! მაშინ ხომ სულ სხვა ყოფაში ვიქნებოდი დღევანდელ საათზე მოსული.

– წინ და უკან ცხოვრების ავლა-ჩავლას განა არ გიჯობს, ახალი გადარჩენა იპოვო და შეისწავლო? მათხოვრობა ვიცი, გასწავლი. ნამდვილი ხელოვნებაა, გაგიხარდება, – ჭკუას არიგებდა მაწანწალა.

– რას ამბობ. მათხოვრობისა მეშინია სწორედ. ეგ რომ ვისწავლო, მაშ კიდევ ოცი წელიც აღარ მოვკვდები და ოცივეს ამაოდ ვიწანწალებ, – შეშინებული მიაჩერდა კეიროში.

– მაშ, ის არ დაგეზარება, ჯეელობაში დაბრუნდე და გამოვლილი ოცი წელი ხელახლა ამოიარო დღევანდელ საათამდე? – მაწანწალაც ყურადღებით აკვირდებოდა იმას სახეში.

– ოღონდაც! ნეტამც იქამდე გზა იყოს და რად დამეზარება? აკი, ზუსტად ვიცი ჩემი თავის ხსნა და გადარჩენა, – აღტაცებული პასუხობდა კეიროში, თითქოს ნამდვილ იმედსა ხედავდა, გეგონება, კიდეც შესაძლებელს.

– რაკი აგრეა, გულს არ დაგწყვიტავ, – ეშმაკურად ჩაიღიმა მაწანწალამ. – წადი, ჩადი ქალაქში. დაგხვდება სახლიცა და მამიშენიც ისევ ცოცხალი და შენივე თავი ის ყმაწვილ-

კაცი, შეცდომით განათლებაში რომ მიუბარებიათ იმ თავის დროზე.

ეს რა ესმის! არ იცის კეიროშმა, სჯეროდეს, განა? ნუთუ შესაძლებელია? რაც უნდა იყოს, უნდა დაეშვას, შევიდეს ქალაქში. რა იცი, რა ხდება. გინდაც ხუმრობდეს ბებერი, რას დაეძებს, განა დაცინვაც პირველად ესმის, განა გატუტუცებაც პირველად გადახდება? მოეშვა მოხუცს, წამოხტა.

– ჩადი, ხელახლა ამოიარე ეს ოცი წელი და ამავე საათზე ისევ აქა მნახე. მერე მიამბე, რა იქნება და როგორ, – ესღა დაადევნა მოხუცმა მაწანწალამ.

მართლაც თავიდან გავიდა ის ნაჩუქარი ოცი წელი და ხვალ, იმავე საათზე, ისევ იმ გორაკზე ნახა კეიროშმა მოხუცი მაწანწალა. მიწაზე იჯდა მოხუცი, ქალამნები გაეძრო, გაშავებული, დასიებული ტერფები მზეზე გამოეფინა, ცხვირ-პირით, შავი, უკბილო ღრძილებით რაღაც ფოთლებსა თუ მწვანილს აცმაცუნებდა. არ გაკვირვებია, რად გაუკვირდებოდა კეიროშის პირნათლად მოსვლა დათქმულ საათზე. ეს კი არა, არც იმის ცხვირმომტირალი და დარცხვენილი სახე გაკვირვებია.

– დაჯექ, ძმობილო, რაკი მოსულხარ, – უთხრა იმას – მაშ, ისევ ისე გამოგრიყა ყოფამ და ქალაქმა? ნუთუ ისევ შეცდომა გამოგივიდა?

მიწაზე დაჯდა კეიროშიც. გაიცინა სიმწრის და სინანულის გაცინებით.

– აგრემც არ იქნა ჩემი ჭკუის სწავლება. მაგრამ მიხარია შენი ნახვა მოხუცო, აღარ მეგონა, ცოცხალი თუ დამხვდებოდი.

– მოდი, მოჰყევი, კიდევ რა დაატრიალე იმ უკუღმა ქალაქში.

– იღბალი არ გამომივიდა, ნიჭიერება არ მეყო. წავაგე. აქედან რომ ჩავედი, ყველაფერი ძველებურად დამხვდა, როგორც ჩემს ჯეელობაში იყო. სარკეშიც დიდხანს ვიყურე, დამეჯერებინა ასაკის წაშლა და უკან დაბრუნება. მერე კი მამიჩემს დახლში დავუდექი, განათლებაზე უარი ვუთხარ და როგორც იქნა, კიდეც დავიყოლიე. იმან რა იცოდა ჩემი გაჯიუტების საიდუმლო, მე კი ცოცხალი თავით განათლებაში მაინც არ შევიდოდი და ბევრი ღრიალის და წყევლის მერე, როგორც იქნა, დათმო.

მიხაროდა. ზედმიწევნითა ვსწავლობდი აზღუდების მოწყობილობას, ფულების დათვლას, ყალბი საქონლის გასაღებას, მუშტარის მოტყუებას, სიძუნწე-ხელგაშლილობის გონივრულ მონაცვლეობას. ისე გავიწაფე, თვალდახუჭული გამოვიცნობდი საქონლის რაობას, რომელი მისრეთში იყო ნაქსოვი და რომელი კიდევ მაღრიბში, რომელი ფრანციულად უნდა გასაღდეს, რომელი კიდევ ნემენცურად თუ ანგლიურად.

მაგრამ ბედისწერა მაინც უკუღმართი გამოვიდა. სწორედ იმ წელიწადს, როცა ცხონებული ჩემი მშობელი ისევ მიიცვალა, ქალაქში ევრაპიდან ჩამოვიდა ფრანგი ვაჭარი, სახელად ბოზარჯანიძე და გაშალა იმანაც მაინცდამაინც გალანტერიული საქმოსნობა. მეორე ქუჩაზე იმან დადგა დახლი. ფრანგულ სახელს კი ჯადოსნური ძალა აქვს ამ საქმეში, მუშტარს აჯადოებს. უკუღმა წამივიდა

ყველაფერი, თავზე ვიტაცე, მოვიფიქრო, საქმე გადავარჩინო. მისრეთის მაგივრად მეც ნამდვილი ევრაპიდან დავიწყე აზღუდების და ნიფხვების გამოწერა. ძვირი ჯდებოდა, მაგრამ რაღას ვიზამდი. გასასყიდი ფასიც დავაიაფე, ზარალს ზარალზე ვნახულობდი, საქმე კი არა სწორდებოდა: მუშტარი გამირბოდა და ბოზარჯანიძისას მიუხაროდა. დავხურე დახლი. ყველაფერი კაპიკებში მივყიდე წყეულ ფრანგს, ბოროტ ბოზარჯანიძეს. სახლში ჩავიკეტე და დარჩენილ ფულებს დავუწყე ჭამა. ზუსტად იმ ყოფას დავადექ, რასაც მაშინ, პირველი ჯეელობის მერე. ახლაც, რაკი ფულები ბოლომდე ამოვჭამე, სახლს დავუწყე ჭამა და სწორედ გუშინ ამოვჭამე სულ ბოლო ლუკმა. ამოველ გორაკზე. ბედისწერა ყოფილა ყველაფერი, იღბალი.

– მაშ, სულ ამაო ყოფილა ყველა ჯეელობა და სულაც სიცოცხლედ ამოსვლა ქვეყნად? – მაწანწალა ჰკითხავდა კეიროშს, ათქმევინოს, რა მოუფიქრებია და როგორ.

– ამაოდ მეგონა, ვითომ საქმე კარგად მქონდა შესწავლილი, აკი გულდასმით ვაკვირდებოდი მშობლის მოღვაწეობას, ყურს ვუგდებდი იმის დარიგებას. მაგრამ მამაჩემის მერე და მის გარეშე უუნარო აღმოვჩნდი. უუნარობა დაწერილა ჩემი ბედის დავთარში.

– რას იზამ მაშ? წამოხვალ მათხოვრობაში?

– ეჰ, მე კი ვიცი ყველაზე ნამდვილი შეცდომა რა გამომივიდა. აი, კიდევ ერთი ჯეელობაც რომ ყოფილიყო...

– კიდევ რას იზამდი? – გაიკვირვა მაწანწალამ – ისეთი რა მოიფიქრე, რომ შენი განზრახვით ბედისწერის ნებას გადაასწრო?

– რა და, რომ გავღარიბდი, მაშინ მოვიფიქრე. მუშა ხალხსა ვხედავდი ქალაქში. აი, იმათა აქვთ უზრუნველი ყოფა. ბევრი არასდროსა აქვთ, მაგრამ იმდენს ყოველთვის შოულობენ, საღამო ხანს გემოზე გამოითრონ, იმხიარულონ. რაც არ უნდა საქმოსნობა გადატრიალდეს ქალაქში, ამათ საქმე და კაპეიკი გასამრჯელო სულ მოეპოვებათ. კიდევ რომ დამაბრუნებდე, მოხუცო, შეცდომა აღარ გამომივა, აკი ბევრი ვისწავლე ამასობაში. მუშად დავდგებოდი, ხელობას ვისწავლიდი. მამაჩემს ფულს მოვპარავ, სახლიდანაც გავიპარები, ხელოსნებში გავალ – იმ ფულით შეგირდად მიმიღონ. ვიშრომებ და ლუკმა პურს იმითი შევჭამ. არც დათვლა, არც მეცნიერება: დღიურ კაპიკს დღესვე შევჭამ და ხვალისას კი ხვალვე ვიშოვნი, – აღტაცებული ამბობდა კეიროში. – თავის გამოკვების ხელოვნება მუდამ თან მექნება, ვეღარა ბოზარჯანიძე ფეხებს ვერ მომჭამს! ჰა, მოხუცო? მოიტა, ერთი ჯეელობაც მომე!

– რაკი არ გეზარება, დაე, აგრე იყოს. დაეშვი გორაკს, ჩადი ქალაქში. ოღონდ მთლად ოცი წლის გამოვლას ნუღარ დაელოდები, როცა მოგბეზრდება, მაშინ ამოდი გორაკზე და კიდევ მიამბე.

წამით დააყოვნა კეიროშმა, ვერ მოიფიქრა, რა უთხრას მოხუცს. ერთი მოკლე მადლობა გამოუვიდა და იარა დაღმა, ქალაქში, კიდევ ერთ თავის ჯეელობაში.

ხვალამდე კი მართლაც არ იყო გასული ოცი წელი, იქნებ არც ამის ნახევარი, და ისევ იქ გამორიყა მშობელ-ქალაქმა კეიროში. ისევ იქ ელოდა მაწანწალა, ოღონდ ამჯერად მარტო არ იყო, მკვდართან ერთად იჯდა მიწაზე. ღვინოსა სვამდნენ ესენი, კეიროში რომ მიუახლოვდათ.

– რა კარგია, აქ რომ დამხვდი, ძმავ, მოხუცო! – ალალად უხაროდა კეიროშს.

– რა ქენი, როგორ წაგივიდა ახალი ყოფა? ნუთუ გემოზე გამართე შენი საქმეები? აკი ეგრე გახარებულს პირველადა გხედავ.

– ხელებიც დამიბანია. ამას იქით მე გულმა აღარ გამიწიოს ისევ ჯეელობაში. არცა მთხოვო მოხუცო, მაინც არ წავალ. ჩავედი, მივედი, მოვპარე მამაჩემს ფულები, იმით შეველ მუშების ამქარში, ვნახე, ვისწავლე ისინიც. ჰმ, აბა, ისინი ყოფილან, თუ ყოფილან მტაცებლები და ავაზაკები. დავდიოდი იმათში და შეშლილივით ვიცინოდი იმათ ღორობაზე. რასაც მეტს მომატყუებდნენ და გამძარცვავდნენ, მეტს ვიცინოდი. უკვირდათ, იმათ რა იცოდნენ, რად დავცინოდი ასე ადვილად, რომ კარგი თავშესაფარი მაქვს ყოფიდან, რა იცოდნენ ამ გორაკის საიდუმლო! მცემდნენ, დამასისხლიანებდნენ და კიდევ უფრო მეტს ვიცინოდი. მომბეზრდა ბოლოს, დავაფურთხე და წამოვედი. არა, ძმობილო, გამოდის, მე ცოცხლების გვარისა არა ვყოფილვარ და ეგენი კიდევ ჩემი. აღარ ჩავალ ჯეელობაში, აღარ მინდა ყოფა და იმისი მოწყობა.

ღვინო სვეს ამხანაგებმა, თრობაში კიდევ უფრო უყვარდებოდათ ერთმანეთი. ამათი მესამე, ის უცხო მკვდარი თავისთან, სასაფლაოზე ეპატიჟებოდა კეიროშს, ერთი კაი ორმო-საყუდელი შენთვისაც მოიძებნებაო იქა, მოხუცი მაწანწალა კიდევ მათხოვრობის მეცნიერებას უხსნიდა: დარჩეს, იაროს თავისი გასავლელი წლები, ფეხზე ეკიდოს და რამდენიც უნდა იმდენი გაიცინოსო თავბედნიერი მოქალაქეების უკუღმართობაზე.

რა კარგიაო, თავის თავში იძახდა კეიროში, როცა სულ ოდნავი იმედი და მოლოდინიც აღარ დაგრჩენია

სატყუარად, თავის გასაბრიყვებლად, ზურგი აქციო ცოდვილ დედამიწას, გულკეთილ თანამოძმეებს, გულის სიღრმეში შენსავით არამზადებს. როცა სამი სიცოცხლის გამოვლის მერე, როგორც იქნა, ზუსტად იცი საიდან მოგასკორა ბედისწერამ და ამაო სიბრალულით აღარ ეკითხები შენს თავს, თუ ვისი და რა დანაშაულისთვის მოგეზღო, ან ვის მიერ და სადაური სამართლით. როცა გვერდით შენსავით მყრალი, უძლური და საძულველი ამხანაგები გყავს და შენი ფეხით მიდიხარ სულ ბოლო გზას სასაფლაოსკენ, მუქთად ბოძებულ ორმო-საყუდელში – რაკი ცოდვილი დედამიწა შვილად არა გცნობს და თანამოძმე არამზადები კიდევ მოძმე ამხანაგად, რაკი მასხარა ბედისწერას სადღაც ზევიდან აქვს ბოძებული თავისუფლება – დაგცინოს, რამდენიცა სურს.

ალეკო შუღლაძე

სექსუალური ცხოვრების სირთულენი (ეპიზოდი რომანიდან „შეპყრობილნი“)

პაველის ნათქვამი გამახსენდა, ჩვენთან, ირკუტსკში, გემრიელი შავი პური ცხვებაო. ბავშვობაში შავი პური ძალიან მიყვარდა, სანამ ჩვენთან სახლში ერთადერთხელ მოსულმა, მამაჩემის ვიღაც ნაცნობმა არ გვითხრა, აზრზე არა ხართ, მთავრობა რა ნაგავს გვაჭმევსო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მთელმა ოჯახმა ეგრევე ვირწმუნეთ მისი ნათქვამი. ანუ ის, რაც მომწონდა, რასაც ზევიდან კარაქს ვუსვამდი, მადიანად მივირთმევდი – სინამდვილეში ნაგავი ყოფილა. კარგა ხანს შავ პურს აღარ ვყიდულობდით. დიდი დრო დამჭირდა, ალბათ რამდენიმე წელი, სანამ ზიზღი გადამივლიდა.

თენდებოდა, ლოგინიდან რომ წამოვდექი. კაფეში უნდა ჩავსულიყავი, რამე მეჭამა.

დერეფანი ცარიელი იყო. როგორც ჩანს, ღამენათევ ვერონიკას სართულის მორიგეობა მიეტოვებინა და იქვე, რომელიღაც ოთახში ეძინა. კიბეზე მსუბუქად ჩავირბინე, კარგ გუნებაზე ვიყავი – მიყვარს სასტუმროები.

ფანჯარასთან მაგიდას მივუჯექი. მიმტანი გოგონა დაბნეული მეჩვენა. გადავწყვიტე, ოდნავ გამემხიარულებინა და სიმართლე ვუთხარი, ძალიან ლამაზი თვალები გაქვს-მეთქი და მგონი, უფრო დაფრთხა. დახლთან დაბრუნდა და იქიდან მითვალთვალებდა: შუშის ვიტრინაში პროდუქტს ისე ალაგებდა, თვალს არ მაშორებდა. ეგრე ყურება ალალ პროვინციელ ქალიშვილებს გამოსდით კარგად. მათ ჩაციებულ მზერაში გამოუცდელი მამაკაცი მოურიდებლობას დაინახავს მაშინ, როცა საქმე მხოლოდ გაოცებასთან გვაქვს. მაშ, ასე,

შუააზიელს არ ვგავდი, არც სკანდინავიელს, არც კორეელს. შეიძლებოდა, ირანელობა გამექაჩა, მაგრამ ირანელს ირკუტსკში რა უნდოდა? ან სომეხი ვიყავი, ან ქართველი. ჰოდა, ხუმრობა ხომ არ არის, დილის რვაზე მელოტი კავკასიელი კომპლიმენტს რომ გეტყვის.

50 დოლარი... გუშინდელმა ციფრმა გამიელვა გონებაში.

პაველთან რაღაც უნდა მომემიზეზებინა და კიდევ ერთი ღამით სასტუმროში დავრჩენილიყავი. სიმართლეს ვერ ვეტყოდი: ვერონიკასთან მინდა ყოფნა და შენთან სახლში ვერ გადმოვბარგდები-მეთქი.

პაველისთვის არასოდეს მითქვამს, ქალებში რომ არ მიმართლებდა.

თავიდანვე ჩემი სექსუალური ცხოვრება ისე აეწყო, რომ ეჭვი გამიჩნდა, მოჯადოებული ხომ არ ვარ-მეთქი. დიახ, ნამდვილად დაბადებიდან ვიღაცამ დამთარსა, თორემ არადათარსულებს, ჩემზე უარესებსაც გამართლებიათ ქალებში.

თექვსმეტის გავხდი თუ არა, მაშინვე მოსკოვში გადავფრინდი. ანგელოზივით გოგონა რესტორანში დავპატიჟე. ვნებიანი ღამის მოლოდინში დროდადრო სკამზე შევიკუნტრუშებდი ხოლმე. ჯერ ისევ ვაჟიშვილი ვიყავი, თუმცა თეორიულად კარგად მომზადებული და მასტურბაციის დიდი გამოცდილებით. არაყს «ფანტაში» ვაზავებდით და ისე ვყლურწავდით. «კოკა-კოლა» ჯერ არ იყო შემოსული. თითქმის არაფერს ვაყოლებდით. ერთმანეთი მოგვწონდა, დილით მიემგზავრებოდა, დრო ცოტა მქონდა. ახლო ურთიერთობისთვის საფუძველი იმავე ღამით უნდა ჩამეყარა და მომავალი ჩვენი იქნებოდა. ეს იყო ხანა, ერებს ერთმანეთი დაფარულად

რომ სძულდათ და ანეკდოტების საშუალებით დასცინოდნენ. სასმელი მოგვეკიდა, მაგრამ ჩემი გოგო ვერაფრით გავაჩერე. ჭიქის ჭერისგან მარჯვენა რომ დაეღალა, ახლა მარცხენათი გადაკრავდა ხოლმე. წვეთს არ ტოვებდა. რამდენჯერმე მითხრა, შენ რა გგონია, რომ მომინდეს, ხვალვე გავთხოვდებიო. შემდეგ თემა შეცვალა: კაცი რომ ვიყო, მფრინავი გამოვიდოდიო. მეორე ბოთლიც ჩავცალეთ და ის დაეწყო, თვალებში რომ გიყურებს, მაგრამ თვალებში რომ ვერ გიყურებს. დიახ, ეს ფენომენი სწორედ ტავტოლოგიურ ნიუანსებს მოიცავს, რაც ფოკუსის გასწორების ჯიუტ განმეორებადობაში გამოიხატება. ეს წმინდა წყლის აცდენილი მზერაა. ანუ მთვრალი დარწმუნებულია, რომ გიყურებს, მაგრამ შენ თუ წამოდგები და გვერდით დადგები, ის მაინც გააგრძელებს ძველი მიმართულებით დამაჯერებელ საუბარს.

მაშინ უნდა გამეცნობიერებინა, რომ გოგონას «მე» ჭკუის «ტროპოსფეროს» უკვე გასცდა, გრავიტაცია შესუსტდა და რადგან ურთიერთმიზიდულობის გარეშე სექსი ვერ შედგება, ოპერაცია «ვაჟიშვილობის დაკარგვა» კრახის წინაშე დადგა. ჯერ საყვარლად დაასლოკინა, შემდეგ გვერდით მდგარ ჩემს ორეულს უთხრა, ერთი წამით, ახლავე მოვალო და ტუალეტისკენ წაცუნცულდა. ვეღარ დაბრუნდა. უნიტაზებში ვერ ვიპოვე, ნომერში ავაკითხე და ბრახაბრუხის მერე როგორც იქნა, კარი გამიღეს. ბავშვობაში მწვანე სათამაშო კატა მყავდა. თვალების ადგილას ორი დიდი თეთრი ღილი ჰქონდა მიკერებული. თავიდან მეგონა, რომ ჩემმა კატამ გამიღო კარი. მაინც გადავამოწმე, ის გოგო სად არის-მეთქი და მე ვარო. დაღამებამდე არწყევდა. არ ვტოვებდი, იქნებ ოდნავ მომჯობინდეს და იმ საქმისთვის ივარგოს-მეთქი. ყველაფერი ამოიღო, ყველანაირი წვენი და ლორწო

ამოაყოლა, მაგრამ ვერაფრით გაჩერდა. ვინმე ხომ არ უპირებს ნეტავ მოკვლას, ან იქნებ ამერიკელების ჯაშუში ქალია და ჩეკისტებმა ურანით მოწამლეს, გავიფიქრე მე. ამას ახლა რამე რომ დაემართოს, მე არ დამბრალდეს-მეთქი და ჩქარი ნაბიჯით გავეცალე იქაურობას.

მეორედ, მაშინაც თექვსმეტის ვიყავი, ბარში სიმპათიურ ქალიშვილს მივუჯექი. სიფრთხილე გამოვიჩინე და სასმელი არ დამიძალებია და არც არაფერში გამიზავებია. ოდნავ შევთვერით და მე ვუთხარი, წამო, ჩემთან ავიდეთ, ნომერში, მაგარი რაღაც უნდა განახო-მეთქი. როცა წამოდგა, ფაქტობრივად, ყველაფრით ჩემზე მაღალი აღმოჩნდა: თავით, კისრით, მხრებით, მკერდითაც... ჭიპზე თავი მივადე (სხვანაირად ვერ ვეხუტებოდი) და ბარიდან ისე გავედით. დერეფანში დაიტრაბახა, ადრე ფრენბურთსაც ვთამაშობდიო. მე კიდევ, ადრე, სკოლაში, ერთი ტონა მაკულატურა ჩავაბარე და პირველ ადგილზე გავედი-მეთქი. ტექსტი ათიანში გავარტყი, ძალიან მოვეწონე.

ყველა შესამზადებელი პროცედურა მაქსიმალური სიზუსტით შევასრულე და ის-ის იყო, «სტიკოვკას» ვიწყებდი, – თან სიტუაციას კოსმოსიდან წამოსული ხმებით ვამდიდრებდი: «ალო, «სოიუზ», «აპოლონი» ვარ, გესმის ჩემი? მზად ხარ ჩემი მიღებისთვის? მიღება.» – რომ მოულოდნელად ნომერში ქართველი ძმაკაცი დამადგა, მოსკოველ «ბომჟებთან» ერთად. ვეღარ გავყარე, დილამდე ვკოცნეთ ერთმანეთი მე და «ბომჟებმა». რაღაც

მომენტში, როცა მე და ერთ «ბასიაკს» შუბლები გვქონდა ერთმანეთზე მიდებული, აბა, პრივეტო, ქალმა და გაქუსლა.

ახლა ლენინგრადში რა მოხდა: არც «ბომჟები» და არც გულისრევა. ქალს ხელში ქალაქის ტელეფონი ეჭირა, მაგრამ მაინც სწრაფად გავხადე. ეგ კაბელი ხელს მიშლის და მუხლებზე დადექი-მეთქი. უკნიდანაც ფრიად დამაჯერებლად მივუდექი. პარალელურად სარატოვში დაქალს ელაპარაკებოდა, სოროში ვიმყოფებიო და ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. რა ჩემი საქმე იყო, ვისთანაც უნდოდა, იმასთან ელაპარაკა. ქმარიც რომ დაგვდგომოდა თავზე, უკან ვეღარ დავიხევდი. ის კი არა და, სინამდვილეში უშიშროების მაიორიც რომ აღმოჩენილიყო, უკვე სულ მეკიდა, სატრაბახოც კი მექნებოდა. ვახ-მეთქი, რა კარგია, დაუჯერებელია. უეცრად დერეფნიდან კვამლი შემოგვივიდა ოთახში. გარეთ სირბილი დაიწყეს, ჩვენც სინქრონულად გავჩერდით და მიყურადებულებმა კარისკენ გავიხედეთ. «ხანძარიო», დაიყვირა ვიღაც უსულგულომ. ქალის ტრაკიდან ხელები ავიღე და ყურებზე დავაფარე, იქნებ ვერ გაიგოს-მეთქი. ეს მშიშარა კი ეგრევე ტანსაცმელს დასწვდა და ჩემგან განჯაჭვულობა სცადა. შემდგომში მსგავსი შეშინებული სახე მხოლოდ ერთხელ ვნახე თბილისში, ზოოპარკიდან ცხოველები რომ გაიქცნენ. მეორე დღეს ქუჩაში ვიღაცამ ხუმრობით დაიყვირა, ვეფხვიო და წინ ქალმა ჩამირბინა სწორედ ეგეთი სახით. რუსი გოგონა გავამხნევე, სანამ ცეცხლი ჩვენამდე მოაღწევს, უეჭველი მოვასწრებთ-მეთქი და უკნიდან ვაგრძელებდი ბღლარძუნს. ის კი უკვე კიბეებზე ჩარბოდა. სირბილისას სულ დაკარგა პეწი და ქალურობა, უშველებელი ნაბიჯებით მიხტოდა.

წარმოიდგინეთ, რუსეთში როგორ უნდა გამჭირვებოდა, ჩემს თავს თუ ვუთხარი, აქ არა, მაგრამ საქართველოში

უეჭველი გაგიმართლებს-მეთქი.

სამშობლოში სექსუალური აცდენების განსხვავებულ ფორმებს წავაწყდი. ერთი გოგონა ხაჭაპურზე დავპატიჟე და გაქრა, ვეღარ ვიპოვე. ორი თვის მერე დამირეკა, მზად ვარ, წავიდეთო. უეჭველი სათადარიგო მოთამაშე ვიყავი მის გუნდში, მაგრამ მაგრად მინდოდა და აბა, რა მექნა? სამი საათი ველოდე სახაჭაპურესთან და შემდეგ მარტოკა მივუჯექი მაგიდას და ორი აჭარული ვხიე ცხელ გულზე.

საოცრად ნაზი გოგო მომეწონა და მთელ ჩემს საძმოსაც სწორედ მისი გაჟიმვის ხუშტურმა წამოუარა. სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე წავედით საქმის გასარჩევად და ერთმანეთს დავცხეთ. ერთი კარატისტი ძმაკაცი გვყავდა და იმან გვირტყა დანარჩენებს. ის გოგო შეირთო და ქორწილში დაგვპატიჟა. თუ ცოლად უნდოდა, ეთქვა და შევეშვებოდით, ჩვენი ცემა რაში სჭირდებოდა ნეტავ?

შემდეგ ძალიან მომხიბვლელი ქალიშვილი კინოში დავპატიჟე, რომელმაც წინა რიგში ნაცნობი დაინახა და გადაჯდა. არა უშავს, ფილმი რომ დაიწყება, უკან გადმოჯდება-მეთქი. ფილმი დაიწყო და ეკრანს თვალი ვერ მოსწყვიტა. იქნებ სიუჟეტი დაიძაბოს, ვინმე მოკლან, ან რამე კატასტროფა მოხდეს და აი, მაშინ გადმოსკუპდება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ერთხელაც კი არ მოუხედავს ჩემკენ. Aრადა, ჩემს ჯინაზე არც არავინ მოუკლავთ. ერთი გამატარეთ რა, დავუყვირე გვერდით მჯდომ უცნობს და წამოვხტი, ამის ქათამი დედაც ვატირე-მეთქი. ათ წუთში უკვე გარეთ მივქროდი, აჭარხლებული. ისედაც ბევრი ვითმინე, გადაჯდა თუ არა, ეგრევე უნდა გავქცეულიყავი. ჩემს მეგობარ გოგონასთან ავირბინე, რომელსაც ადრე ვეჩალიჩებოდი წელიწადნახევარი და არ გაგიკვირდებათ და, ფიასკო განვიცადე. ჰოდა, დაქალს

ვკითხე, ერთი დამყნოსე რა, ხომ არ ვყარვარ და ხალხს ხომ არ ვაფრთხობ-მეთქი.

შემდეგი მანდილოსანი როლებში შემეჭრა და პაემანზე ზღაპრების მოყოლა დამიწყო: ჩემს ჯეილს, ნამდვილ მამაკაცს, თხუთმეტჯერ ჰქონდა გუშინ ღამით ორგაზმი ჩემთანო. ანუ ეგრევე ორმაგ ხაფანგში მომაქცია: თამასად ისეთი რიცხვი გადო, ხუთი ღამე მაინც დამჭირდებოდა, რომ შევწვდომოდი. და თანაც მაგრადგარღვეულის იმიჯს რა ხეირი უნდა მოეტანა მისთვის, ვერც მაგას მივხვდი.

მაშინ ვიფიქრე, მოდი, ცოტას წავივარჯიშებ და ტანს დავიყენებ-მეთქი, მაგრამ გახდამდე არ მიდიოდა საქმე და ტანი რად მინდოდა?

თითქმის სექსამდე ვისთანაც მივიყვანე საქმე, იმან მოულოდნელად ბუტბუტი დაიწყო. მივაყურადე, ნეტავ რას ამბობს, ხომ არ ლოცულობს-მეთქი. მართლა ლოცულობდა. მამაო გაახსენდა, თუ რა იყო, ვერ მივხვდი. ლოცვა მეც მიყვარს, მაგრამ სექსის დროს სახიფათოა, შეიძლება, შუაში გაიჭედო ადამიანი: ქალს ვერ ეფერები, რადგან გგონია, რომ შეურაცხყოფ; ეს თუ გადალახე და საქმე როგორმე წინუკანა მოძრაობამდე მიიყვანე – მწვალებელს ემსგავსები; აი, ორგაზმის მომენტში კი ისეთი სირცხვილი გიპყრობს, რომ უკვე საკუთარი სუნთქვისაც გეშინია, ლაღ წამოყვირებებზე ხომ ვერც კი იოცნებებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელ ამ პროცესს კარის უცბად გაღების და რამდენიმე მღვდელმსახურის თავზე დატყდომის შიში გასდევს თან.

იმ დროს ორგანიზებული რელიგიისგან დამფრთხალი ვიყავი და ქალის ლოცვამ რეალურად შემაშინა. ნაღდად დამნაშავე ვარ და ზემოდან რამე რისხვა არ მოვიწიო-მეთქი. რატომ გაჩერდიო, მკითხა გაოცებულმა. ამ კითხვამ

სულ დამაბნია, უეჭველი შარში მხვევს-მეთქი და დამივარდა. მალევე კვლავ მოვმძლავრდი მამაკაცურად, მაგრამ იმავე წამს, აი, ეს სიტყვები ჩამესმა ყურში, «უკუნითი უკუნისამდე» და საბოლოოდ გავფუჭდი.

გამოცდილება გვიჩვენებდა, რომ ტუტუც ბიჭებს უფრო უმართლებდათ. აქედან დასკვნა გავაკეთე – ბევრს ვფიქრობდი. ამიტომ ღრმა აზროვნება შევწყვიტე და უაზრო ლაყბობაზე გადავედი. შემდეგ მივხვდი, რომ ცალსახად ბევრს ვლაპარაკობდი და ეგ იყო ფატალური უიღბლობის მიზეზი. არცერთი ქალი შენთან საქმეს არ დაიჭერს, თუ ეცოდინება, რომ სექსს გაუბაზრებ.

თან ემოციურიც ვიყავი და ლაყბობასთან ერთად, სწორედ ეს ორი ფაქტორი განაპირობებდა ჩემს წარუმატებლობას. ამიტომ დავდინჯდი, აღარ ვწიკვინებდი, მძიმე ხმით ვსაუბრობდი, სიტყვაძუნწიც გავხდი. ამჩატებულობის კოეფიციენტი მინიმუმამდე დავიყვანე. არ ველოდი, რომ გარშემომყოფნიც ამყვებოდნენ დასერიოზულებაში. მათაც მაშინ დაეწყოთ სევდიანი ხანა. სალაპარაკო თემის პოვნა გაჭირდა, ხანგრძლივი პაუზები აუტანელი იყო ჩემი ბუნების ადამიანისთვის და ერთ მშვენიერ დღეს ისევ ავიწყვიტე, მაყურებელი კაეშნისგან ვიხსენი, იმდენი ვაცინე, რომ ფერდებატკიებულნი მიწაზე გორავდნენ. თუმცა რად გინდა, მაინც არავინ მომცა და იმ ღამეს ისევ მარტოკას მეძინა.

ალბათ ზედმეტად ლამაზმანებს ვეპოტინები და იმიტომ ვარ ასეთი უბედური-მეთქი. ტაქტიკა შევცვალე და «ისე რა» სილამაზის მქონე, თუმცა კი ეშხიანი, მაგრად შეღებილი, ყველაფერზე წამსვლელი შხვართი მეგობრის აგარაკზე ავიყვანე. აყვანით ავიყვანე, მაგრამ რკინის კარი ვერაფრით გავაღე. ქალი ისე გაბრაზდა, რომ წიხლები

ურტყა კარს, რაც ჩემთვის მოულოდნელი და ორმაგად მტკივნეული იყო, რადგან, როგორც ჩანს, ვიპოვე ის, ვისაც ძალიან სურდა გვერდით მომწოლოდა და მოულოდნელად კარი ჩადგა ჩვენ შორის. ღამდებოდა და უკანაც ვერ ვბრუნდებოდით. მივიხედ-მოვიხედე, ტყის მაგვარი ხომ არ იყო სადმე რამე? ტყე და ბუჩქნარი აღგზნებადობას შველის. მაგრამ გარშემო სიბნელე იყო და სადღაც ტურა კიოდა. გადავიფიქრეთ. ვიღაც მეზობელმა შეგვიფარა და ნაბიჭვარმა ცალ-ცალკე ოთახებში დაგვაწვინა. ღამით შეყვარებულის მოძებნის მცდელობა სრული კრახით დასრულდა. დაძინებისას მასპინძელმა რკინის კარადაში ჩამონტაჟებული დენის დიდი ბერკეტი გადმოწია და მთელ სოფელში, ალაგ-ალაგ კიდევ სადმე თუ ენთო შუქი, ყველგან ჩააქრო. ჯერ უკუნეთ სიბნელეში ოთახებში მოვყევი ბოდიალს და მერე აბსოლუტურად დავიკარგე. ყველაფერი მეცვალა: გვერდი, ფეხი, ფერი და ბოლოს ვიყვირე, ვინმემ გამომხედეთ-მეთქი. შუქი აანთეს. ორად გახლეჩილი ვიდექი: წელსქვევით აღგზნებული, ხოლო წელსზევით მშფოთვარე და დაბნეული.

აქ გავჩერდებოდი, მაგრამ მსურს, თქვენც ბოლომდე შეიგრძნოთ ჩემი სექსუალური ცხოვრების «მრავალფეროვნებანი».

ახლა არც ბევრს ვსაუბრობდი და არც ცოტას. არც ჭკვიანებს ვეჩალიჩებოდი და არც მთლად სულელებს. საშუალო სილამაზის ქალებზე გადავერთე და ტანიც დავიყენე. შანსს არ ვუშვებდი და სადმე ვარიანტი თუ ჩამივარდებოდა, ზემოდან ვიხდიდი. მაგრამ უშედეგოდ: ქვემოდან გახდის მაგივრად, მალე ისევე ზემოდან ვიცვამდი და გადიოდა თვეები.

გარდა ამისა, დამოკიდებულებაც მერეოდა. თუ მეგონა, ქალს ჩემთან სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობა სურდა, აღმოჩნდებოდა, რომ ერთჯერად სექსზე იყო მხოლოდ თანახმა. და პირიქით, ერთი ღამით თუ ვინმეს სადმე ვეპატიჟებოდი, ეგრევე ჩემი მშობლების გაცნობას გეგმავდა.

ფატალურ უიღბლობას ზიზღის გაჩენა სცოდნია საკუთარი თავისადმი. თავდაჯერებულობისგან ნასახიც კი არ დამრჩა. უარის შიშით გამოწვეულმა თავშეკავებამ პასიურ ადამიანად მაქცია. ერთეულ შემთხვევებში, მთელი ძალღონის მოკრების შემდეგ, კვლავ მქონდა საწინააღმდეგო სქესთან ბუნებრივი კავშირების მცდელობები. მაგრამ აქაც უშედეგოდ. ანუ სექსისკენ ლტოლვამ ბუნებრივობაც დაკარგა და გადაიქცა დიდ საძაგლობად. მეგონა, რომ დამცინოდნენ და საკუთარი თავი შემზიზღდა. სწორედ მაშინ დავასკვენი, რომ დაბალი ვიყავი და უმეტესნი ჩემზე მაღალნი გამოდიოდნენ. ჩემზე დაბლების პოვნა არ გამჭირვებია, მაგრამ იმედი აქაც გამიცრუვდა. დაბალ ქალებსაც მაღალი კაცები მოსწონდათ, ქვემოდან შესცქეროდნენ, წითლდებოდნენ და თეთრდებოდნენ, დნებოდნენ და თვალებს ბნედნენ. მეც იქვე, ძალიან ახლოს ვიდექი, მაგრამ ვერავინ მამჩნევდა – ქრონიკულ თამაშგარე მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. საერთო ჯამში, დაბლებს და უშნოებს არ გვიმართლებდა.

სწორედ მაგ დროიდან დავიწყე ჩემნაირი უიღბლოების ამოცნობა. და იმ პერიოდისთვის მსოფლიოში პოპულარული პიროვნება ოშო რაჯნეში ჩემთვის სპეკულაციის სიმბოლოდ იქცა. გრძნობები მაქსიმალურად დაიკმაყოფილეთ და ამის მერე მოგყირჭდებათ ცხოვრება და სულიერებას მიაწვებითო, ქადაგებდა ის. ეს კონცეფცია

მოკლებული იყო რეალობას, რადგან თუ ბედი არ გწყალობთ, ერთ ქალსაც კი ვერ გაჟიმავთ. ლამაზებს და ფულიანებს კი ოშოს სწავლება ისედაც სულ ეკიდათ, თვითონაც კარგად ხვდებოდნენ, დრო რომ უნდა ეტარებინათ.

როცა ქალებში არ გიმართლებს, კაცებში ეს დაცინვის თემაა. მეტსახელს გარქმევენ – «აზაბოჩენი». დაგცინიან ყოველთვის, როცა ახსენდებათ, რომ ქალთან ნამყოფი არ ხარ. იქვე თავიანთი თავგადასავლების მოყოლას იწყებენ და სრულიად გამოუსადეგარ რჩევებს გაძლევენ. მამაკაცისთვის ყველაზე საგმირო ამბავი ქალის გაჟიმვაა.

მაგრამ საკუთარი თავი დიდხანს ვერ გეზიზღება. გადავწყვიტე ვა-ბანკზე წავსულიყავი. ქალების რომელიმე პროფესიონალ მჟიმავს უნდა მივკედლებოდი. ოთარი იყო ეს პიროვნება. რუსეთიდან ვიცნობდი, იქ «ატარის» ეძახდნენ. სულ ქორფა-ქორფა ქალებს ჟიმავდა რუსეთშიც და საქართველოშიც. ერთხელ ვკითხე, რამდენი ქალი გყავს-მეთქი გაჟიმული და ზუსტად არ მახსოვსო. მოიცა, დავითვლიო და სახელების გახსენება დაიწყო. ერთი და იგივე სახელს რამდენჯერმე იმეორებდა და შემჩნევა მივეცი, ეგრე არ ითვლება-მეთქი. რა, არ შეიძლება, ერთი და იგივე სახელის მქონე რამდენიმე ქალი მყავდეს გაჟიმულიო, მკითხა დაცინვით. თითებით ითვლიდა და მეექვსე-მეშვიდე ათეულზე ერეოდა... თავიდან იწყებდა, ვერაფრით დაითვალა და ბოლოში თქვა, ბევრიო. მაგრად გამიტყდა. იმდენი ქალი ჰყავდა, რომ შეიძლებოდა, ჩემი მომავალი შეყვარებულიც ჰყოლოდა მოტყნული. ანუ დაადო თითი და მორჩა, ისიც ჩაუწვა. მის ქალებს ვერანაირად შევიყვარებდი. მერჩივნა, ჩემი სატრფო წარსულში ერთადერთი მოსიყვარულე მამაკაცის ერთგული ყოფილიყო – თუნდაც დიდხანს.

ოთარს მხოლოდ ერთხელ გავყევი «სანადიროდ». ორი ქალი ააგდო და თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ორი ქალიდან ერთი მუდამ ატრაკებს და უარზეა: ან ქალიშვილია, ან ქალიშვილობას თამაშობს, ან კიდევ რაღაც... მოკლედ, კაპრიზული ჩემი ქალი აღმოჩნდა და საქმე ვერ დავაგვირგვინე. მას მერე ოთარი აღარც მინახავს.

ძალადობის გარდა აღარაფერი მრჩებოდა, პირდაპირ შტურმზე უნდა გადავსულიყავი. ისეთი ვინმე უნდა შემერჩია, ვისაც ფიზიკურად მოვერეოდი.

მალე ვიპოვე. საოცარი სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ პატარა ტანის იყო. შემეძლო, თავისუფლად შემებოჭა, ზურგზე დამეგდო და კარგა ხანს მყოლოდა ასე გასკვანჩული – იქნებ მონდომებოდა. ეჭვი რომ არ გასჩენოდა, ქალაქში დავაპროწიალებდი წინ და უკან და კარგა ხოშიანად რომ მოვთენთე და მოვღალე, დაღამებულზე უნივერსიტეტის გვერდითა მხრიდან დაბლა ჩავიყვანე ბაღში, სადღაც სიღრმეში. სწორედ იქ უნდა ჩავხუტებოდი და შემდეგ ზემოდან დავწოლოდი.

შევცბი, როცა გოგონამ დამასწრო და მკითხა, შეგიძლია, რომ გამარტყაო?

ანუ ის შემომთავაზა, რაც ჩაფიქრებული მქონდა. ჩემი გეგმის შესახებ რამე რომ სცოდნოდა და ჩვეულებრივი ვინმე ყოფილიყო, ხომ მოცოცხავდა იქიდან. არც ჩემი ზრახვები იცოდა და გამოდის, თვითონაც რაღაც სხვანაირი იყო. Gგამარტყი, რაო. თავი გავაქნიე, არა-მეთქი. მიდი, მცემე, ნახავ, როგორ გაგისწორდებაო. სწრაფად მოვტვინე, რომ სრულიად უცხო თამაშს მთავაზობდნენ. არც ჩემი ჩანაფიქრი იყო მთლად ბავშვური, მაგრამ მისრეს-მოსრესის მერე თუ გამიძალიანდებოდა, გავუშვებდი და

მაგით დასრულდებოდა – მართლა «როსტოველი მფატრავი», ანდრეი ჩიკატილო ხომ არ ვიყავი.

მხოლოდ ცემა აღმაგზნებსო, მუდარით მითხრა. ცივმა ოფლმა დამასხა. ეს არ გინდოდა-მეთქი, ვკითხე ჩემს თავს. ყველაფერი ერთადაა: სანქცირებული ძალადობა, შურისძიება ქალებზე და თან – ახალი გამოცდილება. გავიქნიე და ხელუკუღმა ვხიე. თავი უკან გადაუვარდა, მაგრამ უცბად ისევ გაასწორა. მოეწონა. ასეთ დროს გაჩერება რთულია, შენში ცხოველი იღვიძებს. ისევ ხელუკუღმა გავარტყი ტუჩებში. მიდი კიდეო და ასოზე წამეპოტინა. უფრო მაგრად გავარტყი, თანაც, რამდენჯერმე და ქვედა ტუჩიდან სისხლმა გამოჟონა. გაეღიმა და მე დავუნახე ლამაზი თეთრი კბილები, რომელზეც პომადა ეცხო. შემეცოდა რაღაცნაირად. დავიხარე და ჩავეხუტე... ჯერ ადრეაო. ალბათ უფრო უნდა შემცოდებოდა, ისიც მეტად უნდა აღგზნებულიყო და ამიტომ მარცხენა ხელი თმაში წავავლე, თავი უკან გადავაწევინე და მუშტი ჩავარტყი ტუჩებში. ძალიან ვერ ვიმეტებდი, მაგრამ მაინც მტკივნეული უნდა ყოფილიყო. შარვლის უბიდან ხელს არ მიშვებდა. ცემისა და სექსის კომბინაცია კი ძალიან სასიამოვნო ყოფილა. მისი კმაყოფილი სახის შემყურეს, მამაკაცური თვითრწმენა მიბრუნდებოდა. ერთი-ორიც და მერე სახეზე კოცნას დავუწყებდი. ენით სისხლს ავულოკავდი. მოღიმარს და ძალაგამოცლილს ძუძუებს დავუსრესდი და დავუკბენდი. პერანგს ბოლომდე ჩავუხსნიდი და რბილ მუცელში მუშტს ჩავარტყამდი. ორგაზმის მომენტში ნეკნებს დავუბეჟავდი და ისე გაათავებდა...

უცბად შევდექი. არ ვიცი, რამ გამაჩერა. უკან დავიწიე. ასეთი გართობა ძალიან მომწონდა, მაგრამ ვეღარ გავაგრძელებდი. აღარ გვინდა, საკმარისია, ჩავილაპარაკე,

არ შეიძლება, ადამიანურად რომ ვქნათ, ამის დედაც-მეთქი. მიწაზე გადაწვა. მკლავით სახე მოიწმინდა. მერე ფეხები მოხარა და მოიბუზა. არ ჩანდა ბოლომდე კმაყოფილი. ეტყობა, ეწყინა, შუა გზაში რომ შევწყვიტე მისი ცემა. ახლოს მივედი და გვერდით მივუწექი, მაგრამ არ იხსნებოდა. მკერდზე წავეპოტინე და მომიშორა.

საკმარისი იყო, წამოვხტი. დამნაშავე არ ვყოფილვარ, თუმცა მაინც სწრაფად დავტოვე იქაურობა. გზაში ვფიქრობდი, მივბრუნდები-მეთქი, მაგრამ რაღაც ძალა მისგან შორს მიმარბენინებდა. იმის მერე აღარ მინახავს. თავს ძალას ვატანდი, რომ არ დამერეკა. ის გოგო ცემის მერე უფრო მომეწონა. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ახლაც სიამოვნებით ვნახავდი და იმ ეპიზოდს მცირე ხნით ისევ დავუბრუნებდი. თამაშს შევეჩვეოდი, ყოველ ჯერზე მისი წვალების ხანგრძლივობას სტაბილურად გავზრდიდი და ჩვენგან კარგი წყვილი დადგებოდა.

საერთო ჯამში, ამდენმა იმედგაცრუებამ მამაკაცური მუხტი დამაკარგვინა. ინიციატივას აღარ ვიჩენდი. ჩავიკეტე. თუ სადმე მაინც ვახერხებდი ამ პრობლემის დაძლევას, ყოველთვის ყალბი ვიყავი. უიღბლობა მასშტაბურ აბსურდში გადაიზარდა.

იმ ქალთაგან, ვინც ხვდებოდა ჩემს გასაჭირს, ნავსის გატეხვაში არცერთი არ იღებდა მონაწილეობას და რაღაც კანონის საფუძველზე, როგორც უიღბლო მამაკაცს, სტაბილურად გამირბოდნენ.

ახლა უკვე თანახმა ვიყავი, რომ ერთი ღამის გამო ქალი ცოლად მომეყვანა. ყველაზე სიმპათიური ვინც იყო, ღამე კი არა, დილით, უნივერსიტეტის ბაღში დავპატიჟე. თან დედაჩემის ოქროს ბეჭედი წავიღე, სხვა გზა აღარ მქონდა. თუმცა პაემანზე მიმავალმა ჩანაფიქრში ცვლილება

შევიტანე: ერთი ღამის გამო ცოლის მოყვანას, ცოლის ერთი ღამით მოყვანა სჯობდა. ანუ სერიოზულ ტყუილზე უნდა წავსულიყავი და საქორწინო ღამის შემდეგ უსწრაფესად მივმალულიყავი. თან ბეჭედიც უნდა გადამერჩინა და თავის ადგილას დამებრუნებინა. დიახ, ურთულესი გეგმა დავისახე. ასე სცოდნია სპერმის მოწოლას ტვინში.

მაგრამ ის დღე აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილის დილა. მოწამლული და დაჩეხილი ხალხი სწორედ უნივერსიტეტის ტერიტორიას მოაწყდა და იქ აპირებდნენ ბარიკადების აღმართვას და გამაგრებას. ვიღაცამ დაიყვირა, ტანკები ჩვენსკენ მოემართებიანო და ძალიან მომინდა, საგმირო საქმე ჩამედინა. მაგალითად, ტანკზე ავმხტარიყავი, იქიდან საბჭოთა ჯარისკაცები ამომეთრია და სამაგალითოდ დამესაჯა – ქალებს რომ დაენახათ, რა ვაჟკაციც ვიყავი. მალევე მივხვდი, ამის გაკეთება გამიჭირდებოდა და ოქროს ბეჭედი ღრმად ჩავმალე ქურთუკის ჯიბეში. თავი გავიმართლე, აქ რომ მომკლან, დედას ბეჭედს ვინღა დაუბრუნებს-მეთქი.

ასე რომ, სექსის ნაცვლად, მე და ჩემი შეყვარებული ხანგრძლივ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩავებით და მან თავი ჩემ მაგივრად ერთ-ერთ პარტიას შეაფარა. ანუ უსექსობას თან ომიც დაერთო.

შედეგად, სასოწარკვეთილს და იმუნიტეტდაკარგულს, თავს ეგოისტ ქალთა ბანდა დამატყდა. თავდამსხმელები ერთმანეთს არ იცნობდნენ და დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. თუმცა კი საოცრად ჰგავდნენ ერთიმეორეს. ისინი მაიძულებდნენ, რომ ინიციატივა გამომეჩინა და მათ შორიახლოს მერბინა აღგზნებული ქოფაკივით. რათა შემდეგ, ჩემთვის, ეშხში შესულისთვის,

მტკივნეული უარი ეტკიცათ სახეში გესლიანი ღიმილით. გაიძვერობას მივუხვდი და ისედაც ჩაკეტილი, კიდევ უფრო ჩავიკეტე. ახლა დამცინოდნენ და ჩემს მამაკაცობას ეჭვქვეშ აყენებდნენ. რადგან უარის თქმის შანსი აღარ ეძლეოდათ – ცეცხლდებოდნენ და ყოველ ჯერზე თავმოყვარეობას მითელავდნენ. ახურუშებულს და გაღეღილს, კვლავ უარით მისტუმრებდნენ. ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ არ დავბერდებოდი და არ მოვკვდებოდი. სხვათაშორის, გამოუცდელ მამრს, მდედრთა ეს ტიპი, ჩამოუყალიბებელ, ორჭოფ, თვითონაც რომ არ იციან, რა უნდათ, აი, იმ ქარაფშუტათა კატეგორიაში ერეოდა. არა, ძმებო, არ შეცდეთ – მხოლოდ ზედაპირულია ეგ მსგავსება. ეგოისტ ქალებზე საშიში არაფერია. ძალიან შორს იყავით მათგან.

სწორედ მაშინ დავასკვენი, რომ ზემოთ, იქ, სადღაც, ზეცაში, ძალიან არ სურდათ, რომ მე, აქ, ქვემოთ მეტყნაურა. უეჭველი წმინდანობისთვის მამზადებდნენ. ვიღაცამ მითხრა, ეგ ზეცის ბრალი არ არის, შენი კარმის ბრალიაო. უნდა შემემოწმებინა და სწორედ მაშინ მომივიდა იდეა, რომელიც ჩემამდე უკვე კარგა ხნის დანერგილი იყო: «ფულის მეთოდი». აღმოჩნდა, რომ ის, რაც თურმე კარმით არ მეკუთვნოდა, ფულით მოვიპოვე. საოცარია, არა? ცხადია, ფულიც კარმაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ იმდენი აღმომაჩნდა, სექსში რომ გადამეხადა და აი, შედეგი: კარმა ჩემს ჭკუაზე წავიყვანე.

თავიდან აქაც არ გამიმართლა. უბანში მაყუთი ავკრიფეთ და მეძავი გამოვიძახეთ. რიგი გაიჭიმა, როგორც «მარტოობის ას წელიწადში». კენჭისყრის შედეგად მერვე აღმოვჩნდი და სანამ ჩემი რიგი მოვიდა, აღარაფერი მინდოდა. მინდოდა, მაგრამ ასეთ სექსზე ვერ წავიდოდი.

ხომ გესმით, ბიჭებს იმ ქალთან ნამდვილი სექსი არც ჰქონდათ, მხოლოდ ორალური ღლაბუცი და მეტი არაფერი.

სხვანაირად უნდა მეცადა. ცხადში თავს კიდევ ვუმკლავდებოდი, მაგრამ ფანტომი ქალები ძილში არ მასვენებდნენ და ღამით დასვრილი ტრუსიკების რეცხვით გავსავათდი.

ფულმა მაინც გაჭრა. მთლად კოკროჭინა მეძავებისთვის თანხა არ მყოფნიდა, მაგრამ რამდენიმე ვნებიანი ქალი, როგორც იქნა, ჩავიკოტრიალე. და მივხვდი, რომ ზეცას არასდროს დავუთარსივარ, თორემ ვერც ფულით გადავფარავდი მის ნება-სურვილს და ვერავის ჩავიგორებდი.

არავის ვეჯიბრებოდი და არც არავისი მშურდა. უბრალოდ, სექსი მინდოდა, ქალი მინდოდა. არანაირი ბოროტება და დემონიზმი. არც წმინდა წერილების გამეგებოდა მაშინ რამე და არც სატანისა. ქალის სხეული მსურდა, სულ ეგ იყო. ვის ვაყენებდი შეურაცხყოფას? ეკლესიას, თუ ვის?

სექსით რა უნდა დამენგრია? წარმოიდგინეთ, რა ხუხულა რამე უნდა მქონოდა სადღაც სულში აშენებული, სექსით რომ დამენგრია. კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, ჩემს ვნებებს გარე სამყაროზე რომ ემოქმედა გამანადგურებლად. ქალს ვეხუტები, ვმოძრაობ, ვსუნთქავ, წრფელი გრძნობით ჩავჩურჩულებ, ო, რა მკერდი გაქვს, მარწყვივით ტუჩები, ატამივით ტრაკი... და ამ დროს სადღაც მღვდლები დარბიან შეშინებულნი და ეკლესია ინგრევა. რა სირცხვილი იქნებოდა, ხომ მომეჭრებოდა თავი.

50 ან 100 დოლარად, ისევ და ისევ, ვებმებოდი გაუთავებელ თამაშში. რადგან უფულოდ კვლავ გარდაუვალად

«აზაბოჩენი» ტიპი ვიყავი და მუდმივად ხელმოცარული ვრჩებოდი.

შემბმელი ლაყბობის ნაცვლად, ენერგიას ახლა სამსახურში ვხარჯავდი და ხელფასით ინტიმურ განწყობილებას ვყიდულობდი. ეს ირიბი გზა იყო, მაგრამ ყოველთვის ამართლებდა. თითქოს ამ დროს ნამდვილ გრძნობებთან არ უნდა მქონოდა საქმე, მაგრამ მთლად ასეც არ იყო. ფულს და ინტენსიურ ურთიერთობას შეეძლო, გრძნობებიც გამოეწვია ქალში. თავიდან ისინი ტყუოდნენ, მაგრამ მერე იხსნებოდნენ. ქალი ჯერ გეჩვევა და მერე გეხსნება კიდეც. ბოზად თვლიდნენ მას, ვისაც სექსში ფულს უხდიდნენ. პროსტიტუციის ცნება ჩემში არასოდეს იწვევდა ზიზღს და არ ბადებდა შეურაცხყოფის სურვილს. მთავარი იყო, ქალს სახე არ დაეკარგა და მოუვლელ, თავხედ არსებად არ გადაქცეულიყო. ეგეთებს გავურბოდი. წყობილებიდან მხოლოდ მაშინ გამოვდიოდი, რომელიმე აბუჩად თუ მიგდებდა. არც უშინაარსო და ფლეგმატური მომწონდა ვინმე. სხვა შემთხვევაში «ბოზობას» ასე ვხსნიდი: ერთნი თამაშობდნენ და ეს როლები ვერ ჩაითვლებოდა მათ რეალურ სახედ. ხოლო მეორენი, რომელთაც მართლა უყვარდათ კაცები, ნაღდნი იყვნენ და მაინც ჩაუწვებოდნენ იმას, ვინც მოსწონდათ. ვერც ეს გახდებოდა მათდამი დაცინვის და შეურცხყოფის საბაბი. ჩემი აზრით, ბევრი მამაკაცის ყოლა ქალს აუხეშებდა, ამაყსაც ხდიდა. მაგრამ ეს მათი არჩევანი იყო და თუ არ მკითხავდნენ, არც ჩავერეოდი. როცა ფულის ამღები ნამდვილ სახეს იბრუნებდა, ნორმალურ ქალს ემსგავსებოდა, ეს ძალიან მომწონდა.

რაღაც პერიოდის მერე სექსის სურვილმა გადამიარა და ვერ მივხვდი, უნდა გამხარებოდა, თუ არა. ერთი კვირა სხვა რაღაცებზე ვფიქრობდი. ქალებიც განსხვავებული კუთხით

დავინახე – სინამდვილეში მამაკაცებზე გაცილებით კეთილნი და გულისხმიერნი ყოფილან. ძალიან საინტერესო შინაგანი სამყარო ჰქონდათ, ერთთავად საკუთარი სულის გამოუცნობ ფენომენზე საუბრობდნენ. ვერავინ მიხვდება, ქალს ნატიფ გულში რა უდევსო, ამით ამაყობდნენ და ალბათ მართლებიც იყვნენ. მათთან უფრო ღირდა მეგობრობა, ვიდრე მამაკაცებთან. ყოველ შემთხვევაში, დალევისას ნაკლები შანსი იყო, საღამო გაუთვალისწინებელი დედის გინებითა და ცემა-ტყეპით რომ დასრულებულიყო.

მაგრამ თვის ბოლოს ხელფასი როცა ავიღე, ისევ დამიბრუნდა მათთან ყოფნის სურვილი. აქ შევშინდი, რადგან მივხვდი, ამას ბოლო ვერ ექნებოდა. ცოლს მოვიყვანდი, მაგრამ ქალები ისევ მეყვარებოდა. ანუ მთელი ცხოვრება მათ დევნაში უნდა გამეტარებინა. ვახ, გავიფიქრე, ანუ წამოვიყვირე და შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე. ეტყობა, ფერიც წამივიდა. მეტროთი ვმგზავრობდი მაშინ. წამოძახილზე მგზავრები შეშფოთდნენ, წამალი ხომ არ გინდა რამეო. ჩემს ავადმყოფობას დროებით თუ უწამლებ, თორე ისე მოურჩენელი რამე მჭირს-მეთქი. რა ჰქვია დაავადებასო. რა ჰქვია და «ქრონიკული გაუთავებლობა»-მეთქი. «გაუთავებლობა» ხომ ისედაც მოიცავს საკუთარ თავში ქრონიკულობასო, ჩამეძია ახალგაზრდა გოგონა. ნაღდად ფილოლოგი იქნებოდა. მგონი, მართალს ამბობდა, მაგრამ მაინც შევეპასუხე, შენ რომ გგონია, იმ «გაუთავებლობას» არ ვგულისხობ-მეთქი და სხვაგან გადავჯექი.

გაოცდებით, მაგრამ იმ დღეს მეტროში წამოყვირებამ და გაუთავებელი სურვილების ჰიპოთეზის გაცნობიერებამ შვება მომგვარა. ცხადად აღვიქვი, რომ უკლებლივ ყველა, უბადრუკი მნძრეველებიც და პროფესიონალი

მტყვნელებიც, ექსპერიმენტების მოყვარულნიც და ფანტაზიას მოკლებულნიც, ახლა უკვე ერთ დიდ არმიაში ვერთიანდებოდით. უპირატესობა ვერავის ექნებოდა. პირიქით, უპირატესობა მას ჰქონდა, ვისაც სექსი არ უნდოდა. სხვა შემთხვევაში, გინდა გქონოდა სექსი, გინდა – არა, სულერთი გამოდიოდა. დღეში ხუთჯერაც რომ გქონოდა ორგაზმი და ათჯერაც, ჟინს მხოლოდ ცოტა ხნით მოიკლავდი და სისხამ დილიდან ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. ხომ გახსოვთ, ის ქალი, მასთან ყოფნისას შეყვარებულმა მამაკაცმა თხუთმეტჯერ რომ ასიამოვნა საკუთარ თავს? ქალი არ აღმოჩნდა მაინც დაკმაყოფილებული და ჩემთან მოირბინა. ვფიქრობ, მაშინ სიყვარულზე რომ გვესაუბრა, აჯობებდა. სიყვარულში რიცხვი თხუთმეტი აზრს კარგავს, სიყვარული ერთი მთლიანია და მორჩა.

დასკვნა დაიდო: მჟიმავები არ აღმოჩნდნენ ჩემზე ბედნიერნი.

XXI საუკუნეში 50 დოლარად თითქმის არავინ იძლეოდა. ამ თანხას ჩემი მხრიდან ერთგვარი პაროლის ფუნქცია ეკისრებოდა. მე ვიხდიდი სიმბოლურ 50 დოლარს და ვთავისუფლდებოდი ჯადოსგან. ვინც მიმიხვდებოდა ჩანაფიქრს, მისი მხრიდან ფულის აღება მხოლოდ თამაშში ჩართვის დასტური იქნებოდა. იქნებ სწრაფ დასაწყისს გაცილებით ღრმა ურთიერთობებისკენ წავეყვანეთ. აქამდე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ჩემ მიერ შეთავაზებულ საწყის მცირე თანხას, ქალის მხრიდან ყოველთვის მოსდევდა ვაჭრობა. მხოლოდ ვერონიკა მიმიხვდა ამ თამაშს. ფულის გამო არ დამთანხმებულა. ფულს რომ წამოგებოდა, სხვებივით, 100 ან 200 დოლარს მომთხოვდა. ვერკამ მიცნო, ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ. მართლა ასე თუ იყო, მაშინ იმ პირობის შესრულების დროც მოვიდოდა,

ჩემს თავს რომ მივეცი წლების წინ: ვინც ნამდვილად შემიყვარებს, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლესაც შევწირავ-მეთქი.

კარაქწასმული პურის ნაჭრები სულ შევჭამე და მწვანეთვალება ქალიშვილთან ახლოს მივედი. თავი დაეღუნა და დახლზე კეფირის ბოთლებს ასწორებდა. ეტყობა, მაკვირდებოდა, როგორ ვჭამდი და გული მოულბა. ქალს მოსწონს, მამაკაცს როცა უმასპინძლდება.

– ძალიან გემრიელი შავი პური გაქვთ, – წამოვიწყე, – ასეთ პურს ჩვენთან ვერ შეჭამ.

ახლა მას უნდა ეკითხა: «სად, თქვენთან?»

არ მკითხა. აცდენილი საუბრის ერთ-ერთი ფორმა – ცალმხრივი საუბარი. ანუ მონოლოგი არ არის, რაღაც სისულელეა.

– გინდა, სადილზეც რომ მოვიდე?

ისევ სიჩუმე. რა დაემართა? რუსი ქალი ასე გატრუნული არასოდეს ყოფილა. ის მაინც უნდა ეთქვა, სულ ფეხებზე მკიდია, სადაც გინდა, იქ ისადილეო. ალბათ ღამის საინფორმაციოს უყურა ტერაქტებზე და ჩეჩნების მეთაური ვგონივარ.

კარიდან ვუთხარი:

– ტერორისტი არ გეგონო, მუშა კაცი ვარ.

აჰა, ხო, მაინც გაგეღიმა. ერთი-ორი ხუმრობაც და კისკისს დაიწყებ. მასხარას როლს ყოველთვის კარგად ვირგებდი, ის მე მოუწყვლადს მხდიდა.

მაგრამ რას იზამდი, ფული რომ შემომეთავაზებინა, ასე, 50 დოლარი? ისეთი ყოჩაღი ჩანხარ, ნამდვილად სილას

გამაწნავდი და განწყობილება გაგიფუჭდებოდა. არადა, სულ ტყუილუბრალოდ.

4. ახალი თარგმანები

ეზიდური საკრალური პოეზია

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

გადაჭარბებული არ იქნება, «ახალი საუნჯის» მკითხველს ამთავითვე თუ ვაუწყებთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია განსაკუთრებულია: ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება საკაცობრიო სულიერი კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი – ეზიდური რელიგიის წმინდა ტექსტები, რომლებიც იმავდროულად შექმნილია ლექსებად და კლასიკური აღმოსავლური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებია. ეზიდები მათ ყავლებს უწოდებენ. მათი უმრავლესობა საუკუნეთა განმავლობაში ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მხოლოდ გვიან, მე-19 საუკუნის მიწურულს, მოხდა მათი ჩაწერა. ეზიდიზმი ნაციონალური რელიგიაა და მისი მატარებელი ერთადერთი ხალხია – ეზიდები (განსხვავებით ნებისმიერი სხვა რელიგიისგან, რომლის აღმსარებლად გახდომაც არც ერთი ეროვნების წარმომადგენლისთვის გადაულახავ სირთულეს არ წარმოადგენს, ეზიდიზმის აღმსარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ დედით და მამით ეზიდი). ეზიდები კაცობრიობის სულიერ ისტორიაში რელიგიური ერთგულებისა და ღვთისმოსაობის ფენომენალურ გამოცდილებას ქმნიან. ეზიდიზმი, მსგავსად არაერთი ცოცხალი აღმოსავლური რელიგიისა, ისლამამდე ბევრად ადრე ჩამოყალიბდა და არ წარმოადგენს მის სექტას; ის ავტოქტონური მონოთეისტური რელიგიაა, ეზიდების ღმერთის სახელწოდება კი არის ხოდე. ეზიდები ვარაუდობენ, რომ მათი რელიგიის შორეული ძირები მესოპოტამიაშია საძიებელი, სადაც ისინი უკვე ეთაყვანებოდნენ ერთიან შემოქმედს (რომლის

სინათლედაც ითვლებოდა მზის სხივები), ბიბლიურმა აბრაამმა კი შემდგომ ეს რწმენა მთელ აღმოსავლეთში გაავრცელა. ეზიდიზმი აღმოსავლური მისტიკის მრავალ განშტოებას აერთიანებს თავის თავში, მისი ჩამოყალიბება კი დასრულდა ჩვენი წ. აღ.-ით მე-12 საუკუნეში, როცა ეზიდების თანახმად განკაცებულმა ღმერთმა შეიხმა[1] ადდიმ (შიხადიმ) და მისმა მოწაფეებმა ღმერთთან ადამიანის სულის უშუალო შერწყმის შესაძლებლობა იქადაგეს (სუფიზმისა და ეზიდიზმის ნათესაობა ცალკე თემაა, რასაც აღმოსავლეთმცოდნეები ინტენსიურად იკვლევენ). ეზიდების მშობლიური ენა და მათი ძირითადი საკომუნიკაციო ენაც არის კურმანჯი (იგი, სამეცნიერო კლასიფიკაციით, დასავლეთირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება), თუმცა არაბულენოვანი ეზიდების ორი დიდი დასახლებაა ჩრდილოეთ ერაყში, სადაც ეზიდების წმინდა ადგილი და ტაძარია, სახელად ლალიში[2]. ყავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია კურმანჯის ენაზე, თუმცა ამ ტექსტების საკვანძო სიტყვებს და რელიგიურ ტერმინებს არაბული წარმომავლობა აქვთ. ეზიდები ამ ყავლების შექმნას შეიხ ფახრადინს და მის მოწაფეებს უმადლიან. მათი შინაარსი ყოვლისმომცველია: ეს არის კოსმოგონიური, ჰაგიოგრაფიული, ეგზეგეტიკური, ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ულამაზესი პოეტური ტექსტები. ყავლები მორწმუნე ეზიდისთვის ყველაზე ავტორიტეტული ტექსტებია («ყავლი» ღვთის სიტყვას ნიშნავს, მასში თვით ღმერთის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო პრინციპები იგულისხმება). ჩვენამდე შემორჩენილი ორასამდე ყავლიდან აქ წარმოდგენილი ორი ყავლის ქართული თარგმანი შესრულებულია საქართველოში ეზიდების სულიერი ლიდერის, განსწავლული აღმოსავლეთმცოდნისა და იშვიათი კულტურული

დიაპაზონის მქონე ადამიანის, ბატონი დიმიტრი ფირბარის მიერ საგულდაგულოდ მომზადებული პწკარედიდან. მის მიერ შეირჩა სათარგმნელად ეს ყავლებიც და ორიგინალს შედარდა ჩვენს მიერ უკვე შესრულებული თარგმანი. ტექსტებსაც მის მიერვე შედგენილი ლექსიკონის თარგმანი ერთვის. თუ მაინცდამაინც თითოეული სიტყვის ეტიმოლოგიურ სიმდიდრეში არ დავიწყებთ კირკიტს და ალტერნატიულ ინტერპრეტაციათა უსასრულო შესაძლებლობაზე არ დავსვამთ აქცენტს, წინამდებარე თარგმანი პრეტენზიას აცხადებს ორიგინალთან მაქსიმალურ შინაარსობრივ სიახლოვეზე, რასაც შეეწირა კიდეც ტექსტთა მეტრული და რითმული სტრუქტურა. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს არის მისტიკური და არა საერო პოეზია, და ის დატვირთულია ჩვენი აღქმისთვის ძნელად საწვდომი სიმბოლიკით და ხატოვანი აზროვნებით. თავს ვალდებულად მივიჩნევ, მადლიერებით აღვნიშნო, რომ წინამდებარე თარგმანი ნასაზრდოებია იმ კულტურული ტრადიცით, რომელიც თამაზ ჩხენკელის, ზურაბ კიკნაძის, ბესიკ ადეიშვილისა და ლერი ალიმონაკის მთარგმნელობითმა ესთეტიკამ შექმნა.

დათო ბარბაქაძე

ყავლი გულგატეხილი ბეჩავისა – ღმერთის ნებართვით

1.
გულგატეხილი ბეჩავი ჩემი!
აზიზი მალაკ ფახრადინი თუკი
ინებებს,
ღრმა ზღვათა მიმართ
აღვავლენთ ქებას.

2.
ძალასუსტი ბეჩავი ჩემი!
აზიზი მალაკ ფაჰრადინი თუ
დაგვრთავს ნებას,
ქება-დიდებას აღვუვლენთ
ღრმა ზღვებს.

3.
ჩემთან თავი მოიყარეს წმინდა
მამებმა,
რათა გვეუბნა იმ ზღვის შესახებ:
ფასდაუდებელ მარგალიტებს ინახავს იგი.

4.
ჩემთან თავი მოიყარეს წმინდა მამებმა,
იმ ზღვის შესახებ სალაპარაკოდ:
ზღვა, მარგალიტი, ხოლო მათში მბრძანებელი
დავანებულა.

5.
ქება-დიდება აღვუვლინოთ მრავალჯერადი
იმ ტახტს, რომელზეც მბრძანებელი დაბრძანებულა;
ო, ღმერთო, ყოვლის მცნობი ხარ და ყოვლის მჭვრეტელი.

6.
მარგალიტიდან აღმოვლინდა ჩემი ხელმწიფე,
სილამაზე მისგანვე იშვა,
მასთან ჰგიებდა სიყვარულის რტო.

7.
სიყვარულის რტო მასთან ჰგიებდა,
ძალმოსილების ფრთა უპყრია ხელთ სულთან ეზიდს;
გმადლობ, ო, ღმერთო, შენ რომ ჩემგან სუნათი შექმენ.

8.
მბრძანებელი იხილეს და შეიცნეს მეტრფეთ,
სიყვარული და თასი მისგან გაითავისეს;
მან ყველა ლიბოს სიყვარული დაუდო ლიბოდ.

9.
დაუსაძირკვლა ლიბოთა ლიბოდ;
ხოლო მარგალიტს სიდიადემ მოჰგვარა კრთომა,
თავშეკავების ძალა არ ეყო.

10.
არ ეყო ძალა, სიდიადეს წინ აღდგომოდა,
და მარგალიტი დაიფერა ფერად ფერებად,
იქცა წითლად და თეთრად და ყვითლად.

11.
მარგალიტი აკაშკაშდა ფერად ფერებად;
ოდეს არ იყო არც მიწა, არც ცა, არც ცის კამარა,
ვის შეჰხაროდა, მითხარ, მაშინ ჩემი ხელმწიფე?

12.
ხოლო ისინი ტკბილმოუბარ ჩემს ფადიშაჰს
სიყვარულში შემოსხდომოდნენ;
ამ სიმაღლიდან შექმნა ჩემმა ფადიშაჰმა ჰადი და სადი.[3]

13.
ჩემმა ხელმწიფემ მისგან შექმნა ჰადი და სადი,

შარიათი და ჰაყიყათი[4] გამომიჯნა ერთმანეთისგან;
სუნათი იყო დაფარული, მან კი იგი გამოავლინა.

14.
სუნათი იყო დაფარული, მან კი ხილულჰყო,
ჩემმა ხელმწიფემ განუცხადა ჭეშმარიტება.
ასე წარმოვთქვი: «დიადო ჩემო, სად ჰგიებდა სუნათი და
რომელ ალაგს ეფუძნებოდა?

15.
უმაღლესი მეუფებით აღჭურვილი, ვინ იყო იგი,
ვინც მითითება გასცა ზეციდან?
ღვთიური ძალით ვინც სუნათი ჰაერს შეჰკიდა?»

16.
სუნათი ჰაერს შეჰკიდებოდა,
და სთხოვა მაშინ სანებართვოდ თავის ხელმწიფეს,
თქვა: «ო, დიადო, სიყვარული მომწყურებია».

17.
უმაღლესი მეუფებით აღჭურვილი, ვინ იყო იგი,
სუნათებს შორის ვინც ჩაბეჭდა დიადი ლიბო,
სიყვარული და ნათლის ქვირითი ვინც უბოძა, როგორც
ნიშანი?

18.
ნათლის ქვირითი მოიღო მამამ,
მასში კი ორმა მარგალიტმა ჰპოვა ადგილი:
ერთი მათგანი თვალი იყო, ერთი კი – მზერა.

19.
ერთი – თვალი, ხოლო ერთიც – გამჭოლი მზერა;
მარგალიტს ჩემმა ფადიშაჰმა შეავლო მზერა;
მაღლით რაა და წინ რა ჰგიებს, უწყის ხელმწიფემ.

20.
ციდან ლამპარი ჩამოეშვა, სიყვარული მასში ჩავარდა;
თვალნი განახვნა ჩემმა ხელმწიფემ;
თქვით, რა აუწყა მან მარგალიტს ისეთი, რომ მისგან წყალი გადმოიღვარა?

21.
წყალმა იხუვლა მარგალიტიდან
და ზღვადქცეული მიმოიღვარა;
ჩემმა ხელმწიფემ ნავი შეკრა და ამ ნავით მიმოდიოდა.

22.
ნავში დაუნჯდა ჩემი ხელმწიფე,
ოთხი მეტრფითურთ
მოვლო ქვეყნის ოთხივე მხარე,
ლალიშში დადგა და წარმოთქვა: «მივაგენი ჭეშმარიტ ალაგს!»

23.
თქვა: ჭეშმარიტი ალაგიაო, და იქვე შედგა,
ჩემმა ხელმწიფემ ზღვაში დვრიტა გადააგდო და ზღვა შემკვრივდა;
კვამლი ბოლქვებად ამაღლდა და შვიდივე ცა მისგან შეიქმნა.

24.
ჩემმა ხელმწიფემ ზეცა შექმნა,
სიყვარული ჭეშმარიტი მისი ხელია;
ჩემმა ხელმწიფემ დაადგინა ადგილი და მისი ტახტიც მისი ნებით გადაადგილდა.

25.
ზეცად აღვიდა ჩემი ხელმწიფე;
ეს მაშინ მოხდა, კლდე როცა დაფშვნა
და მინბარების[5] დასაყრდენად გადააქცია.

26.
ხოლო მეტრფენი ამეტყველდნენ ამ ყოვლის გამო;
მაშინ დაუშვა მან მეორე რტო
და დედამიწის დასაყრდენად გადააქცია.

27.
და იყო მიწა ცარიელი,
არ გააჩნდა მძლავრი საყრდენი.
მაშინ გაისმა: «ჰოი, დიადო, ღვთაებრივი ძალის თვინიერ
დედამიწა ვერ დაფუძნდება!»

28.
ორმოცი წელი გაილია,
ხოლო მიწა უნაყოფო რჩებოდა კვლავაც,
ვიდრე ლალიში არ დაეშვა მის გულში ციდან.

29.
ჰა, ჩამოეშვა ციდან ლალიში;
მიწიდან უმალ სიყვარულის რტო აღმოცენდა,
და განიხარა დედამიწამ და მოირთო ფერად ფერებად.

30.
ოდეს ლალიში გამოვლინდა,
მყის მიწიდან აღმოცენდნენ მცენარეები,
მათით მოირთო მთელი ქვეყანა.

31.
და რაჟამს მორთო ქვეყნიერება,
ოთხი ნაწილი შეურია უმალ ერთმანეთს:
მიწა, წყალი და ქარი და ცეცხლი;
წინასწარმეტყველ ადამის ტანი ამისგან შექმნა.

32.
შაბათს ჩაყარა საძირკველი,
პარასკევს კი სრულყო ქმნადობა;

როს მიიწურა შვიდასი წელი, შვიდმა სურმა თასებითურთ
მოიყარა თავი ადამთან.

33.
გარს შემოადგა შვიდი სური,
უმოძრაოდ ჰგიებდა ტანი;
მაშინ სულს ჰკითხეს: «რად არ შედიხარ?»

34.
«აკი, იციან მეტრფეებმა, – მიუგო სულმა, –
ვიდრე ზეციდან ჩემთვის საზი და ყუდუმი[6] არ ჩამოეშვება,
არ წაიშლება წინასწარმეტყველ ადამსა და ჩემს შორის
ზღვარი».

35.
საზიც, ყუდუმიც ჩამოეშვნენ და მზად არიან;
ტრფობის ნათელმა განმსჭვალა თავი,
წინასწარმეტყველ ადამის ტანში სული შესახლდა.

36.
შესვა ადამმა თასიდან და უმალ გაცოცხლდა,
შეზარხოშდა და თავბრუ დაეხვა;
და შეიმოსა ხორცით და მასში სისხლმა იჩქეფა.

37.
შესვა თუ არა ამ თასიდან, მაშინ ადამში
თასის მეუფის სასწაულმა თავი იჩინა:
წინასწარმეტყველ ადამს უმალ დააცემინა, და
გამოფხიზლდა.

38.
შესვა ადამმა თასიდან და თავს გრძნობს კეთილად,
თასის მეუფის სასწაული დაეუფლა წინასწარმეტყველს;
წმინდანები და ანგელოზები სამოთხისკენ წარუძღვნენ
ადამს.

39.
მარადიული მეუფეა ჩემი ხელმწიფე!
ყოველი მოდგმა ადამიდან მომდინარეობს,
სამოცდათორმეტ მოდგმას ითვლის მისი ნაგრამი.

40.
წინასწარმეტყველ ნუჰის[7] ჟამი როცა დადგება,
გაჩნდება ხალხი, რომლის გულშიც უდიდესი უღმერთობა
დაისადგურებს,
და ამ ხალხსაც ღმერთი ეწვევა.

41.
ხოლო ეს ჟამი რომ გარდავა, გაჩნდება ხალხი,
რომელსაც გულში არ შერჩება ნატამალი იმანის შიშის,
და ამ ხალხსაც წარღვნის წყლები დაისაკუთრებს.

42.
ამ დროთა მერეც
უსამართლო ხალხი გაჩნდება;
და მაშინ ლამპარს მოსწყდება წვეთი
და ამ წვეთში განცხადდება ბრაიმ ხალილი[8].

43.
წრფელი წვეთიდან წარმოჩინდა ბრაიმ ხალილი;
მან სამი ცნება გამოარჩია,
ვიდრე ჯერ კიდევ არ შეეცნო ჭეშმარიტი თავისი ღმერთი.

44.
ვიდრე ჭეშმარიტ ღმერთს შეიცნობდა,
ნამრუდთან და აზრთან[9] ერთად ეძებდა კერპებს;
ჰა, უღმერთობას განარიდა თავისი სული.

45.
განერა ბრაიმ ხალილის სული ავთაგან და უკეთურთაგან;
უღმერთოებმა ცეცხლს მისცეს საზრდო;
ხოლო ახი ჯიბრაილი[10] მის სულს მხსნელად გამოეცხადა.

46.
ღვთის ამ მეტრფეთა შემდგომ მოვიდნენ
ისა[11] და მუსა[12], მუჰამმადი[13] ახლად სრულქმნილი,
ვისმა ტრფობამაც არაერთი გული დაიპყრო;
წარმოგზავნილ მბრძანებელთა ბეჭედი კი თავად
ღმერთია.

47.
ო, მბრძანებელო წარმოგზავნილთა!
რამდენმა ჟამმა მოაწია და გარდავიდა,
წმინდანნი იყვნენ რაოდენნი, მე ვინც ვახსენე,
ხოლო სულთანი შიხადია ყოვლის გვირგვინი
დასაბამიდან დასასრულამდე.

ჩვენ როდი ვართ სრულყოფილნი,
სრულყოფილი არის შიხადი!

ეზიდების რიტუალური ცეკვა, 1853 წელი

ყავლი შიხადიზე და წმინდა მამებზე – ღმერთის ნებართვით



1.
შიხადი, ყოვლთა სასწაულთა
მბრძანებელი,
განუცხადდა არაბთ და
აჯამთ[14];
ვისაც შიხადი მოწყალებით
თვალს შეავლებს,
იმის გულში განქარდება
დარდი და ურვა.

2.
ბაით ალ-ფარში[15] განცხადდა და
ჰაკარიში[16] შემობრძანდა,
ლალიშში კი მიეახლნენ წმინდა მამები.

3.
ოდეს ლალიშში შემობრძანდა,
მისი ხმა კი იქ მამათა სასმენელს მისწვდა,
განიხარეს და სათნოებით აღევსოთ გული.

4.
შამის[17] მხრიდან მოევლინა იმათ შიხადი,
და ამოქმედდა მაშრიყის ხალხი;
ძღვენი უბოძა მან მაჰმარაშანს[18].

5.
მან მაჰმარაშანს უბოძა ძღვენი,
მეექვსე ძღვენით დაასაჩუქრა,
და დაადგინა მერე წმინდა მამათა მთავრად.

6.
მისწვდა სეიდებს[19] ეს უწყება,
მოსულაო რომელიღაც მძლავრი შეიხი,
ლალიშში მრიდებს[20] მასთან თავი მოუყრიათო.

7.
ეს უწყება დატრიალდა აჯამთა შორის:
სასწაულმოქმედ შეიხს იტყვიან,
მრიდებს ლალიშში თავი მასთან მოუყრიათო.

8.
ეს უწყება დუღს აჯამთა ქვეყნად:
თავად შეიხი მოვლენილა,
ლალიშში მრიდებს მასთან თავი მოუყრიათო.

9.
ჰა, კეთილმოქმედ შეიხთა გუნდი,
მათრახად გველი რომ უპყრია და ცხენად – ლომი,
გამოიძიებს გამოწვლილვით შიხადის სახელს.

10.
სასწაულმოქმედ შეიხთა გუნდი,
ლომი ცხენად რომ უპყრია და მათრახად – გველი,
ჩხრეკს და ეძიებს შიხადის სახელს.

11.
მერე კი იძრნენ უხუცესი შეიხები,
შიხადისთან სასაუბროდ აღზევებულან;
წარმოთქვამენ: «დედამიწის ღერძი, შიხადი!»

12.
შიხადიმ კი ასე ინება:
მაჰმარაშანი ლოდზე შესვა
და წარგზავნა უხუცესთა შესაგებებლად.

13.
«ო, მაჰმარაშან, შეჯექი ლოდზე,

შეეგებე და მოუნახე მამებს ადგილი,
სადაც დასხამ და გაესიტყვები.

14.
უწყინრად მიდი, მუქარის და რისხვის თვინიერ,
და გამოკითხე ეს მამები,
სასწაულთა ჩასადენად რა ძალას ფლობენ,
მერე კი ჩემკენ სავალი გზა გაუიოლე».

15.
უკვე გზას ადგნენ შეიხები
მუქარით და რისხვით სავსე შეძახილებით;
მაჰმარაშანმა სიტყვა ჰკადრა: «ო, მამებო, რისთვის
მრისხანებთ?

16.
თქვენ, ოდითგანვე სიბრძნის გზებად ვინც დაუსახავთ,
წესთა გამრიგე ნაყიბნო[21] და თავნო ხალხისა,
შიხადის თქვენი სტუმრობა სურს, ერთად ეწვიეთ».

17.
წარსთქვა სეიდმა აბუ ალ-ვაფამ[22]:
«ო, კაცნო, დათმეთ სიამაყე და თავმდაბლად
დაემორჩილეთ,
მეფედ ის ითქმის, ქვისთვის სული ვისაც ჩაუდგამს».

18.
ნაყიბთ სეიდი აბუ ალ-ვაფა ასე მიმართავს:
«მრავალს და მრავალს შევხვედრივარ ამ ქვეყნად შეიხს;
მეფედ ის ითქმის, ქვისთვის სული ვისაც ჩაუდგამს».

19.
სეიდებმა
ყუჩი ხმით თქვეს:
«ფადიშაჰი დიადია, ამ ქვაში კი სული არ არის».

20.
ხოლო შეიხი სეიდი იტყვის,
მზერას მიაპყრობს მაჰმარაშანს
და ასე იტყვის: «შენ შეიხი ხარ თუ ოდენ მრიდი?»

21.
«ოდენ ამ ლოდის მხედარი ვარ,
მაჰმარაშანი,
შიხადის მრიდი.

ლალიში, 1853 წელი

22.
თქვენს წინაშე მტკიცედ ჰგიებს მაჰმარაშანი, კეთილი
იყოს თქვენი ფეხი, ო, შეიხებო,
არ ვიწოდები მე შეიხად, შეიხი კი ქვაბურშია დავანებული».

23.
მაჰმარაშანის ამ სიტყვებმა საფიქრალი აღუძრა შეიხთ,
განბჭეს და კვლავაც ერთად აღიძრნენ
და ქვაბურის შესასვლელთან ჩამოქვეითდნენ.

24.
აი, ქვაბურის შესასვლელთან ჩამოქვეითდნენ,

თავი და სახე დახარეს და შიგნით შევიდნენ;
თქვეს: «მბრძანებელო ჰაკირისა, დიდებით და მორჭმით
სუფევდე!»

25.
ეს სრულყოფილი შეიხები
მიესალმნენ შიხადის და
შიხადიმაც წმინდა მამებს საპასუხო სალამი უძღვნა.

26.
შიხადი თავად სულთანია,
მართალი და განათლებული,
მან ადგილი განუწესა უხუცეს მამებს.

27.
ხიდრთან[23] ერთად
ხმას იმაღლებს სეიდ აჰმადი:[24]
«ო, შიხადი, აქ რარიგი სივიწროვეა!»

28.
მაჰმარაშანი ეუბნება: «წმინდა კაცთა წინამძღოლო, ო,
სეიდ აჰმად,
თუ მიეყრდნობი ქვაბურის კედელს
და იტყვი – იყოს შიხადის ნება! –,
ვიწრო ალაგი უკვე ვიწრო აღარ იქნება».

29.
სეიდ აჰმადი ხმას იმაღლებს გაკვირვებული:
«რათა განბანვა და ნამაზი აღვასრულოთ,
ჩვენ წყალი გვნებავს».

30.
შიხადი კი დაბალი ხმით გაესიტყვება:
«ო, სეიდ აჰმად, განჭვრეტაა ჩვენი ნამაზი,
ხოლო ეს საქმე წყლის ერთ წვეთსაც არ საჭიროებს.

31.
დაე, მამებმა წყალი მიიღონ,
დაე, რაც წესად დადებულა, აღასრულონ,
და სინათლედ მოეფინოს მათ გულებს ლოცვა».

32.
შიხადიმ, გაცისკროვნებულმა,
კლდეს კვერთხი დაჰკრა,
და წყალს უბრძანა: «ჰოი, ზემზემ[25], გადმოიღვარე!»

33.
ამას დასტურჰყოფს პსე ჯამის ყავლიც:
«შიხადის სიტყვის კეთილ ნებას მორჩილად დაჰყვა
და ზემზემის რუმ წყალი მოიღო».

34.
წმინდა მამები ურჩობენ და განაგრძობენ ჭირვეულობას;
სეიდ აჰმად ალ-ქაბირის კვერთხიცა და კრიალოსანიც,
წყაროსთავთან რომ დარჩენოდა,
წყლის ნაკადმა უკანვე მისცა.

35.
და, აი, წარსთქვა მაჰმარაშანმა:
«წმინდა მამანო, გეუბნებით,
შიხადიმ ხომ წყალი თქვენთვის გამოადინა».

36.
სეიდებმა
ხმადაბლა და ერთხმად მიუგეს:
«ვფიცავთ ხელმწიფის მეუფებას, ჩვენ წყლის ძალას ვერ
გავუძელით».

37.
მაშინ კვლავ იხმო
კურთხეულმა შიხადიმ წყალი;
წყალი მეყვსეულ დაიქსაქსა და დინება გარე განვიდა.

38.
კმაყოფილია ყველა შეიხი;
ერთურთს უმზერენ ნებიერად,
თავიანთი ლომებისთვის საკვებს ითხოვენ.

39.
ხიდრ ნაყიბია, სიტყვას რომ ამბობს:
«ო, საყვარელო ფადიშაჰო,
ო, შიხადი, ღვთისგან ნაბოძებს მოითხოვენ შენგან
ლომები».

40.
ხიდრი მეტყველებს,
ის შიხადის წინაშე წარსდგა
და ეუბნება, ხარიაო საკვები ლომთა.

41.
და ამეტყველდნენ ისინი ერთხმად,
განიზრახეს და კვლავ მიმართეს შიხადის თხოვნით,
ეუბნებიან, ფურიაო საკვები ლომთა.

42.
ასე ინება მაშინ შიხადიმ:
ლომებს უბოძა ერთი ფური,
ხოლო გველებს გაუგზავნა ერთი ვარია.
ფურმა ლომები გადასანსლა, ვარიამ კი გველები შთანთქა.

43.
ბჭობა გამართეს ნაყიბებმა, აფორიაქდნენ,
მოთქვამენ და ასე იტყვიან:
«ო, შიხადი, დავრჩენილვართ ულომებოდ, უმათრახებოდ».

44.
ისევ განბჭობდნენ ნაყიბები,
დიდი იყო მათი ვარამი;

თქვეს: «ო, შიხადი, უცხენებოდ დავრჩენილვართ, ქვეითად დავრჩით».

45.
მაჰმარაშანი ეუბნება: «არ ნებდები, ო, სეიდ აჰმად,
მარადიულის ნებას მაინც არ აღიარებ,
შიხადის ხელებს არ მიანდობ შენს სიჯიუტეს.

46.
შენ თუ ასეთი ურწმუნო ხარ, ო, სეიდ აჰმად,
მშატის[26] მთის ქიმზე ამომყევი;
ღვთის წყალობით უბერავს ქარი.


ლალიშის კედელი, 1844 წელი

47.
ღვთის წყალობით ქრის მეთქი ქარი;
ფეხი გავმართოთ მთაზე და ვნახოთ,
რომელი ფლობს თავის წვერ-ულვაშს,
ვინ არის ღირსი – ერქვას შეიხი».

48.
აღმატებულმა შიხადიმაც დაუმოწმა

წმინდა მამებს მართალი სიტყვა:
«მშატის მთისკენ გავემართოთ, ქარი სადაც ქრის».

49.
წმინდა მამები აიშალნენ,
მთაზე ავიდნენ,
პირი ქარისკენ მიუქცევიათ.

50.
მიზეზად ექცა ეს ქიშპობა
განხეთქილებას;
მოწყალე იყო ძალა ღვთისა და ქარი ქროდა.

51.
წმინდა მამები დამდგარან და ქარის ქროლვას
ჩაღრმავებიან;
მაგრამ სულთანი შიხადია (მშვიდობა ჰქონდეს), ვისი ნებაც
ქარმა ისმინა,
წმინდა მამების წვერ-ულვაში ერთიანად მოსხიპა ქარმა.

52.
დარდმა შეიპყრო სეიდ აჰმადი,
თავდახრილი მიეახლა შიხადის და ასე მიმართა:
«არ შეგვრჩენია წვერ-ულვაში, ო, შიხადი, ჩვენი ღვაწლიც
განქარებულა».

53.
ხოლო შიხადი სეიდ აჰმადს გულისწყრომით მიუახლოვდა:
«არ დაგითმია,
ამიტომაც არ შეგრჩება თმა და წარბები».

54.
სიტყვას ამბობს სეიდ აჰმადი:
«ო, ჩემო მეფევ მარადიულო,
თანახმა ვარ, დაე, შენი ნება აღსრულდეს».

55.
სიტყვას ამბობს სეიდ აჰმადი:
«ო, შიხადი, შენი ბურჯი ღირსეულად დაფუძნებულა,
და შენი ძალაც ღმერთის ძალაა,
შენ ნიშანი გაქვს – გთხოვ, მიჩვენო შენი ნიშანი».

56.
თვით შიხადია ფადიშაჰი;
გასაოცარი ძლიერების თაურწყარო მეყვსეულად
გამოუჩინა –
და რა იხილა ეს ნიშანი სეიდ აჰმადმა,
თავი მორჩილად დახარა და მის ფეხებთან მიწას ემთხვია.

57.
ჭეშმარიტ ძალას
დამორჩილდა სეიდ აჰმადი
და თქვა: «დიადო, შენი ძალა მოწიწების აღმძვრელია, რაც
ასე გვიმძიმს».

58.
გამარჯვებამ ღირსეულის მკლავი მონახა;
დე, კურთხეული იყოს შიხადი, რომელმაც მამებს განუწესა
გზა და კანონი,
მამებმა კი მას სიმართლით უნდა მისდიონ.

59.
ხოლო ვინც ამ გზას გაიმრუდებს,
მის სავალზე დღის ნათელი ჩაქრება და უკუნეთი
დასადგურდება,
ზუბენები[27] მას წყვდიადში გამოამწყვდევენ.

60.
ყოვლადმოწყალის რჩეულები, წმინდა მამები,
შიხადისთან მივიდნენ და ნებას ითხოვენ:
«ო, შიხადი, გრძელი გზა გვიდევს».

61.
გაბედა სეიდ აბუ ალ-ვაფამ
და პატიების სათხოვნელად
ის შიხადის წინაშე წარსდგა.

62.
«ო, მამებო, ფეხბედნიერი
გამოდგა ჯაბალ ყათიდან ჩვენთან თქვენი სტუმრობა,
მამათა შორის თქვენ ხართ რჩეულნი.

63.
შენ, დიდო სეიდ აჰმად ალ-ქაბირ,
მბრძანებლისგან დაფასებულო,
შენ იქნები გრძელ სავალზე მათი მეგზური».

64.
«ო, დიდებულო, ჩვენ ამ მიწაზე წრფელი და სუფთა გულით
მოვედით,
გამოვიცადეთ არაერთხელ, არაერთი განსაცდელი
გამოვიარეთ;
ახლა კი, ასე უცხენებოდ დარჩენილნი, როგორ მივიქცეთ?»

65.
«ო, სეიდ აჰმად, ამ მიწაზე ამაყმა და ქედმაღალმა
შემოაბიჯე,
აკი, გშვენოდა წვერ-ულვაშიც, ამხედრებულს დარახტულ
ცხენზე;
თუ შენ სახესთან ხელს მიიტან და ასე იტყვი –
ნებისად სულთან შიხადისა! – შენ და არაერთ წმინდა
მამას მოგეცემათ თქვენი ცხენები».

66.
შეიხ შაბანის ყავლი გვაუწყებს:
«შეიხმა ადიმ წმინდა მამებს კეთილად უძღვნა კანონი,

საქმე მოწესეთა და ჩელეხანა;
მერე შიხადიმ მიწიდან ცაში აიტანა თავისი ტახტი».

67.
შეიხ ჯუნეიდ ბაღდადელის ყავლი გვაუწყებს:
«სიკეთე, მამებს რომ ეჩვენათ, ღმერთისგან იყო,
იგი შიხადის ძალითა და სასწაულით იყო შექმნილი».

68.
ასე გვაუწყებს შეიხ მუსა ანზალის ყავლი:
«სიკეთე, მამებს რომ ეჩვენათ, ღმერთისგან იყო,
იგი შიხადის ძალითა და სასწაულით იყო შექმნილი».

69.
ქვეყნის ოთხივე კიდეს ეუწყა:
«უნებებია მოვლინება სულთან შიხადის.
იგი ვინც იყო, უმალ ჩასწვდნენ წმინდა მამები».

70.
ხოლო შეიხ აბდალ ყადირ გელანელის ყავლი გვაუწყებს:
«შიხადი ზღვაა, საიდანაც წყარონი და ნაკადულნი ედინებიან,
ხოლო რჩეულნი შიხადისა წავიდნენ და გულმოწყალის ნათელს წარუდგნენ,
ბრმანი არიან შეუგნებნი, არ უწყიან შიხადის გზის ჭეშმარიტება;
ეს ყავლი ჩვენი მფარველი ღმერთის სახელით და შემწეობით ასე სრულდება».

ჩვენ როდი ვართ სრულყოფილნი,
სრულყოფილი არის შიხადი.

ჟაკ ვაშე

ომის წერილები (ოთხი წერილი ანდრე ბრეტონს)

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ჩაბრაძემ

ფრანგული დადაიზმისა და სიურრეალიზმის ერთ-ერთი ინსპირატორის, ჟაკ ვაშეს მიერ პირველი მსოფლიო ომიდან (სადაც ვაშე ინგლისურის თარჯიმნად იყო გაწვეული) მეგობარი მწერლებისადმი გაგზავნილი პირადი წერილები დღემდე ფრანგი ლიტერატორების დიდი ყურადღების საგანს წარმოადგენს.

კრებული «ომის წერილები», 23 წლის ჟაკ ვაშეს ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, ანდრე ბრეტონმა გამოსცა. იგი მოიცავს ვაშეს მიერ ანდრე ბრეტონის, თეოდორ ფრანკელისა და ლუი არაგონისადმი გაგზავნილ წერილებს.

აქ მოყვანილ ოთხ წერილში, ვაშეს წერის სტილი განსაკუთრებით უცნაურია (ეპისტოლარული ჟანრისთვისაც კი), რაც გასაგებია ავტორის განწყობიდან და მსოფლხედვიდან გამომდინარე. გამოყოფილი სიტყვები, არასტანდარტული პუნქტუაცია, დატეხილი სინტაქსი და გადაკეთებული ლექსიკაც ავტორის ხელწერაა.

მთარგმნელი

11 ოქტომბერი 1916

ძვირფასო მეგობარო,

გწერთ საწოლიდან, რომელზეც ამ შუადღით, გამაღიზიანებელმა ტემპერატურამ და ფანტაზიამ წამომაწვინა.

გუშინ მივიღე თქვენი წერილი – ცხადია, არაფერი დამვიწყებია ჩვენი მეგობრობიდან, რომელიც, ვიმედოვნებ, ისევე იარსებებს, როგორც იშვიათია სკალიარი და ქრომისი! – მიუხედავად იმისა, რომ **უ**მორი[28] მხოლოდ მიახლოებით გესმით.

მოკლედ, ინგლისელების თარჯიმანი ვარ – და ამ საქმის მიმართ მაქვს რა მშვიდი სიყალბით მოოჭვილი ტოტალური გულგრილობის განწყობა, რაც ესოდენ მახასიათებს ოფიციალურობათა მიმართ, ნანგრევებიდან სოფლებამდე დავატარებ ჩემს ბროლის მონოკლს და შემაშფოთებელ ფერწერათა ერთ თეორიას – მე ზედიზედ ვიყავი გვირგვინოსანი ლიტერატორი, ცნობილი პორნოდესინატორი და სკანდალური კუბისტი მხატვარი – ახლა შინ ვრჩები და სხვებს ვუტოვებ ჩემი პიროვნების განმარტების და განსჯის საზრუნავს, უკვე აღნიშნულის საფუძველზე – შედეგს მნიშვნელობა არა აქვს.

ამ თვის ბოლოს შვებულებაში გავდივარ და ცოტა ხანს პარიზში გავატარებ – იქ ერთი ჩემი ძალიან საუკეთესო მეგობარი უნდა მოვინახულო, საერთოდ რომ გამიქრა თვალსაწიერიდან.

სად არის თ.ფ.? – მე მივწერე პოლონელ ხალხს, მგონი ერთჯერ, სახალისო წერილების პასუხად – შეიძლება, თქვენც გთხოვოთ მიმოწერა? – ვვარაუდობ – ვინაიდან კალამი ავიღე – მომავალში უფრო მარჯვედ მოვუსვამ მას; სხვათა შორის, მე თქვენ ერთხელ უკვე მოგწერეთ, თუ სწორად მახსოვს.

სხვა – ჯერ ეს რა ცოტაა და – არაფერიც. ბრიტანული არმია, რაც უნდა ფრანგულს სჯობდეს – **უ**მორში მოიკოჭლებს – არაერთხელ გავაფრთხილე ჩემი მეთაური, რომ ყურებში ჩავუჩურთავდი ხის პატარა ნაფოტს – ეჭვი მაქვს,

ბოლომდე ვერ გამიგო = არ ესმის რა ფრანგული.

ჩემი ამჟამინდელი ოცნებაა, მეცვას წითელი პერანგი წითელი ყელსახვევით და გრძელი ჩექმები – და ვიყო, ავსტრალიაში, რომელიმე უმიზნო და საიდუმლო ჩინური საზოგადოების წევრი.

თქვენს ნათელმჭვრეტებს აქვთ წერის უფლება? – სიამოვნებით მივწერდი რომელიმე დევნილს ან «კათოლიკეს».

ამასობაში, ნეტარ ავგუსტინეს ვკითხულობ ხელახლა (პოლონელი ხალხის[29] ღიმილი რომ წარმოვიდგინო), და ვცდილობ, მასში დავინახო სხვა რამ, ვიდრე ერთი **უ**მორს მოკლებული ბერი.

ჟ. ტ. ი.[30]

29 აპრილი 1917

ძვირფასო მეგობარო,

გწერთ ერთი ყოფილი სოფლის ერთი ძალიან ვიწრო, საბნებით გამოვსებული გომურიდან – ინგლისელ ჯარისკაცებთან ვარ – მათ აქ მტრის ბევრი ტერიტორია დაიკავეს – ყოველივე ეს ძალიან ხმაურიანია – ესეც ასე.

მახარებს თქვენი ავადმყოფობა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ცოტათი – თ. ფ.[31]-ს წერილი მივიღე, თითქმის არა-შემაშფოთებელი – ეს ბიჭი სევდას მგვრის – ძალიან

დამღალა სიმდარემ, და გაურკვეველი დროით დაძინება გადავწყვიტე – ამ რამდენიმე გვერდის ღვიძილის ძალისხმევაც კი რთულია ჩემთვის; შემდეგ ჯერზე იქნებ უკეთ ვიყო – ბოდიში – ასე არ არის? – ისე არაფერი კლავს ადამიანს, როგორც ვალდებულება, წარმოადგენდეს რომელიმე ქვეყანას – ასევე.

დარწმუნებული ხართ, რომ აპოლინერი ისევ ცოცხალია, და რომ რემბო ნამდვილად არსებობდა? არ მგონია – მე მხოლოდ ჟარის[32] ვხედავ (დიახ, რას ვიზამთ, დიახ... იუბიუ.)[33] – ცხადად მეჩვენება, რომ მარი ლორანსენი[34] კვლავ ცოცხალია: შემომრჩა რამდენიმე სიმპტომი, რომლებიც ამის უფლებას მაძლევს – ნუთუ ეს სინამდვილეა? – არადა, მგონია, რომ მძულს – ჰო – აი, ამ საღამოს მე ის მძულს, რა ვქნა.



ომის წერილების 1919 წლის გამოცემა, ანდრე ბრეტონის წინათქმით

და თქვენ – ასე უბრალოდ – მთხოვთ უმორის განმარტებას! – დიდხანს მეგონა, რომ «**სიმბოლურობა თავად სიმბოლოთა არსშია**»-ს ძალუძდა ცოცხალ საგანთა მთელი გროვის დატევა: **მაგალითი:** ხომ იცით, ყოველდღიური, მაღვიძარასეული საზარელი ცხოვრება – ეს ის ურჩხულია, მუდამ რომ მაფრთხობდა იმ უამრავი რამის გამო, მისი თვალები რომ აფრქვევს, და იმ მანერის გამო, რომლითაც ეს პატიოსანი ქმნილება შემომყურებს, როცა ოთახში შევდივარ – საიდან მასში ამდენი უმორი, ნეტა, საიდან?

მაგრამ რა გაეწყობა: ეს ასეა და არა სხვაგვარად – უმორშიც ბევრი საუცხოო **ყველგანმყოფია** – როგორც ნახავთ – მაგრამ ეს არ არის ბუნებრივი განმსაზღვრელი, და უმორი ზედმეტად მომდინარეობს განცდიდან იმისთვის, რომ რთული ასახსნელი არ იყოს – ვფიქრობ, ეს არის განცდა – კინაღამ **გრძნობა** ვუწოდე – ასევე – ყოველივეს თეატრალური (და უსიხარულო) უსარგებლობა.

როცა ვუწყით.

აი, რატომ არის შესაზიზღი სხვათა ენთუზიაზმი (თანაც ხმაურიანი) – რადგან – ჩვენ ხომ გენიას ვფლობთ – ვინაიდან ვიცით უმორი – და ჩვენთვის – რაშიც თქვენ ეჭვი არასდროს შეგპარვიათ – ყველაფერი დაშვებულია. სხვათა შორის, ეს ყოველივე ძლიერ მოსაწყენია.

აქ ერთ კაცს შევუერთდი – მას შეიძლება, ვუწოდოთ **აკვიატება** – ან – **სომისა და დანარჩენის ბრძოლა** [35]– დიახ.

დიდხანს მომყვებოდა, და უამრავჯერ შემათვალიერა უამრავი კუთხით – მე მგონი, ჩემს მისიტიფიცირებას ცდილობს – მის მიმართ დიდი სიყვარული მაქვს, ყველაფერთან ერთად.

გადაეცით პოლონელ ხალხს, რომ მინდა, მივწერო – და რაც მთავარია, არ წავიდეს მისამართის დაუტოვებლად.

ჟ. ტ. ი.

18 აგვისტო 1917

ძვირფასო მეგობარო,

ხშირად ვიფიქრე, თქვენთვის მომეწერა თქვენი 23 ივლისის წერილის შემდეგ – მაგრამ ვერ მივდიოდი გამოხატვის საბოლოო ფორმამდე – და არც ახლა მივსულვარ – ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, უპრიანი

იქნება, მოგწეროთ შემთხვევითად, მეყსეული იმპროვიზაციით – თითქმის ნაცნობ ტექსტზე, და ცოტა ნაფიქრზეც კი – ქმნადობას ვიხილავთ, როცა ჩვენი საუბრის შემთხვევითობები მიგვიყვანს ჩვენ მიერ ერთხმად «უმორ»-ით აღიარებულ აქსიომათა წყებასთან... თქვენი პიესის თემა, ჯამში, მომწონს... ხოლო ჩვენი ჟესტის მთელი **ტონი** თითქმის გადასაწყვეტი რჩება – მე მას ვისურვებდი მშრალს, ლიტერატურის გარეშე და, რაც მთავარია, არა «**ხელოვნების**» გაგებით.

სხვათა შორის, **ხელოვნება** უთუოდ არ არსებობს – შესაბამისად, ფუჭია მასზე ლაყაფი – თუმცა: ხელოვნებას ვქმნით – რადგან ეს ასეა და არა სხვაგვარად – **Well** – რა გინდა, რომ ქნა?

მოკლედ, ჩვენ არ გვიყვარს არც ხელოვნება, არც ხელოვანნი (ძირს აპოლინერი!) **და** როგორ **სწორად იქცევა ტოგრათი, როცა პოეტს კლავს!**[36] თუმცა რადგან აუცილებელია ცოტაოდენი მჟავისა თუ ძველი ლირიზმის ამოფრქვევა, დაე იქმნას, უმალ გაჭენდეს – ლოკომოტივები ხომ სწრაფად მიდიან.

თანამედროვეობაც, შესაბამისად – უწყვეტია და ყოველ ღამით კვდება – ჩვენ არ ვიცნობთ **მალარმეს,** არც გვძულს, მაგრამ ის მკვდარია – აღარ ვიცნობთ აპოლინერს – **რადგან** – ეჭვი გვაქვს, რომ იგი ხელოვნებას ზედმეტად შეგნებულად ქმნის, უხეიროდ აპირკეთებს რომანტიზმს ტელეფონის მავთულით, და დინამოების არა გაეგება...

ო, ღმერთი აბსურდი! რადგან ყოველივე წინააღმდეგობრივია – არა? – და იქნება უმორი ის, ვინც არ გაყვება მალულ და ყოვლად **ფლიდი** ცხოვრების მდინარებას – ო, ჩემი მაღვიძარა – თვალები – და პირფერი – ასე რომ ვძულვარ! – ... და იქნება უმორი ის, ვინც

იგრძნობს უნივერსალურ სიმბოლო-შემცვლელთა სავალალო მოჩვენებას – სიმბოლურობა მათ ბუნებაში დევს.

უმორი არ უნდა ქმნიდეს – მაგრამ რას ვიზამთ? ცოტაოდენ უმორს ვუწილადებ **ლაფკადიოს**[37]**,** რადგან ის არ კითხულობს, და ქმნის მხოლოდ თავშესაქცევი გამოცდილებით, როგორიცაა «მკვლელობა» – სატანური ლირიზმის გარეშე – ჩემი გახრწნილი ბებერი ბოდლერი! – საჭირო იყო ცოტაოდენი მშრალი ატმოსფერო – მანქანა-დანადგარი – მბრუნავი მყრალი ზეთით – გუგუნ, გუგუნ – გუგუნ – სტვენ! – რევერდი – შემაქცევარი პოჰეტი, მოსაწყენი პროზით; **მაქს** ჟაკობ, ჩემი ძველი ცრუპენტელა – **ჯამბაზები** – **ჯამბაზები** – **ჯამბაზები** – გინდათ ფერადი ხის ლამაზი ჯამბაზები!?

ყოველივე ეს, ზოგჯერ, გაღიზიანებთ – მაგრამ მიპასუხეთ – პარიზში ხელახლა ჩამოვალ ოქტომბრის პირველი რიცხვებისკენ, იქნებ კონფერენცია-შესავალი გამოგვივიდეს – რა მშვენიერი ფაცი-ფუცია! ყოველ შემთხვევაში, დიდი იმედი მაქვს, გნახავთ.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო მოგონება.

ჟ. ტ. ი.

9 მაისი 1918

ძვირფასო მეგობარო,

მართალია – კალენდრის მიხედვით – დიდი ხანია, თქვენთვის არაფერი მომიწერია – როგორც ჩანს, ცუდად მესმის დრო – ხშირად ვფიქრობდი თქვენზე – იმ უიშვიათესზე – ვინც მიტანს (სხვათა შორის, ცოტაოდენ მისტიფიკაციას გამჩნევთ) – **გმადლობთ.**

გაუთავებელ ხეტიალში – ვაცნობიერებ ბუნდოვნად, რომ მიგროვდება ათასი რამ – ან რომ ვიხრწნები ოდნავ.

ამჟამად, ვეღარ ვიქნები ფილისტერი – მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. სხვა რამ ვცადე – (ვცადე? – თუ მაცდევინეს?) ახლა არანაირად შემიძლია ამაზე წერა – ადამიანი ისე ერთობა, როგორც შეუძლია – ეს არის და ეს.

გადაჭრით, ძალიან შორს ვარ ლიტერატორული ბრბოს ხალხისგან – რემბოსგანაც კი, ვშიშობ, ძვირფასო მეგობარო, რომ **ხელოვნება სისულელეა** – თითქმის არაფერია სისულელე – ხელოვნება უნდა იყოს რაღაც სასაცილო და ცოტა მიმბნედავი – სულ ეს არის. მაქს ჟაკობი – ძალიან იშვიათად – შეიძლება იყოს **უმორული,** მაგრამ, აჰა, საკუთარი თავი საბოლოოდ რაღაც ჰგონია, ეს კი საკვირველი საწამლავია – ბუნებრივია, დაწერილი ირონია აუტანელია, მაგრამ ისიც იცით, რომ **უ**მორი არ არის ირონია...

1915 წელი. ჟაკ ვაშე ნანტის პოსპიტალის საწოლში. აქ გაიცნო მან ანდრე ბრეტონი და თეოდორ ფრანკელი

თქვენი შემაჯამებელი კრიტიკა საკმაოდ მიმზიდველია – საკმაოდ

სახიფათოც, სხვათა შორის; მაქს ჟაკობ, გრი[38], ცოტა არ იყოს, არ მესმის.

მაპატიეთ, ჩემო ძვირფასო ბ., ჩემი აზრის მოუწესრიგებლობა. საკმაოდ ცუდად ვარ, ვიმყოფები მიყრუებულ ადგილას, გადაბუგული ხეების კუნძებს შორის, და ხანგამოშვებით, რაღაც ჭურვის მსგავსი პარაბოლურად მოემართება და ახველებს. ვცხოვრობ ერთ ამერიკელ ოფიცერთან, ომს რომ სწავლობს, ხის კევს ღეჭავს და ზოგჯერ მართობს – სულ ოდნავ გამოვასწარი – ამ ბოლო უკანდახევას – მაგრამ წინააღმდეგი ვარ ომის დროს სიკვდილის – ყველაზე მეტ დროს ვუთმობ საეჭვო მიდამოებში სეირნობას, საიდანაც ვხედავ წარმტაც აფეთქებებს – და როცა ზურგში ვარ, ხშირად – საროსკიპოში, სადაც მიყვარს სადილობა – ეს საკმაოდ სავალალოა – მაგრამ რა ვქნა?

«**ნორ-სიუდ**»-ი[39] რამეს აიღებს ამ საბრალო აპოლინერიდან? – არ ვკამათობ მის ერთგვარ ნიჭზე, და არც იმაზე, რომ მგონი, რაღაც გამოუვიდა, მაგრამ მას მხოლოდ არაუშავს-ნიჭი აქვს – «თხრობას» რომ მოჰყვება (კოლეჯს არ გახსენებთ?) – ზოგჯერ.

თქვენი მეგობარი
ჟ. ტ. ი.

ლორენს ფერლინგეტი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

ტკბილეულის მაღაზია

ტკბილეულის მაღაზია

ტკბილეულის მაღაზია ელის გადაღმა
სადაც პირველად
შემიყვარდა
არარსებული

მარმელადები გიზგიზებდნენ
სექტემბრის ნაშუადღევის ბინდში
კატა თაროზე დაძვრებოდა
ტორტებსა და ფუნთუშებს შორის

გარეთ კი ფოთლები ცვიოდნენ სიკვდილში

ქარს გაეხვეტა მზის სხივები

გოგო ქოშინით შემოვარდა
მაღაზიის ვიწრო ოთახში
გატრუნულიყვნენ ძუძუები სველ მაისურში

გარეთ კი ფოთლები ცვიოდნენ
ქვითინით:
ჯერ აღრეა!
ჯერ ხომ აღრეა!

მე ვუცდი

მე ვუცდი

მე ვუცდი ჩემ დროს რაცა გამოვჩნდე
და მე ვუცდი
სასწაულის გაცოცხლებას
და მე ვუცდი
მარცხა როდის აღმოაჩენს ვინმე ამერიკას
ვგოდებ
და ვუცდი
როდის გახსნიან
ახალ სიმბოლურ დასავლურ საზღვრებს [1]
და ვუცდი როდის გაიშლება
ამერიკული არწივის ფრთები
და გაფრენს მარჯვნივ
და ვუცდი როდის დასრულდება
შიშის საუკუნე [2]
და ვუცდი როდის შეწყდება ომი
და როდის გახდება საამყარო უსაფრთხო
ანარქიისათვის
და ვუცდი როდის დაემხობა საბოლოოდ
ყველა ქვეყნის ყველა მფლობელობა
და ვუცდი ვუცდი მოთმინებით
სასწაულის გაცოცხლებას

და მე ვუცდი მეორედ მოსვლას
და მე ვუცდი
როდის შეძრავს არიზონას
ახალი რელიგიური ტალღა
და ვუცდი როდის აივსება საცავები
მრისხანების მწიფე მტევნებით [3]
და მე ვუცდი დადასტურებას
რომ ღმერთიც ამერიკელია
და ვუცდი
როდის უჩვენებენ ღმერთს ტელევიზორში
საკურთხევლიდან გაძევებულს
თუკი მარცხა მოიძებნება
შესაბამისი ტელეარხი
რომელიც ამას გაბედავდა
და ვუცდი როდის გაიწყობა
საიდუმლო სერობის სუფრა
ახალი და უცხო კერძებით

და მე ვუცდი მოთმინებით
სასწაულის გაცოცხლებას

უაზრობა მუდმივი რისკის

უაზრობა მუდმივი რისკის

უაზრობა მუდმივი რისკის
და სიკვდილი
როცა ის თავზე დადგომია
თავის გარინდულ
მაყურებელს

პოეტი როგორც აკრობატი
აცოცდება თავის რითმებს
და მიუყვება თავისივე ქმნილების ბაგირს
და ინარჩუნებს წონასწორობას
რადგან ეყრდნობა უთვალავ მზერას
ამოქაფებულს სახეების მღელვარე ზღვიდან
და მიირწევა
დღის მეორე ბოლოსაკენ
სულისშემძვრელი მაღაყებით
ვითომ–ვარდნებით
და არანაკლებ სასიკვდილო იღეთებით
ერთ შეცდომასაც არ დაუშვებს
რადგან მეორეს
ველარც დაუშვებს

რადგან ის სუპერ–რეალისტია
ვინც სიმართლეს უნდა გრძნობდეს
განა იცოდეს
რომ სვლა განაგრძოს
აჩემებული მიზნისაკენ
მოჩვენებითი სიმაღლისკენ
სადაც დგას და ელოდება მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა
რომელიც მხოლოდ იმათ წყალობს
ვინც სიკვდილს დაცინის

და ის
პატარა ჩარლიჩაპლინი კაცი
რომლისთვისაც სულერთია
შეწვდება თუ ვერ შეწვდება
იმ ერთადერთ მარადიულ ჭეშმარიტ ფორმას
რომელიც გაშლილ–გაბნეულა
არსებობის ცარიელ ცაში

თილისმანი

თ ი ლ ი ს მ ა ნ ი

მგონი არავინ არასოდეს შემხვედრია
მასზე ბედნიერი
დედაბერი შალის მოსასხამში
პროვინციული საზაფხულო მატარებლის ღია ვაგონში
ხელსახოცში გახვეული
პატარა ჩიტი
რომელსაც ჩუმად უმღეროდა
mia mascotta
mia mascotta
mia mascotta *
და არავინ
საკვირაო ექსკურსიაზე მიმავალი მგზავრებიდან
ბოთლებით და სანოვაგით სავსე კალათებით
არ აქცევდა ყურადღებას
ხოლო ვაგონი
ჭრიალით მიიზლაზნებოდა სიმინდებს შორის
იმდენად ნელა
რომ პეპლები
ასწრებდნენ მასში შეფრენას და გამოფრენას

* mia mascotta – ჩემი თილისმანი (იტ.)

დედამიწა დიდებული ადგილია

დედამიწა დიდებული ადგილია

დედამიწა დიდებული ადგილია
დასაბადებლად
თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო
ბედნიერების
რომელსაც აღარ მოაქვს სიხარული
და ყოველთვის შეიძლება გექცეთ ჯოჯოხეთად
სწორედ მაშინ
როცა თითქოს ყველაფერი კარგადაა
აკი საბოთხის ბინადრებიც
არ გალობენ
გაუჩერებლად

დედამიწა დიდებული ადგილია
დასაბადებლად
თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო
კვდებოდნენ ადამიანები
გამუდმებით
ან უბრალოდ შიმშილობდნენ
თითქმის გამუდმებით
რაც არც ისე საშინელია
თუკი მათ შორის თქვენ არა ხართ

დედამიწა დიდებული ადგილია
დასაბადებლად
თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო
რამდენიმე გახრწნილი ტვინის
რომელიც გმართავთ
და ორიოდე ბომბის
სახეში
სწორედ მაშინ
როცა ცას აჰყურებთ
და არც ისეთი გადახრების
როგორიცაა ჩვენი კორპორირებული საზოგადოება
რომელიც ლოცულობს
თავის სახელოვან ადამიანებზე
და თავის მიტოვებულ ადამიანებზე
თავის მღვდლებზე
და თავის პოლიციელებზე
კონგრესის დადგენილებებზე

[1] შეიხი – სიტყვასიტყვით: უხუცესი, ბრძენკაცი, სიტყვა «პირ»-ის არაბული სინონიმი. ეზიდებთან – მღვდელმსახური.

[2] ლალიში – იეზიდური ტაძარი ჩრდილოეთ ერაყში. მდებარეობს ქალაქ მოსულიდან ჩრდილოეთით.

[3] ჰადი და სადი – სიტყვასიტყვით: საზღვრები, შეზღუდვები, წესდებანი; კანონები, რომლებსაც ემორჩილება სამყარო. სხვა მნიშვნელობით – ღვთის კანონები, რომლებიც მიეცათ ეზიდებს.

[4] შარიათი და ჰაყიყათი – რწმენის გაგების ორი დონე. შარიათი ეკზოთერული რელიგიური კანონი და რწმენის გარეგნული მხარეა, რომელიც მისი წესების ზედმიწევნით შესრულებას გულისხმობს, ჰაკიათი კი ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომაა. ეზიდები საკუთარ თავს ჰაყიყათს უწოდებენ, რაკი მიიჩნევენ, რომ მათი რწმენა უმაღლესი ჭეშმარიტების შემეცნებას ეფუძნება. იმათ, ვინც მათ რწმენას არ იზიარებს, ეზიდები შარიათს უწოდებენ.

[5] მინბარი – შემაღლებული ადგილი ტაძრებში (ძირითადად მეჩეთებში), საიდანაც სასულიერო პირები ქადაგებენ.

[6] საზი და ყუდუმი – მუსიკალური ინსტრუმენტები, ასევე აღნიშნავს მუსიკას საერთოდ. სულს არ სურდა ადამის ხორცში შთასვლა, ვიდრე ციდან მიწაზე მუსიკა არ დაეშვა – მიწიურ და ციურ საწყისთა შორის თანხმობის, ჰარმონიის სიმბოლო.

[7] ნუჰი (იგივე ნოე) – წინასწარმეტყველი, რომელსაც ღმერთმა კიდობნის აგება უბრძანა წარღვნისგან თავის გადასარჩენად.

[8] ბრაიმ ხალილი – აბრაამი, ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, რომელმაც შეიცნო ჭეშმარიტი ღმერთი და მისი ქადაგება დაიწყო. ეზიდების თანახმად, ის წარმოშობით ეზიდების ტომიდან იყო და მერე წავიდა ქანაანში. ეზიდური გადმოცემით, ბრაიმი ერთ-ერთი – ნათლის სახით არსებული – იმ ანგელოზის განსხეულებაა, რომელმაც ადამიანებს ერთი ღმერთის რწმენა მოუტანა.

[9] აზრ – ბრაიმის (აბრაამის) მამა.

[10] ჯიბრაილი (გაბრიელი) – შვიდ უმაღლეს ანგელოზთაგან ერთ-ერთი. ხშირად ფიგურირებს სიკვდილის ანგელოზ აზრაილთან ერთად.

[11] ისა (იესო) – ეზიდებისთვის იესო ერთ-ერთი წინასწარმეტყველია და მას, სხვა წინასწარმეტყველთა მსგავსად, პატივს მიაგებენ.

[12] მუსა ბენ ამრი – მოსე ამრის ძე (ბიბლიაში – ამრამის ძე). ეზიდები, როგორც სხვა წინასწარმეტყველთ, მასაც პატივისცემით ეპყრობიან.

[13] მუჰამმადი – ისლამის წინასწარმეტყველი. ეზიდები, როგორც სხვა წინასწარმეტყველთ, მასაც პატივს მიაგებენ.

[14] აჯამი – ირანელი.

[15] ბაით ალ-ფარი – სოფელი თანამედროვე ლიბანში, ბაალ-ბეკში, სადაც, წმინდა წერილთა თანახმად, ხალხს შიხადი მოევლინა.

[16] ჰაკარი – ისტორიული მხარე, მთის მასივი, რომელიც გადაჭიმულია ვანის ტბიდან მოსულამდე.

[17] შამი – სირიის ძველი სახელწოდება.

[18] მაჰმარაშანი – მაჰმად რაშანი, იეზიდების წმინდანი, შიხადის ერთ-ერთი თანამოღვაწე.

[19] სეიდები – მუსულმანურ სამყაროში დაფასებული ხალხი, რომლის წარმომავლობა წინასწარმეტყველ მუჰამედის გვარს უკავშირდება.

[20] მრიდი (იგივე მიურიდი, მურიდი) – სიტყვასითყვით მიღწევის მოსურნე. მოწაფე, მორჩილი, მიმდევარი.

[21] ნაყიბი – უხუცესი, მეთაური, უფლებამოსილი. აბასიდების მმართველობის დროს ნაყიბი აღასრულებდა იურისდიქციას მუჰამედის შთამომავალთა და მისი ოჯახის წევრთა მიმართ.

[22] აბუ ალ-ვაფა – ცნობილი სუფისტი.

[23] ხიდრი – შიხადისთან სტუმრად მისულ ორმოც შეიხთაგან ერთ-ერთი.

[24] სეიდ აჰმადი (აჰმად ბენ ალი არ-რიფა'ი, XII ს.) – შიხადის თანამედროვე, სუფიური საძმოს – რიფაიიას – დამაარსებელი.

[25] ზემზემი – უძველესი, ჯერ კიდევ ისლამამდელ დროში არსებული წყარო ქააბაში.

[26] მშატი – მთა ლალიშის ხეობაში.

[27] ზუბენები, ზბენები – ჯოჯოხეთის კარიბჭის მცველები, რომლებიც ცოდვილთ ეგებებიან.

[28] უმორი – ჟაკ ვაშე სიტყვა «იუმორს» H-ის გარეშე წერს. Humour-იდან აფრენილი ეს H პათეტიკურ და მაღალფარდოვან «პოეტზე» ჯდება: «პოჰეტი» (იხ. მესამე წერილი).

[29] «პოლონელი ხალხი» – ჟაკ ვაშე ასე ეძახდა ფრანკელს.

[30] ჟ. ტ. ი. – «ჟაკ-ტრისტან-ილარი», ასე აწერს ხელს ჟაკ ვაშე თავის წერილებს.

[31] თ. ფ. – თეოდორ ფრანკელი (1896-1964) – მწერალი, დადაისტი და სიურრეალისტი, ანდრე ბრეტონის მეგობარი.

[32] ალფრედ ჟარი (1873-1907) – პოეტი, რომანისტი და დრამატურგი, სიურრეალისტებისა და აბსურდის თეატრის ერთ-ერთი ინსპირატორი, ტერმინ «პატაფიზიკის» ავტორი.

[33] იუბიუ – ვაშე გულისხმობს ჟარის მიერ მარიონეტების თეატრისთვის დაწერილ გროტესკულ ფარსს «იუბიუ მეფე».

[34] მარი ლორანსენი (1883-1956) – მხატვარი, გრავიორი, პოეტი. მატისის მოსწავლე, აპოლინერის მუზა და პიკასოს მეგობარი.

[35] სომის ბრძოლა – პირველი მსოფლიო ომის ყველაზე დიდი ბრძოლა, 1916 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი კაცობრიობის ისტორიაში. ჟაკ ვაშემ სომის სანგრები გამოიარა.

[36] «ტოგრათი, როცა პოეტს კლავს» – ვაშე გულისხმობს აპოლინერის 1916 წლის ნოველების კრებულს «მოკლული პოეტი».

[37] ლაფკადიო – პატრიკ ლაფკადიო ჰირნი, ირლანდიელი, მოგვიანებით იაპონელი მწერალი.

[38] გრი – ვაშე გულისხმობს ხუან გრის, ესპანელ მხატვარს, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობდა.

[39] «ნორ-სიუდ» – პოეტ პიერ რევერდის მიერ 1917 წლიდან გამოცემული ლიტერატურული ჟურნალი, რომელშიც შედგა ბრეტონის, არაგონის, სუპოს და ცარას დებიუტი.